სერგეი ივანოვი ამერიკელებს მიეყიდა, აცხადებს რუსი გენერალი A3

თვალსაზრისი A8

"საქწიგნი" აუქციონზე B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 14 დეკემბერი, 2004 წელი. №296 (845)

ფასი 50 თეთრი

ხელისუფლების ყველაზე დიდი პრობლემა

ეკა კვესიტაძე

"ქართული სუფრა" და "ქართლის დედა" ბოლო ორი კვირის განმავლობაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ქართველი პოლიტიკოსებისათვის. ორი კვირის მანძილზე პარლამენტში და მის მიღმა ისმოდა ქართული სუფრისათვის დამახასიათებელი სადღეგრძელო-გამოსვლები თავად სუფრის მნიშვნელობასა და "ქართლის დედაზე". პარალელურად ისმოდა ლანძღვა იმ ადამიანებისა, რომელთაც მათთვის ამ ორ საკრალურ სიმბოლოს ჩირქი მოსცხეს და ლაფში ამოსვარეს.

"ქართლის დედად" წოდებული თუნუქის ფიგურისაგან განსხვავებით, ვაშინგტონის მონუმენტი, მართლაც, სიმბოლოა ამერიკელებისათვის. თუმცა ის, რომ ეს უზარმაზარი სტელა ძალიან ბევრში ფალოსის ასოციაციას აღძრავს, თავად ამ სიმბოლოს არანაირად არ შეურაცხყოფს. ვაშინგტონის მოლი ის ადგილია, სადაც ადამიანები დემონსტრაციებს განსხვავებული აზრის გამოსახატავად მართავენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

2005 წლის ბიუჯეტი - მოქმედება (მოსმენა) მეორე

გიორგი ასანიშვილი

ახალი საგადასახადო კოდექსისა და "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტებმა ინტრიგა უკვე დაკარგა, - პარლამენტს ისინი ორი მოსმენით უკვე "გადაგორებული" აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ საბოლოო მიღებას წინ ველარაფერი დაუდგება. აქედან გამომდინარე, საშემოდგომო სესიის დახურვამდე "თავშესაქცევად" 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი თუ გამოდგება, რომელიც ნელ-ნელა წინა პლანზე გადმოდის.

მომავალი წლის ძირითადი ეკონომიკური კანონის პროექტი პარლამენტში შაბათს შევიდა და გუშინ საღამოს დეპუტატებს გასაცნობად დაურიგდა. მიმდინარე კვირაში მას, მეორე მოსმენით, ფრაქციებში და კომიტეტებში განიხილავენ, შაბათს კი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე შეაჯამებენ. ამის შემდეგ 2005 წლის ბიუჯეტის პროექტი შემდეგი "მარშრუტით" იმოძრავებს: 20 დეკემბერს კანონპროექტის შესახებ სახელისუფლებო ფრაქცია იმსჯელებს, ხოლო სავარაუდოდ 22 დეკემბერს პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე მას პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია გაიტანს. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის რომან გოცირიძის გათვლით, ბიუჯეტომანია 28 დეკემბერს დასრულდება.

"ჩვენი ხმები მაინც არ გჭირდებათ და თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, როდის განიხილავს ოპოზიცია ბიუჯეტის პროექტს?" - გაოცება გამოთქვა "მემარჯვენე ოპოზიციის" ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე, როდესაც მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვის გრაფიკი ზუსტდებოდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

რექტორი არჩეულია, აქცია დაიშალა

გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების დღე იყო. მიუხედავად იმისა, რომ კვიმატი დღე იყო - ცამეტი რიცხვი და ორშაბათი - მშვიდობიანად ჩამთავრდა უნივერსიტეტშიც და უნივერსიტეტს გარეთაც: უნივერსიტეტის რიგით ოცდამეოთხე რექტორი გახდა ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე.

A2

იური ლოგოდინის ფოტო

ბაგაფში და ხაჯიმბა

საბოლოო გაერთიანებას ვერ ახერხებენ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო შტაბების 13 დეკემბრისთვის დაგეგმილი გაერთიანება გაურკვეველი დროით გადაიდო.

ერთ გუნდად გაერთიანებული ბაგაფშისა და ხაჯიმბას საარჩევნო შტაბებში ამ გაერთიანების გამო უკმაყოფილებას არ მალავენ.

"ის, რომ ბაგაფშისა და ხაჯიმბას საარჩევნო შტაბების გაერთიანება და ერთიანი შტაბის ხელმძღვანელის არჩევა დღემდე ვერ მოხერხდა, იმაზე მიუთითებს, რომ ბაგაფშისა და ხაჯიმბას მხარდამჭერმა პარტიებმა და მოძრაობებმა ყოფილი ოპონენტების ერთიან გუნდად გაერთიანება არაერთგვაროვნად აღიქვეს," - აღნიშნა ბაგაფშის თანაგუნდელმა და მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ალექსანდრე ანქვაბმა.

ანქვაბის თქმით, იგი ბაგაფშისა და ხაჯიმბას მომხრეებს შორის ფარული დაპირისპირების ნიშნებში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს და იმედოვნებს, რომ ამ პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის არსებული პრობლემები მალე გადაილახება.

ბაგაფშის მხარდამჭერი მოძრაობა "აიტაირას" თანათავმჯდომარე ლეონიდ ლაკერბაია არ უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ოპონენტთან გაერთიანებით როგორც ბაგაფშმა, ისე ხაჯიმბამ თავისი მხარდამჭერების დიდი ნაწილი დაკარგეს.

"იმავდროულად, მათ ახალი მომხრეებიც შეიძინეს მათი სახით, ვისაც კარგად ესმის, რომ ხელახალ არჩევნებში ბაგაფშისა და ხაჯიმბას ერთიან გუნდად მონაწილეობით ქვეყანამ დიდ დაპირისპირებაზე და არაპროგნოზირებად პროცესებზე თქვა უარი, რის შედეგებსაც აფხაზეთის მოსახლეობა უახლოეს ხანებში დააფასებს," - დასძინა მან.

გუშინ ჩაიშალა ასევე აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ახლად არჩეული ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა, რომელზეც ცესკო-ს თავმჯდომარე უნდა აერჩიათ და ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების დღე დაენიშნათ.

სხდომის ჩაშლის მიზეზი პარლამენტის მიერ ცესკო-ში წარდგენილი რვა წარმომადგენლიდან ექვსის სხდომაზე გამოუცხადებლობა გახდა.

24 საათი

"ნარინჯისფერთა" პირველი გამარჯვება

რუმინეთში რევოლუცია საჭირო აღარ გახდა

ნიკა თარაშვილი

როგორც ჩანს, რევოლუციური აღტყინება საოცრად გადამდებია. მთელ მსოფლიოში ერთხმად აღნიშნავენ, რომ უკრაინული "ნარინჯების" გამოღვიძება სწორედ ქართული "ვარდების რევოლუციის" გამარჯვებით იყო ნაკარნახევი, როგორც თავის მხრივ უკანასკნელი - იუგოსლავიური წინამორბედით. თუმცა, მაგალითად, რუმინეთში რევოლუცია საჭირო აღარ გახდა და მარტო რევოლუციის შიშმა გახადა ოპოზიციის გამარჯვება შესაძლებელი.

უკრაინის მსგავსად, მეზობელი რუმინეთიც ბოლო დროს საპრეზიდენტო არჩევნების ციებცხელებით იყო შეპყრობილი. როგორც უკრაინაში, აქაც არჩევნების პირველმა ტურმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა და ბოლო დროს დამკვიდრებული ტენდენციის თანახმად, რევოლუციური სიტუაციის განვითარების საშიშროებაც გაჩნდა. მიზეზი - როგორც ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, აქაც, თითქმის ტრადიციად გადაქცეული, არჩევნების გაყალბების ბრალდება იყო.

გაგრძელება A5 გვერდზე

ვოლიტიკა

თურქეთი სამი ათას სამხედრო მოსამსახურეს გაგვიწვრთნის

ბარამიძეს მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ აღებული კურსი წარმატებით გრძელდება.

A3

საზოგადოება

სტუდენტები განათლების რეფორმის დასაცავად

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დასაცავად შეკრებილმა სტუდენტებმა ქვეყნის პირველ პირებს სპეციალური მიმართვები გაუგზავნეს.

A6

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც ნარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

ამინდი

	14/12	15/12
თბილისი	5	-1
ქუთაისი	7	4
ბათუმი	9	6
სოხუმი	3	1
ფოთი	8	6
თელავი	4	-1
ზუგდიდი	7	5
გორი	2	-2
ახმეტა	3	-1
ჭიათურა	4	1
გაგრა	1	-3
სამტრედია	8	5

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8150
ევრო	2.4120
გირვანქა სტერლ.	3.4810
რუბლი	0.0645

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმოწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70,20 ლარი;
ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124,80 ლარი.

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 თვალსაზრისი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

რექტორი არჩეულია, აქცია დაიშალა

პირველი გვერდიდან

დალი კუპრავა

ვიდრე შენობაში შევიდოდი, აქციის მონაწილეებს ვესაუბრე, რომლებიც ის-ის იყო შეგროვდნენ. გავიგე მათი სამომავლო გეგმები: "თუ აირჩიეს ლორთქიფანიძე, აქცია გაგრძელდება და ლომაიასთან ერთად მის გადადგომასაც მოვითხოვთ. თუ საბჭო ქურდიანს აირჩევს, რომელსაც ჩვენ ვუჭერთ მხარს, ლომაიას გადადგომის მოთხოვნა ისევ დარჩება," - აცხადებენ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის კართან მდგომი აქტივისტი სტუდენტები. პასიური "აქციონერები" და დროებით პასიური პოლიტიკოსები ქვევით, ბაღში იკრიბებიან. აქციის უცვლელი წამყვანი - ლექტორი ისევ სტუდენტების გვერდითაა.

შიგნით კი, დიდ დარბაზში სამეცნიერო საბჭო რექტორობის ხუთი კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამას უსმენდა. არჩევნებამდე კიდევ ერთმა კანდიდატმა, პროფესორმა რევაზ გაჩეჩილაძემ 29 ნოემბერს მოხსნა თავისი კანდიდატურა განცხადებით, რომ მისი გასვლა რექტორობის კანდიდატთა რიცხვიდან თავიდან აიცილებს უნივერსიტეტს ზედმეტ დაძაბულობას. ამავე მიზეზით, გუშინ კანდიდატურა მოხსნა პარლამენტარმა, თსუ-ს პროფესორმა, გუგული მგელაძემ: "არ გავართულე არჩევანის პროცესიც და არჩევის შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანი რამ - კადრების შერჩევა გამიჭირდებოდა - რაც უნდა იყოს, ოცი წელი მაკავშირებს უნივერსიტეტთან; თან მე პარლამენტში უფრო "შეუცვლელი" ვიქნები". გუშინვე მოხსნა თავისი კანდიდატურა პროფესორმა ლარისა ყორღანაშვილმაც, რომელმაც ჟურნალისტის ვარაუდი, - თქვენ ხომ თავიდანვე იცოდით, რომ კანდიდატურას მოხსნიდითო, - უარყო, ისევე როგორც მისი ხმების სხვა კანდიდატისთვის გადაცემის შესაძლებლობა.

"რად უნდა არჩევნები, ყველამ იცის, ვისაც აირჩევენ - ლორთქიფანიძეს, ვინც მთავრობამ მოიყვანა. ბევრი ფიქრობს, რომ ფინანსებიც მას მოჰყვება, თუმცა შეიძლება სწორი გადაწყვეტილებაც იყოს," - ეჭვქვეშ აყენებს საბჭოს ობიექტურობას უნივერსიტეტის პედაგოგი.

საბჭოს გადაწყვეტილებას ფოიეში სტუდენტებიც ელოდებიან: "ჩვენთვის პიროვნებას არ აქვს მნიშვნელობა - მან ის საქმე უნდა გააკეთოს, რაც უნივერსიტეტისთვის არის საჭირო;" "დროა, დამთავრდეს უნივერსიტეტში ბრეჟნევის ხანა;" "კატის ფერს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, კატამ თაგვი დაიჭიროს," - ამბობს მომავალ პოლიტოლოგთა ერთი ჯგუფი.

"ჩვენ, სტუდენტებს, მიშა ქურდიანი გვინდა და თუ საბჭო არ აირჩევს, რა თქმა უნდა, აქციას შევუერთდებით. უნივერსიტეტის რექტორი უნივერსიტეტელი უნდა იყოს," - აცხადებენ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები.

კითხვაზე, - ფიქრობთ თუ არა, რომ უნივერსიტეტის რექტორი უნივერსიტეტელი უნდა იყოს-მეთქი, - ერთ-ერთი ლექტორი მპასუხობს: "სტუდენტებს რაც უფროსებისგან ესმით, იმას ამბობენ."

გარედან, აქციის მიკროფონიდან კი ისმის: "თქვენ, სტუდენტები ხართ დღეს საქართველოს ბედის გადამწყვეტი ძალა. თქვენზეა დამოკიდებული, როგორი იქნება საქართველო ხვალ." გამომსვლელი მაღლივი კორპუსიდან აღმოჩნდა - ვიღაცამ იცნო. იმ მაღლივკორპუსელმა გადასაყენებელ განათლების მინისტრს გვერდით ეკონომიკის მინისტრი და საქართველოს პრეზიდენტიც ამოუყენა: "თუ ესენი არ გადადგებიან, საქართველო დაიღუპება. ყველას მოგმართავთ, რომ მოხვიდეთ აქ. ნამდვილი ქართველი დღეს ჩვენ გვერდით უნდა იყოს, ნუ მივცემთ უწმინდურებს ჩვენს ენას და სარწმუნოებას."

პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ქალიშვილმა გადასაყენებელი ჯგუფი ქალაქის მერითაც გააძლიერა და შეკრებილებს ზეპათეთიკურად მიმართა: "კაცი, რომელსაც არ ესმის ილია, არ უნდა მართავდეს საქართველოში განათლებას. მხოლოდ თქვენ, ჩვენო განათლებულო სტუდენტებო, თქვენ შეგიძლიათ, გადაარჩინოთ ჩვენი ერი."

ამასობაში კი ფოიეში საბჭოს წევრები გამოდიოდნენ. კენჭი ნაყარია და ვიდრე ხმის დამთვლელი კომისია, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ხელმძღვანელობით, ხმებს დაითვლიდეს, საბჭოს წევრებს ვესაუბრებით.

"რუსუდან ლორთქიფანიძეს პირადად ვიცნობ და, როგორც უყურებთ, გულღია და სიკეთით სავსე ადამიანია, რა თქმა უნდა, კარგი პროფესიონალი"; "ლერი ქურდაძე იმ უნივერსიტეტელების წარმომადგენელია, რომლებიც დიდი პროფესიონალიზმით და სამოქალაქო კულტურით გამოირჩევიან, როგორიც უნდა იყოს რექტორი"; "რუსუდან ლორთქიფანიძე უცხოეთში მუშაობდა, ის იქნება კომუნიკაბელური და ეცოდინება მენეჯმენტი, რაც დღეს ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვაკლია"; "რექტორი ისეთი ქართველი და პროფესიონალი უნდა იყოს, როგორც მიშა ქურდიანია"; "ჩვენ კარგი მენეჯერი გვაკლია, კარგ მეცნიერებს საქართველო არ უჩივის; მთავარია, მოვუაროთ"...

ისევ სტუდენტები: "ახალმა რექტორმა რეფორმები უნდა გაატაროს, პირველ რიგში, საკადრო პოლიტიკის სფეროში"; " მე წავიკითხე უმაღლესი განათლების კანონპროექტი და ეს ის არის, რაც არის ჰარვარდში და მსოფლიოს სხვა უნივერსიტეტებში"...

ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ ხმის დამთვლელმა კომისიამ სამეცნიერო საბჭოს შედეგები გამოუცხადა, თუმცა "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტმა გამოცხადებამდე უფრო ადრე გადასცა ტელევიზიას ინფორმაცია. თამაზ გამყრელიძის გამოჩენამდე მეც ვიცოდი, რომ მეორე ტური დაინიშნებოდა, მაგრამ, პროფესიული თვალსაზრისით, ჩემს ოპერატიულობას აზრი არ ჰქონდა. დაინიშნა მეორე ტური - 192 ხმიდან რუსუდან ლორთქიფანიძემ 93 მიიღო, მიხეილ ქურდიანმა - 40, ხოლო ლერი ქურდიანმა - 39. ოცი ბიულეტენი გაბათილდაო, - განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ და ხელმეორე არჩევნები გამოაცხადა. არჩევნებში ბედი არ გვწყალობსო, - ჩაილაპარაკა საბჭოს ერთმა წევრმა; მეორემ, - ნეტავი მაცოდინა, ეს წერა-კითხვის უცოდინარი, გაბათილებული ბიულეტენების ავტორები ვინღა არიანო, - და საბჭო მეორად არჩევნებს შეუდგა. გარეთ კი ანგარიშობდნენ, - თუ ქურდიანი ქურდაძის და გაბათილებულ ხმებს მიიღებს, გასულიაო. მეორე ტურის შედეგები უფრო მალე გახდა ცნობილი, ვიდრე პირველის, და რუსუდან ლორთქიფანიძე 127 ხმით გამოცხადდა გამარჯვებულად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს რექტორი ჰყავს.

გარეთ კი მიხეილ ქურდიანი გარს შემოკრებილ სტუდენტებს მადლობას უხდიდა მხარდაჭერისთვის :"მე ბედნიერი ვიქნებოდი, რომ თითოეული თქვენგანის მამა ვყოფილიყავი. თქვენი მშობლები თქვენით ამაყობენ"; რაც შეეხება აქციის მომავალს, მიხეილ ქურდიანმა თქვა: "რაღა დროს ეს აქციაა. რა თქმა უნდა, შეწყდეს, მაგრამ არ უნდა შეწყდეს ბრძოლა უნივერსიტეტის ავტონომიისთვის და უნივერსიტეტის იდეისთვის".

სიბნელეში ნოდარ ნათაძეს მოვკარი თვალი: "აქცია უნდა შეწყდეს, მაგრამ უნდა დარჩეს მუშა ჯგუფი, რომელიც დაგეგმავს ხვალინდელ დღეს, ზეგინდელს თუ ერთი წლის შემდგომს. ეს აქცია ჰაერში არ უნდა დარჩეს. ოპოზიცია თვითმიზანი არ არის. მიზანი პოზიტივია."

2005 წლის ბიუჯეტი - მოქმედება (მოსმენა) მეორე

ლევან ხარხელაძის ფოტო

მომავალი წლის ძირითადი ეკონომიკური კანონის პროექტი პარლამენტში შაბათს შევიდა და გუშინ საღამოს დეპუტატებს გასაცნობად დაურიგდა.

პირველი გვერდიდან

"ფორმალობის დაცვა მაინც საჭიროა," - პასუხად, რეგლამენტის დაცვის აუცლებლობას და "მემარჯვენეების" უფუნქციობას ერთდროულად გაუსვა ხაზი პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა.

თუმცა, საპარლამენტო ცხოვრება საბიუჯეტო ვნებათაღელვით არ მთავრდება: საშემოდგომო სესიის დასრულებამდე დეპუტატებმა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ისეთ გაჭიანურებულ საკითხებზე, როგორიცაა ე.წ "ფინანსური ამნისტია" და კანონპროექტი "მაუწყებლობის შესახებ". მიხეილ მაჭავარიანი "პირობას დებს", რომ ორივე პრობლემურ დოკუმენტს საშველი მალე დაადგება.

"ფინანსურ ამნისტიასთან" დაკავშირებით ხვალ კონსულტაციები გაიმართება და ეს თემა დაიხურება. იგივე სიტუაციაა საზოგადოებრივ ტელევიზიასთან დაკავშირებითაც, - ხვალვე ფინანსთა მინისტრთან მის შესახებაც შევთანხმდებით," - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

მაშინ, როდესაც ასეთი "რთული" კანონპროექტების საბოლოო მიღებაში ეჭვი არ ეპარება, მიხეილ მაჭავარიანს დიდ თავსატეხს უჩენს ერთი შეხედვით ისეთი უბრალო საკითხი, როგორიც არის დადგენილების პროექტი "მუდმივმოქმედი საპარლამენტო და საპარლამენტთაშორისო დელეგაციების შექმნის შესახებ".

"გუშინ მთელი დღე ვუტრიალე და თავი მაინც ვერ მოვაბი," - ვიცე-სპიკერი აღიარებს, რომ უძლურია, როდესაც საქმე დეპუტატების საზღვარგარეთ ვოიაჟების სურვილს ეხება.

თუ პარლამენტარები უცხოეთში ძალით იწევენ, სხვები ამ "სიკეთეზე" საკუთარი ნებით ამბობენ უარს, - პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უკან გაინვია თემურ გამცემლიძისა და ალექსანდრე ჩხიკვაძის კანდიდატურები, რომლებიც, შესაბამისად, სომხეთსა და ჩეხეთში საქართველოს ელჩებად მოიაზრებოდნენ. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი პრეზიდენტის ამ ნაბიჯს იმით ხსნის, რომ გამცემლიძემაც და ჩხიკვაძემაც სხვა სფეროში (ბიზნესში) საქმიანობა გადაწყვიტეს.

მათგან განსხვავებით დიპლომატიური კარიერის გაგრძელებაზე უარს არ ამბობს მიხეილ უკლება: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მალე ჩინეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგში მოგვევლინება.

წმინდა საკანონმდებლო საქმიანობის გარდა, პარლამენტარებს პატიოსანი თამაშის წესების დაცვისთვისაც უწევთ ზრუნვა: ვინაიდან ერთ-ერთი კენჭისყრის დროს სამმა დეპუტატმა სხვისი ბარათებითაც მისცა ხმა, მიხეილ მაჭავარიანი მათ სამაგალითოდ დასჯას აპირებს. ვიცე-სპიკერის თქმით, სამივეს ხელფასიდან გარკვეული თანხა დაექვითება.

კანონდამრღვევი დეპუტატების ვინაობის დასახელებისგან მაჭავარიანი ჯერჯერობით თავს იკავებს და მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ერთი მათგანი საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელია, დანარჩენი ორი კი - მაჟორიტარი დეპუტატი.

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან პარლამენტში სარატიფიკაციოდ კეიპტაუნის კონვენციის წარდგენას ითხოვს. ეს კონვენცია ავიაციის საკითხებს ეხება და მას საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს სახელით, ორი წლის წინათ მოანერა ხელი. მაჭავარიანის განცხადებით, მისი დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე, კეიპტაუნის კონვენცია საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადაუგზავნა, "სადაც ის შეფერხდა და პარლამენტამდე ვერ მიაღწია" **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ეთერ ასტემიროვა აფხაზეთის ახლად არჩეულ ლეგიტიმურ მთავრობასა და მისი საკადრო პოლიტიკით უკმაყოფილო დევნილ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის შუამავლის როლს კისრულობს. მინისტრი აფხაზეთიდან დევნილი მესამე სექტორის წარმომადგენლებს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარესთან ირაკლი ალასანიასთან კონსტრუქციული დიალოგის დაწყებისკენ მოუწოდებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს საქართველოს ორდღიან სამუშაო ვიზიტად ეუთო-ს ექსპერტთა ჯგუფი ეწვევა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, თავდაცვის სამინისტროს და საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან გამართავს შეხვედრებს. ვიზიტის მიზანს საერთაშორისო ურთიერთობებისა და უწყებათაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება წარმოადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ მახარაძემ და აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ კობა ხაბაზმა ხულოსა და შუახევში ახალი გამგებლები წარადგინეს. ხულოს გამგებლად აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე რაულ გაბაიძე, ხოლო შუახევის გამგებლად - აჭარის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელი თემურ ზოიძე დაინიშნა. ორივე ახალი გამგებელი ოპტიმისტურად არის განწყობილი და თავისი რაიონის მოსახლეობას სიახლეებსა და სასიკეთო ძვრებს ჰპირდება. **მედია-ნიუსი**

რეგიონი

ქაფშიის რეწვის ახალი სეზონი

და ძველი პრობლემები

ქეთინო ჭაკობია

ქართველ მებადურებზე ქართული სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვა ჯერაც არ იგრძნობა.

ფოთისთვის ერთადერთი ღვთით მომადლებული სიკეთე ზღვაა. თავის დროზე ნიკო ნიკოლაძე სწორედ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და სანავსადგურო პერსპექტივის გათვლით გეგმავდა ქალაქის განვითარებას. დღეს ფოთს სანავსადგურო ქალაქის ინფრასტრუქტურის არაფერი ეტყობა, მეტიც, ფოთელთა დიდი უმეტესობისთვის პორტი ცალკე სუბიექტად მოიაზრება. მოსახლეობა ნაკლებად ცდილობს მიზეზებში გარკვევას, თუმცა, ეჭვობს, რომ არა მარტო ნავსადგური, არამედ შავი ზღვაც მოკლე ხანში მისთვის ან მხოლოდ დეკორატიული სამშვენისი, ან სულაც ეკოლოგიური საფრთხე გახდება.

დღეს, როცა ფოთური კეფალი, კამბულა, ზუთხი და სხვა სახეობის თევზი აქაურებისთვისაც კი ძვირად ღირებულ სიამოვნებად იქცა, ფასი ქაფშიას დაედო. როგორც ამბობენ, სწორედ ამ ადრე დაწუხებულმა თევზმა გადაატანინა ქვეყნის შეჭირვებულ მოსახლეობას ბოლო წლების ზამთარი. ნავმისადგომიდან, სადაც ქაფშიის რეალიზაცია ხდება, ყველა შესაძლო ტექნიკური საშუალებით გაზიდული თევზი საქართველოს ნებისმიერი კუთხის ბაზარში იყიდება. რეალიზატორი მოგებული თეორებით კმაყოფილდება, მყიდველი - იაფი შენაძენით!

რეწვის სეზონი კი იმდენ პრობლემატურ საკითხს უკავშირდება, თავს იქით ძალა რომ იყოს, ფოთელი მეთევზეები საერთოდ უარს იტყოდნენ ამ სპეციფიკურ პროფესიაზე.

ადრე, როცა ქალაქში საოკეანო თევზჭერის სამმართველო ფუნქციონირებდა, თევზჭერა მის ბალანსზე არსებული მცურავი საშუალებებით ხდებოდა. დღეს არც ხსენებული სამმართველო არსებობს და ხომალდებიც, კანონიერად თუ უკანონოდ, გასხვისებულია. ამინდი 26-მა სანაპირო თევზჭერის სეინერმა უნდა შექმნას, რომელთაგან სამი გაგრის მეთევზეობის კოოპერატივის, სამი - სოხუმის, ერთი - ხობის, დანარჩენი კი კერძო პირების საკუთრებაა და რომელთაც ღუზა ფოთის პორტის აკვატორიაში აქვთ ჩაშვებული. 26-ვე ტექნიკურად გამართულია, ყოველ შემთხვევაში - დაკანონებული ნორმის ფარგლებში, და ახლომდებარე სანაპირო ზოლში რეწვის ყველა საშუალება გააჩნია.

ბოლო წლებში წესად დამკვიდრდა, სეზონზე, რომელიც ნოემბრიდან მაისამდე გრძელდება, ქართველი მეთევზეებისთვის თურქი და უკრაინელი კოლეგების მხრიდან კონკურენციის გაწევა. ამ კუთხით არსებულ სრულ განუკითხაობასა და ქაოსზე თვალის დახუჭვაც, შესაბამისი სამსახურების მხრიდან, უკვე აპრობირებული მეთოდია. სპეციალისტები ხმამაღლა საუბრობენ, რომ თურქული და უკრაინული მცურავი საშუალებები, ქართულთან შედარებით, გაცილებით კარგად აღჭურვილი და სიმძლავრითა და მოცულობითაც მეტია. მათი ე.წ. ქისა-ბადეების სიგრძე დასაშვებ 500 მეტრს რამდენჯერმე აღემატება და ერთჯერად ცდაზე განსაზღვრულზე გაცილებით მეტი ქაფშიის მოპოვება შეუძლია. სანაპირო ზოლში აპარატურის გამოყენება, რომელსაც საზღვაო ტერმინოლოგიით ფსკერულ ტრალებს უწოდებენ, საერთაშორისო სტანდარტებით საერთოდ აკრძალულია. მრავალგზის იყო შემთხვევა, როცა დაჭერილი თევზის ჭარბ მასას უცხოელი პარტნიორები სეინერიდან პირდაპირ ღია ზღვაში ცლიდნენ. ქართველ მებადურებს ასევე ბევრჯერ უნახავთ წყლის ზედაპირზე დაახლოებით მეტრნახევარი სისქის უკვე გაფუჭებული ქაფშიის მოტივტივე შრე. შედეგი სახეზეა: რეწვის წინა პერიოდის დაზვერვის მონაცემებით, თევზის მოპოვების სავარაუდო რაოდენობასთან დაკავშირებით, 400 ათასი ტონიდან 40-50 ათასამდე შემცირდა. უცხოელებთან კონტაქტი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან მოყოლებული, ქალაქის რევოლუციამდელ მთავრობაში მომუშავე ბევრი ჩინოვნიკისთვის სარფიანი შემოსავლის წყაროდ იქცა. კარგად უწყოდნენ და არ რეაგირებდნენ არც აღნიშნულზე და არც გადასახადებით მანიპულირების ფაქტზე: დაახლოებით 20 ათასი ტონა თევზით დატვირთული, საბაჟო კონტროლის გავლისა და ამავე რაოდენობის ნედლეულის შესაბამისი გადასახადის დაფარვის შემდეგ თურქული სეინერი ღია ზღვაში სხვა გემიდან უკვე რამდენიმე ათას ტონა ქაფშიას იმატებდა და, ფაქტობრივად, კონტრაბანდული გზით გაჰქონდა საზღვრის ფარგლებს გარეთ. იყო შემთხვევები, როცა ასევე კანონდარღვევითი გარიგების შედეგად თურქული ხომალდი ტერიტორიულ წყლებში უკვე ქართული დროშით ცურავდა და უფლებებსაც ნაკლებად იზღუდავდა.

რეწვის სეზონზე საკმაოდ სოლიდური თანხები ილექებოდა და როგორც ამბობენ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მაშინდელი მინისტრის, ნინო ჩხობაძის ინტერესებიც გამოკვეთილად ჩანდა. მიუხედავად ქართველი მეთევზეების არაერთგზის თხოვნისა, სწორედ ის აწერდა თურქული და უკრაინული გემებისთვის ლიცენზიის შეუზღუდავად გაცემისა და დროშის შეცვლის შესახებ თანხმობას ხელს.

ერთადერთი, რაც მკაცრად კონტროლდებოდა, საზღვრის დაცვა გახლდათ. გასული წლის რეწვის სეზონზე საზღვრის უკანონო გადაკვეთისა და უკანონო თევზჭერის მოტივით სანაპირო დაცვის სამსახურის მიერ 2 უკრაინული და 3 თურქული თევზსაჭერი სეინერის დაკავება გახდა შესაძლებელი. გემთმფლობელების მიერ ჯარიმის სახით ცენტრალურ ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ 2 მილიონამდე ლარი შეადგინა. როგორც სანაპირო დაცვის ოპერაციების სამმართველოს უფროსი, მეორე რანგის კაპიტანი კობა ბოჭორიშვილი ამბობს, თევზსაჭერ სეინერებზე სადღეღამისო კონტროლი უნდა განხორციელდეს. სანაპირო დაცვის თანამშრომლებს აღნიშნულის ნება და ტექნიკური საშუალება გააჩნიათ, პრობლემას მხოლოდ საპატრულო კატარღებისთვის საჭირო ოდენობის სანვავის უქონლობა წარმოადგენს. **"თურქმა და, გნებავთ, უკრაინელმა მეთევზემ, იცის, რომ მე იმის საშუალება არა მაქვს, კონტროლი რამდენიმეწუთიანი შუალედით განვახორციელო და უკანონო ქმედებისთვის ხელსაყრელ მომენტს ეძებს. გასულ წელს, წინა პერიოდთან შედარებით, დეპარტამენტმა ყველაზე უკეთ მოგვამარაგა სანვავით. თუ ეს პრობლემა გამოირიცხა, ჩვენი მხრიდან კანონდამრღვევთა დაკავება სირთულეს არ წარმოადგენს,"** - აცხადებს ბოჭორიშვილი.

ქართველი მეთევზეებისთვის გადაუჭრელად რჩება რეწვის ზონის გაფართოების საკითხიც. თევზჭერა აკრძალულია სუფსის ნავთობტერმინალის მიმდებარედ, 4000 მეტრი რადიუსის ზოლში, იქ, სადაც ქაფშია ყველაზე მეტი რაოდენობით მოიპოვება. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტანდარტებით ანალოგიური ტერმინალების სიახლოვეს აკრძალვის ზონა 700 მეტრით ფიქსირდება, ადგილობრივ სინამდვილეში 4000-ის შემცირება ვერაფრით მოხერხდა.

ფოთელ მეთევზეთა ასოციაციის თავმჯდომარის ოთარ ჯამბურიას თქმით, აკრძალული ზონის არასწორი პარამეტრების დასაბუთებით, მისი შემცირების თაობაზე თხოვნა თავდაცვის სამინისტროს ჯერ კიდევ 1996 წელს გაეგზავნა. მოგვიანებით იგივე შინაარსის წერილი სამხედრო საზღვაო ძალების სარდალმაც მიიღო. რეაგირება ჯერაც არ ჩანს. ასოციაციის საბჭო წლების მანძილზე იბრძვის მეთევზეთა ინტერესების დასაცავად. თურქი გემთმფლობელების უკანონო ქმედებებზე, კონტრაბანდული გზით თევზის გაზიდვისა და აკრძალული ბადე-იარაღების გამოყენების თაობაზე დოკუმენტაცია მოზრდილ საქაღალდედაა აკინძული. წერილობით ეცნობა ქვეყნის პრეზიდენტს, მინისტრთა საბჭოს, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებს, თევზის მეურნეობის დეპარტამენტს, საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციას და, რა თქმა უნდა, ქალაქის ხელისუფლებას. პასუხის უშედეგო ლოდინში კიდევ ერთი რეწვის სეზონი დაიწყო. პრობლემებს, შემცირების ნაცვლად, ერთიც დაემატა: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან თევზჭერაზე ლიცენზიების გაცემა დაგვიანდა. სამინისტროს არგუმენტით, თევზსაჭერი სეინერების მფლობელებმა თხოვნა ლიცენზიების გაცემის თაობაზე დაგვიანებით წარადგინეს, მეთევზეების თქმით, მათ სამინისტროს, როგორც წესი, მხოლოდ განაცხადის შემდეგ მიმართეს. რამდენიმე დღიანი მოცდენა კი ფინანსურ პრობლემებთან ასოცირდება.

მურად მიმინოშვილი, კოოპერატიული საწარმო "რუდიტკალეს" დირექტორი: **"მიჭირს ამის თქმა, მაგრამ რევოლუციის შემდგომ დაკომპლექტებული სამინისტრო ჩვენთვის ადრინდელზე გაცილებით უარესი აღმოჩნდა. ქართველი მეთევზეების ინტერესების სრული იგნორირება ხდება. სამ სხვადასხვა ბანაკში ავიღე სესხი გემის წესრიგში მოსაყვანად, იმ იმედით, რომ წელს მდგომარეობა გამოსწორდებოდა და თურქი და უკრაინელი მეთევზეები არ ჩაყრიდნენ წყალში ჩვენს შრომას. სეინერით 2-3 ტონა თევზს ვიჭერ. მეტს ვერ გავასაღებ, ბაზრის უქონლობის გამო. ეროვნულ მწარმოებლებს ჩაგრავენ და ბრაკონიერებს აძლევენ ნედლეულს. ისევ უკანონობა კანონდება. სპეციალურად იქმნება წინაპირობა, რომ თევზის ჩაბარება ვერ მოვახერხოთ. ფერხდება თევზის ფქვილის გადამამუშავებელი საამქროს ამოქმედება, სადაც ვახდენდით მოპოვებული ქაფშიის დიდი ოდენობით რეალიზებას."**

მეთევზეები ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის კანონს ემორჩილებიან. მზა პროექტი და შესაბამისი დებულებები თითქმის რვა თვეა, პარლამენტისა და მთავრობის ვიზას ელოდება. ძნელი სათქმელია, რამდენად რეალური ბრძანებულებებით რეგულირდება სხვაობა სოციალისტური და ლამის საუკუნის შემდგომი ეპოქის მოთხოვნებს შორის, მაგრამ ფაქტია, არავინ გაითვალისწინა კანონპროექტის დაჩქარებული მეთოდით მიღების საჭიროება და რეწვის მიმდინარე სეზონიც რევოლუციამდელი ინერციით დაიწყო. დაბეჯითებით ვერავინ ამბობს, აიკრძალა თუ არა უცხოურ სეინერებზე თევზჭერის ლიცენზიის გაცემა. სამაგიეროდ, საუბრობენ უკრაინულ და ქართულ ერთობლივ საწარმოსა და გემების ერთობლივი ეკიპაჟებით დაკომპლექტების წინადადებაზე, რაშიც იმთავითვე გასული წლების ტენდენციის სახეცვლილი ვარიანტი მოიაზრება. ყოველ შემთხვევაში, ქართველ მებადურებზე ქართული სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვა ჯერაც არ იგრძნობა, თუნდაც იმ ფაქტის დასტურით, რომ ქართველი და უცხოელი გემთმფლობელების გადასახადი ერთ ტონა თევზზე ერთსა და იმავე თანხას - 7 ლარს უტოლდება.

დაბოლოს: ამ დღეებში ფოთში უკრაინული სეინერების მეპატრონეთა ჯგუფი იმყოფებოდა. როგორც ჯგუფის ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა არაოფიციალურად გვაუწყა, ლიცენზიისთვის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, ასე ვთქვათ, ჯიბის ფულად 30 000 ამერიკული დოლარი მოსთხოვეს.

ფაქტის დამტკიცება ჩვენი კომპეტენციისთვის რთულია.

მოკლედ

ქუთაისში მაჟორიტარი დეპუტატის მოღვაწეობის შედეგები შეაჯამეს

ქუთაისში ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ერთწლიანი მოღვაწეობის შედეგები შეაჯამეს. ეს პროცედურა მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში გაიმართა. თავად ნინო ბურჯანაძე შეხვედრას არ დასწრებია: პარლამენტის თავმჯდომარე ოფიციალური ვიზიტით გერმანიაში იმყოფება. როგორც ქუთაისში გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში არ აქვთ იმის ილუზია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მადლობას გადაიხდის ამ მცირე დროის განმავლობაში მაჟორიტარი დეპუტატის და მისი ბიუროს მიერ გაწეული საქმიანობის გამო, თუმცა არც საყვედურის მიღებას აპირებენ. როგორც ნინო ბურჯანაძემ გერმანიაში გამგზავრებამდე განაცხადა, ის ქუთაისს ყველგან ლობირებს და ამ პოლიტიკას კვლავაც გააგრძელებს. "ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობა მავალებს, მშობლიურ ქალაქში თითქმის ორკვირიანი ინტერვალით ჩავიდე და ყველა პრობლემას პირადად გავეცნო. მართალია, არსებული პრობლემების, მინიმუმ, 80 პროცენტს ვერ გადავჭრი, მაგრამ მზად ვარ, ყველას მოვუსმინო," - აღნიშნა მაჟორიტარმა დეპუტატმა და პირობა დადო, რომ მომავალში ქუთაისს "უფრო კონკრეტული საქმეებით შეახსენებს თავს". **ინტერ-პრესი**

ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში საკადრო ცვლილებები დაიწყო

ქვემო ქართლში პრეზიდენტის ახალი რწმუნებულის ზურაბ მელიქიშვილის განცხადებით, საკადრო ცვლილებები მისთვის თვითმიზანი არ არის. თუმცა, გუბერნატორის პირველივე სამუშაო დღეს სამხარეო ადმინისტრაციაში ახალი თანამშრომლები გამოჩნდნენ. თანამდებობები დატოვეს ყოფილი რწმუნებულის - სოსო მაზმიშვილის მოადგილეებმა, რუსუდან ზურაბაშვილმა და ლერი არაოშვილმა. თანამდებობიდან წასვლის თაობაზე განცხადებები, ასევე, დაწერეს მარნეულის გამგებელმა ამირან შუბითიძემ და ბოლნისის გამგებელმა ზვიად ვეშაპიძემ. ახალ რწმუნებულს განხორციელებული საკადრო ცვლილებების თაობაზე ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებია. რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი ქვემო ქართლში პრეზიდენტის ახალ რწმუნებულთან ზურაბ მელიქიშვილთან თანამშრომლობას აპირებს. ამის თაობაზე განცხადება მან ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე გააკეთა. ტყეშელაშვილი აცხადებს, რომ ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში ზურაბ მელიქიშვილთან დაგეგმილ თათბირზე დასწრებასაც გეგმავს. აღსანიშნავია, რომ დღემდე რუსთავის მერი ქვემო ქართლში პრეზიდენტის არც ერთ რწმუნებულთან გამართულ თათბირს არ დასწრებია. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. **მთავარი რედაქტორი** მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). **დამატებები:** დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯიინჭარაძე. **ფოტო:** ბესო გულაშვილი (მენეჯერი). **დიზაინი:** გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. **სტილი:** ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. **რეკლამა** - ზურაბ ჯაოშვილი.

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე გალღა თავისუფალი აზრის რადიო

FM 107.4

„ჩვენი საზოგადოების მთავარი პრობლემა ინფანტილურობაა - ახალი არ აინტერესებს და... აშინებს!“

„რადიო დილა“ ყოველ დღე კვირის ჯარდა 10-დან 12 საათამდე

ნამყვანები სტუმარი

ლევ ჯიბლაძეკგაგა ჯობრონიძეკიორგი ბაბალაშვილი
ალექსანდრე ქორიძეკინოდოკუმენტალისტი

ალექსანდრე ქორიძე: ქართველ მაყურებელს აქვს არჩევანი - ერთდროულად აყვეხებენ ახალ ამერიკულ და ახალ ქართულ ფილმებს. სად წავა ქართველი მაყურებელი? 90% ამერიკულზე. რაგომ? იმიგომ რომ ფილმს აღიქვამს უკვე მარგო როგორც ლამაზად შეფუთულ პროდუქტს. იმიგომ რომ უკვე წინასწარ იცის, რომ ამერიკული პროდუქტი მაღალი ხარისხისაა. კინომ დაკარგა (და არა მარგო საქართველოში) მაღალი მნეობრიეი იდეების მაგარებლის სტატუსი. ქართულ კინოს დაუგოვეს მარგო ერთი გზა: დაემზგავსოს ამერიკულს...

ჩემი აზრით (რომელიც დარწმუნებული ვარ შეიცვლება და ასეც უნდა იყოს!) დღეს სუფთა სახით არც მხატვრული და არც დოკუმენტური კინო არსებობს. დღევანდელი ფილმი არის დოკუმენტური და მხატვრული კინოს სიმბიოზი! ვაკეთებ ექსპერიმენტს: „ამირანის“ მცირე დარბაზში ვაჩვენებ ჩემ 2 ფილმს "მღვისული - ნინო ქათამაძე" და "სტიპენდიატები". ძალიან დიდი იმედი მაქვს,რომ ქართველი მაყურებელი მოვა და ჩემ აზრს ქართული საზოგადოების ინფანტილიზმზე გააქარწყლებს... მაგრამ მოხდება ეს?..

ხელისუფლების ყველაზე დიდი პრობლემა

პირველი გვერდიდან

დარწმუნებული ვარ, თბილისის თავზე წამომდგარი ქალის უზარმაზარ ფიგურასთან ემოციური კავშირი ძალიან ცოტას აქვს. ძალიან ბევრი ადამიანისთვის ის არც ხელოვნების ნიმუშია და, მით უმეტეს, არც ქართვლის დედის თუ მთლიანად საქართველოს სიმბოლო. მაგრამ, შესაძლოა, არიან ისინიც, რომელთაც თუნუქის ეს ფიგურა მოსწონთ და მას სიმბოლოდაც კი აღიქვამენ. ეს მათი ისეთივე ბუნებრივი და კონსტიტუციური უფლებაა, როგორც სხვების, არ მოწონდეს და კრიტიკულად აფასებდეს მას, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძის პოეზიას, კონსტანტინე გამსახურდიას პროზას და ასე შემდეგ.

დემოკრატიის ყველაზე დიდი ხიბლი არის ის, რომ ადამიანებს განსახვავებული აზრის გამოთქმის საშულება აქვთ. არა აქვს მნიშვნელობა, ეს ადამიანი ქალაქის მერია, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი თუ პარლამენტის თავმჯდომარე.

მითებით აზროვნება ქართული საზოგადოებისათვის უცხო არ არის. მითოლოგიზირებული წარსული და მითოლოგიზირებული, მესიანიზმის ხიბლით მოცული მომავალი არის ის, რითიც ბევრი ქართველი არასრულფასოვნების კომპლექსების დაფარვას თუ დაბალანსებას ცდილობს. დღევანდელი ქართული სუფრა კი ძალიან ხშირად ის ადგილია, სადაც ყალბი მითებით ნაკვები აზროვნება ეფექტური ვერბალიზაციის საშუალებას ნახულობს.

მაგალითად, ადამიანების ის ნაწილი, რომელმაც კომპიუტერი არ იცის და ჰგონია, რომ ვერც ვერასოდეს ისწავლის, ძალიან ხშირად მას ეშმაკის მანქანას ეძახის და ამით არცოდნის კომპლექსის დაფარვას ცდილობს. ამ შემთხვევაში, ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ ეს ადამიანები დაჟინებით ირწმუნებენ თავს და არწმუნებენ სხვებსაც, რომ კომპიუტერი მართლაც ეშმაკის გამოგონებაა და არც კი ცდილობენ, რომ კომპლექსი კომპიუტერის საკმაოდ მარტივი ოპერაციების შესწავლით დასძლიონ.

ეს მხოლოდ ერთი ყველაზე მარტივი მაგალითია აზროვნების იმ მისტიფიკაციისა, რომელმაც საქართველოს მოსახლეობაში თავი განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში იჩინა.

როინ მეტრეველი მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰარვარდსა და პრინსტონს არ ჩამოუვარდება. ასე სჯერათ, ან უნდათ სჯეროდეთ იმ სტუდენტებსაც, რომლებიც დღეს უნივერსიტეტის კიბეებზე მიტინგების მოწყობას ცდილობენ. ამ მიტინგებს თავისი შემკვეთები, ალბათ, ჰყავს. მაგრამ რეფორმების მიმართ ამ სტუდენტების და ლექტორების პროტესტის მთავარი მიზეზი მაინც ის გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი შიშია, რომელსაც ნებისმიერი სიახლე ბადებს, ახალი გარემო, სადაც მათი კონკურენტუნარიანობა დაბალი იქნება. დღეს უნივერსიტეტის ბაღში მდგარი სტუდენტების უმრავლეობას ამ შიშისთვის თვალის გასწორება ძალიან უჭირს და შესაბამისად, მათი აქტივობა არა ცოდნის შეძენისა და საკუთარი კონკურენტუნარიანობის გაზრდის, არამედ ძველი სისტემის შენარჩუნებისაკენ არის მიმართული. სისტემისა, სადაც ცოდნის გარდა ყველაფერი ფასობდა, მათ შორის აქტიური კომკავშირელობაც.

სიახლეებისთვის ბრძოლა არა მარტო უნივერსიტეტში, არამედ სასულიერო აკადემიაშიც დაიწყო. თუმცა, საპატრიარქო ჯერჯერობით განსხვავებულ აზრთან შეგუებას არ აპირებს და სტუდენტებს, რომლებიც დღევანდელ ეკლესიაში არსებულ ვითარებას აპროტესტებენ და უფრო მეტ გახსნილობას ითხოვენ, სემინარიიდან საერთოდ რიცხავს. სამაგიეროდ მყარ პოზიციებს ინარჩუნებენ ის სასულიერო პირები, რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, განათლების საკმაოდ დაბალი ცენზით გამოირჩევიან და რომლებიც ქადაგებებით აყალიბებენ და აძლიერებენ მათი მრევლის მისტიფიცირებულ, მითოლოგიზებულ აზროვნებას, ასე ახლო მდგარს პროვინციულ-ფაშისტურ ცნობიერებასთან და ასე დაშორებულს ყოველგვარი ქრისტიანული, ჰუმანური იდეებისაგან.

პოლიტიკაში მომხდარი რევოლუციის შემდეგ აშკარად დადგა დრო, რომ რადიკალური ცვლილებები საზოგადოების იმ ნაწილის ცნობიერებაშიც მოხდეს, რომელიც სიახლეების მიმართ გაჩენილი შიშით იზოლაციონიზმის მსხვერპლი ხდება.

თუმცა, როგორც ჩანს, დღევანდელი ოპოზიცია საზოგადოების ამ ნაწილს მსხვერპლად სულაც არ მიიჩნევს და მათი ხმების ხარჯზე რეიტინგის გაზრდასაც გეგმავს.

ნიშა, რომელიც აქამდე ნათელაშვილს ეკუთვნოდა და რომელსაც ნაწილობრივ შარაძეც ინაწილებდა, სასურველი უკვე სხვებისთვისაც გახდა.

კობა დავითაშვილი, რომელიც სააკაშვილს რევოლუციის შემდეგ ჩამოშორდა, პოლიტიკაში საკუთარი ადგილის ძიებაშია. თუმცა, ბევრი ადამიანი მისგან გაცილებით მეტს მოელოდა, ვიდრე შარაძის გზაზე დადგომა და "ჭეშმარიტი ეროვნული მართლმადიდებლობის" ყალბი ლოზუნგებით სპეკულირებაა. თუ დავითაშვილი გათვლას იმაზე აკეთებს, რომ ასეთი სენტიმენტებით მასების გულის მოგებას მოახერხებს, კარგად უნდა ახსოვდეს, რომ წინა არჩევნების დროს გურამ შარაძემ გლდანშიც კი, სადაც მოსახლეობის ნაწილი ბასილ მკლავიშვილის მრევლი იყო, მხოლოდ შვიდი პროცენტი მიიღო.

დავითაშვილისგან განსხვავებით, პრინციპულობას და ჯანსაღ ოპოზიციონერობას "ახალი მემარჯვენეებისაგან" არავინ ელოდა, მაგრამ სრული მარგინალიზაციისაკენ მათი მსვლელობის სწრაფი ტემპი მაინც საკვირველი აღმოჩნდა.

ქართული სუფრისა და საგღეგრძელოების დამცველი გამყრელიძის ხილვა პარლამენტის ტრიბუნასთან ცოტა უხერხული და სასაცილოცაა.

უხერხულია ის, რომ დღეს, როცა ახალი ხელისუფლების კონსტრუქციული და ჯანსაღი კრიტიკა ასეთი დეფიციტია, და როცა კრიტიკის ობიექტი ბევრი რამ შეიძლება გახდეს, ოპოზიცია "ქართვლის დედასა" თუ ქართულ სუფრაზე წლების წინ დაწერილ სტატიებზე (რომელსაც, სხვათაშორის, ნაწყვეტების სახით "ასავალ-დასავალში" ეცნობიან...) ყალბი პათეტიზმით მსჯელობენ.

როინ მეტრეველის დამცველი სტუდენტების გულშემატკივარი და განათლების რეფორმის წინააღმდეგ მებრძოლი "მემარჯვენეები" განათლების მინისტრის ყველაზე დიდ ცოდვად "სოროსელობას" მიიჩნევენ. მაგრამ დავით გამყრელიძეს, რომელიც ამერიკაში ბევრ ცნობილ ადამიანს შეხვედრია (მათ შორის თვით ფუკუიამასაც), ერთხელ საკუთარი თვალით ჯორჯ სოროსიც უნდა ჰყავდეს ნანახი და ისიც კარგად უნდა იცოდეს, რომ ის რქებიანი ეშმაკი არ არის, რომელიც ქართული ეროვნული ცნობიერების, თუ რაღაც ამდაგვარის, წართმევასა და ცხრაკლიტულში გამოკეტვას ცდილობს.

გამყრელიძემ, ალბათ, ისიც კარგად უწყის, რომ სოროსის ფონდმა, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ბევრი რამ გააკეთა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების შესაქმნელად, მეცნიერების, კულტურის თუ სოფლის მეურნეობის დასახმარებლად, თავის დროზე უამრავი ადამიანი გადაარჩინა შიმშილს და თუ დღეს საქართველოში საშუალო ფენის ჩანასახი მაინც არსებობს, ეს საერთაშორისო ორგანიზაციების დამსახურებაცაა.

ეს ყველაფერი კარგად იცის მემარჯვენეების ლიდერმა, იცის და ამიტომ არიან ის და მისი თანაპარტიელები ასეთი ყალბები და არადამაჯერებლები, როცა შალვა ნათელაშვილისა და ჯონდი ბაღათურიასთვის ამომრჩეველის წართმევას ცდილობენ, თან სულ ამაოდ. რადგან ლეიბორისტების გულშემატკივარი ულტრა-რადიკალი, ლუმპენიზებული მასისათვის გამყრელიძე ყოველთვის ვერაგ კაპიტალისტად დარჩება, რომელიც მათ ხარჯზე გამდიდრდა.

დღევანდელი ხელისუფლების ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ჯანსაღი და სერიოზული ოპოზიცია არ არსებობს. არ არის ძალა, რომელიც ამ ხელისუფლებაზე უფრო საღად მოაზროვნე, უფრო პრინციპული და მორალური იქნება. არაკონკურენტულმა გარემომ კი შეიძლება, ნებისმიერ ხელისუფლებას იგივე დამართოს, რაც ერთ დროს უალტერნატივოდ აღიარებულ შევარდნაძეს დაემართა.

თურქეთი სამი ათას სამხედრო მოსამსახურეს გაგვიწვრთნის

ამის თაობაზე 16-19 დეკემბერს ხელი მოეწერება ოფიციალურ შეთანხმებას

ვერიკო თევზაძე

16 დეკემბერს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე ოფიციალური ვიზიტით თურქეთში მიემგზავრება. 16-19 დეკემბრის ვიზიტისას გადაწყდება ახალი თურქული პროგრამის დეტალები და საბოლოოდ ხელი მოეწერება შეთანხმებას ამ პროგრამის განხორციელების თაობაზე.

ლევან ხარხელიძის ფოტო

ბარამიძეს მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ აღებული კურსი წარმატებით გრძელდება.

ბარამიძე აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ აღებული კურსი წარმატებით გრძელდება და მომავალი წლიდან თავდაცვის სფერო კიდევ უფრო პრიორიტეტული იქნება. თავდაცვის მინისტრს მხედველობაში აქვს ორი ახალი პროგრამა - ამერიკული და თურქული, რომელთა ამოქმედება ახალი წლიდან არის დაგეგმილი. გიორგი ბარამიძე ასევე სიამაყით აცხადებს, რომ თავდაცვის სფეროს საბიუჯეტო დაფინანსება 80-100 მილიონი ლარით გაიზარდა. წინასწარი ინფორმაციით, თურქული და ამერიკული პროგრამის დასრულების შედეგად, საქართველოს უკვე სამი საბრძოლო ბრიგადა ეყოლება.

თურქული და ამერიკული პროგრამა მომავალი წლიდან დაიწყება და 15-18 თვეს გასტანს. როგორც ცნობილია, ამერიკული, სტაბილურობის ხელშეწყობის პროგრამის დასრულების შედეგად საბოლოოდ ჩამოყალიბდებიან მე-11 და 21-ე ბრიგადები. თურქული პროგრამა ახალი დამოუკიდებელი საბრძოლო ბრიგადის - სამი ათასი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნას ითვალისწინებს. თურქეთის მთავრობა საქართველოს ხუთი ბატალიონის მომზადებაში დაეხმარება. საუბარია ლოჯისტიკის, საარტილერიო, დაზვერვის და, ასევე, ორ ქვეით ბატალიონზე.

გიორგი ბარამიძე ვიზიტის ფარგლებში შეხვდება როგორც თავის თურქ კოლეგას, ასევე თურქეთის პრეზიდენტს, თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, ქვეყნის უშიშროების საბჭოს მდივანს. თავდაცვის მინისტრი ამ ვიზიტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან, მისი თქმით, **"თურქეთში საბოლოოდ ხელი მოეწერება შეთანხმებას თურქული პროგრამის განხორციელების შესახებ."**

გუშინდელ პრესკონფერენციაზე თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ სამინისტრო დავალიანების პრობლემას ნაბიჯ-ნაბიჯ აგვარებს. ბარამიძის თქმით, "საკმაოდ სერიოზული ნაბიჯები გადაიდგმება სამართალდამცავებთან ერთად." მინისტრი გულისხმობს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იქნება იმ სამხედრო ჩინოვნიკების წინააღმდეგ, რომელთაც თანამდებობა ბოროტად გამოიყენეს: **"კერძოდ, საუბარია ქონების დატაცებაზე. ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება. იმედია, სამართალდამცავები დააჩქარებენ მუშაობის პროცესს და უახლოეს მომავალში გვექნება კონკრეტული რეზულტატი, კონკრეტული გვარ-სახელები."**

გიორგი ბარამიძე გუშინაც გააღიზიანა ჟურნალისტების შეკითხვებმა მთავრობაში მომავალი საკადრო ცვლილების შესახებ: **"მე ვერ გეტყვით, რომ ეს ტყუილია, ან მართალი... შესაძლოა, ეს იყოს სტრუქტურული, შესაძლოა, საკადრო ცვლილებები... სანამ ოფიციალურად არ გამოცხადდება, ვერაფერს გეტყვით."** თუმცა, "ოფიციალურად გამოცხადებამდე" გიორგი ბარამიძე მხოლოდ თავის ეჭვებს ახმაურებს: **"შესაძლოა, ჟურნალისტები პროვოცირებულები იყვნენ გარკვეული პიროვნებების მიერ, რომლებიც, შეიძლება, ხელისუფლებაშიც იყვნენ და გუნდის წევრობაზეც ჰქონდეთ პრეტენზია."** რაც მთავარია, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ფარხმალს არ ყრის. **"ჩვენ რასაც ვაკეთებთ, ვაკეთებთ იმისთვის, რომ უკეთესები ვიყოთ,"** - აი, რა აძლევს თავდაცვის მინისტრს სიმშვიდის და ოპტიმიზმის საფუძველს.

სერგეი ივანოვი ამერიკელებს მიეყიდა

აცხადებს რუსი გენერალი

რუსუდან ნიკურაძე
საპ. კორ. მოსკოვში

"24 საათის" შეკითხვებს პასუხობს გენერალ-პოლკოვნიკი, რუსეთის გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ლეონიდ ივაშოვი.

გენერალი ივაშოვი ეჭვობს, რომ თავდაცვის მინისტრი უცხო ქვეყნის დაკვეთას ასრულებს.

- რუსეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთი იტოვებს უფლებას, გაანადგუროს ტერორისტთა ბაზები მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. იგულისხმება თუ არა აქ საქართველო?

- რა თქმა უნდა, იგულისხმება და ეს მოსალოდნელიც იყო. ჩვენი მინისტრი ხანდახან ისეთ დაუფიქრებელ და არასერიოზულ განცხადებებს აკეთებს, რომ ბევრი ეჭვი ჩნდება, მაგალითად ასეთი - ვის დაკვეთას ასრულებს იგი?

- ვის დაკვეთას ასრულებს ?

- იგი ამერიკელებს მიეყიდა. საკმარისია, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი გენერალ ჯონსს შეხვდეს, უმალ იწყება ანტირუსული განცხადებების სერია.

- რატომ იყო ეს განცხადება ანტირუსული?

- იმიტომ, რომ იგი რუსეთის პრეზიდენტის წინააღმდეგაა მიმართული. იგი რუსეთის საერთაშორისო იმიჯის წინააღმდეგაა ჩაფიქრებული. იგივე სურთ საქართველოს დღევანდელ ხელისუფალთაც. ამიტომ მიესალმებიან ისინი რუსეთთან ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრების გახსნას. ისინიც აშშ-ს კარნახით მოქმედებენ.

- თქვენ გინდათ თქვათ, რომ პუტინი არ არის დაინტერესებული პანკისის ხეობაში ერთობლივი ოპერაციის ჩატარებით?

- პანკისის ხეობის პრობლემა შიდაქართული საქმეა და საქართველომ მას თავად უნდა მოუაროს. მან უნდა შეიგნოს, რომ პანკისი პირველ რიგში ქართველი ხალხისათვისაა საშიში ელემენტი. საშიშია რუსეთისთვისაც. ამიტომ, მე პირადად მივესალმები ერთობლივი ოპერაციის ჩატარებას ხეობაში, სადაც ნამდვილად არიან ტერორისტები, მათი საწვრთნელი და სამკურნალო ბაზები. მხოლოდ ეს ოპერაცია უნდა იყოს ერთობლივი და არავითარ შემთხვევაში მოულოდნელი და პრევენციული საქართველოსთვის. უკანონო ბანდფორმირებების განადგურება გონივრული სვლაა, მაგრამ ერთპიროვნულად სამხედრო ძალისმიერი მეთოდების გამოყენება საშიში სიმპტომია. ეს პროვოკაციაა თავად პუტინის წინააღმდეგ. აგიხსნით, რატომაც: პანკისზე პრევენციული დარტყმების მიყენება და კინაღამ ერაყის ისტორიის განმეორება მსოფლიოში ნეგატიურ რეაქციას გამოიწვევს. ამას მოჰყვება პუტინის მასშტაბური კრიტიკა დასავლეთში. მას აუცილებლად დაადანაშაულებენ მეზობელ სახელმწიფოზე მიტანილ აგრესიაში. ძნელი საფიქრელია, რომ პრეზიდენტს ეს სურდეს.

- პუტინს ბევრჯერ განუცხადებია, რომ რუსეთს საქართველოს ამ რეგიონიდან მუდმივი საფრთხე ემუქრება ტერორისტების სახით. ნუთუ მას ხელს არ აძლევს ასეთი ოპერაციის ჩატარება?

- მთელი უბედურება ის არის, რომ მარტო სამხედრო ძალის გამოყენება პანკისში, იქ მოკალათებული ბოევიკების განადგურება არ ხსნის ჩეჩნეთის პრობლემას. ამით ომი ჩეჩნეთში არ დასრულდება, უკმაყოფილება კი გაიზრდება. პრევენციული დარტყმების დროს გამოყენებული იქნება საავიაციო დარტყმები და არტილერია. რა თქმა უნდა, დიდი რისკია იმისა, რომ სამოქალაქო მოსახლეობა დაზარალდება. ეს მიზანი ამოძრავებთ დღეს ივანოვსა და მის მომხრეებს: როგორმე პუტინის იმიჯი წაახდინონ. ამიტომ მე სულ ვამბობ და ახლაც გავიმეორებ: სამოქალაქო პირებს არ უნდა ჰქონდეთ სამხედრო საკითხების გადაწყვეტის პრეროგატივა. ივანოვისა და მისი მომხრეების აპელაცია საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში აშშ-ს მაგალითის მოშველიებაზე მიანიშნებს, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრი ვაშინგტონის კარნახით მოქმედებს.

- თვლით თუ არა, რომ ბათუმისა და ახალქალაქის ბაზების ანტიტერორისტულ ცენტრებად ტრანსფორმირება საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების დაკანონებას ნიშნავს?

- რასაკვირველია, ნიშნავს. და ეს ერთადერთი სწორი ნაბიჯია. საქართველოში რუსეთის სამხედრო დასწრების შენარჩუნება ნებისმიერი ფორმით უნდა მოხდეს. ერთობლივი ცენტრების არსებობა აუცილებელი ფაქტორია რეგიონში სტაბილურობის შესანარჩუნებლად. კარგია, რომ საქართველოს ხელისუფლებას ეს გაცნობიერებული აქვს.

- აფხაზეთში არჩევნების პროცესმა და უკრაინის მოვლენებმა რუსეთის იმიჯი არ წაახდინეს?

- ეს უკვე კრემლის პოლიტტექნოლოგთა არაპროფესიონალზმის შედეგია. რაც შეეხება აფხაზეთს, სერგეი ბაგაფშმა ანგარიში უნდა გაუწიოს მოსკოვის მოთხოვნებს და პრემიერ-მინისტრად რაულ ხაჯიმბა დანიშნოს. პრინციპში, ორივე კანდიდატურა ჩვენთვის მისაღებია, რადგანაც მათი პრორუსული ორიენტაცია რეგიონში ვითარების ნორმალიზების კარგ შანსს იძლევა. ამით მოსკოვს დაკარგული ავტორიტეტის დაბრუნების შანსი უჩნდება.

მაია ურუშაძის სვეტი

ყველაფერი კარგად იქნება, თუ...

ორი დღეა, თბილისში ენერგეტიკულმა პრობლემებმა იმძლავრა. რასაკვირველია, დენისა და გაზის მიწოდების შეფერხებაში დამნაშავე მხოლოდ მოძველებული ენერგოობიექტები და გავერანებული ხაზებია, საათობით ჩაბნელებული ქალაქის გამო პასუხისმგებლობის აღება კი ისევ არავის სურს.

ტრადიციულად, პრობლემა უმოკლეს დროში - დღეს ან ხვალ მოგვარდება. მერე რა, რომ ეს ყველაფერი უკვე დიდი ხნის წინ მოყირჭებული ფრაზებია. მთავარი მაინც ისაა, რომ ყველა შესაბამისი უწყება ფუსფუსებს და ერთი სული აქვს, პირველმა ახაროს თბილისელებს, რომ დენი ისევ 24 საათი იქნება, ყოველ შემთხვევაში, მომავალ მოსალოდნელ ავარიამდე მაინც.

ერთი სიტყვით, დედაქალაქში ამ მხრივ ახალი არაფერია. ყველაფერი ისევ ისეა, როგორც შარშან, ან შარშანწინ იყო.

კერძოდ, "თელასში", უკვე სხვა ადამიანები, ისევ შარშანდელივით აცხადებენ, რომ თბილისისთვის დენი ნაყიდი აქვთ, მაგრამ "სახელმწიფო ელექტროსისტემას" ავარიები გაუხშირდა და კომპანიამდე ვერ მოაქვს.

"სახელმწიფო ელექტროსისტემაშიც", ზოგი ძველი, ზოგიც ახალი სახე, ისევ შარშანდელივით იმართლებს თავს და ამბობს, რომ პრობლემები მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იქმნება ხოლმე.

ენერგეტიკის მინისტრიც, ახლა უკვე სხვა, შარშანდელივით მართავს ბრიფინგებს და ჟურნალისტებს ეჭორავება, რომ ენერგოკომპანიების ძიძგილაობამ თავი მოაბეზრა.

სამაგიეროდ, დაპირებები უხვია: მართალია, ჯერჯერობით, უცნობი რჩება, როდის მოგვარდება პრობლემები საბოლოოდ, მაგრამ ეს არაფერი. ოღონდ "ბუნტი" ნუ იქნება და თბილსრესში ნახევრად გარემონტებულ ტრანსფორმატორსაც ჩართავენ და საწვავისმჭამელ სახელმწიფო ბლოკებსაც დაქოქავენ. **თუ** "თბილსრესში" მესამე ბლოკს ჩართავენ, მართალია, ძალიან ბევრი ფული დაიხარჯება, მაგრამ დენი მეტი გვექნება, **თუ** არა და, ცოტა გაჭირდება. ამ შემთხვევაში, "თელასი" იმას **თუ** ვერ მოახერხებს, რომ თბილისს დენი ეყოს, პირიქით მაინც შეეცდება - მცოცავი გრაფიკის გამოყენებით, ორიოდე პეშვ დენს თბილისი ამყოფინოს.

ესეც არაფერი. მთავარია, არავის ეტკინოს, რომ საბოლოოდ, მაინც ამ ნერვების მომშლელ **"თუ"**-ზე ვართ დამოკიდებული.

ეს ყველაფერი კი, უკვე ათი წელია, ასეა. ქვეყანა გასული საუკუნის 90-იან წლებშია ჩარჩენილი და ენერგეტიკულ მოვლენათა ჯაჭვი ყოველ ზამთარს, ლამის გერმანული სიზუსტით, ერთნაირად ვითარდება.

მაგრამ, ესეც არაფერი. მთავარია, რომ ყველაფერი მაინც კარგად იქნება. ოღონდ მაშინ, როცა საქართველოში სიტყვა "ენერგეტიკა" მხოლოდ რუსეთიდან მოღერებულ მუშტსა და დასავლეთისგან გამოწვდილ დახმარების ხელთან იქნება ასოცირებული, ენგურჰესიდან კი დენს რომელიმე ოფშორული კომპანია ოთუზბირად მოგვყიდის.

სამდღიანი ენერგოქრონიკა:

11 დეკემბერი - ავარიულად (სომხეთის მხარეს მომხდარი დაზიანების გამო) გამოირთო სომხეთთან მაკავშირებელი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი "ალავერდი", რასაც სომხეთიდან იმპორტის შეწყვეტა მოჰყვა;

11 დეკემბერი - დაზიანდა "თბილსრესის" მე-4 ტრანსფორმატორი, რომელიც თბილსრესის ბლოკებზე გამომუშავებული, ასევე, სომხეთიდან შემოტანილი დენის თბილისისკენ გამოშვებას ემსახურება;

11 დეკემბერი - ავარიულად გამოირთო "საქრუსენერგოს" კუთვნილი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი "იმერეთი", რასაც "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად გაყოფა მოჰყვა;

12 დეკემბერი - დაზიანდა ენგურჰესის პირველი აგრეგატი, რამაც სადგურის ორი აგრეგატის გამორთვა გამოიწვია;

13 დეკემბერი - "თელასის" გენერალურმა დირექტორმა პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას აცნობა, რომ "ელექტროსისტემაში" მომხდარი ავარიების გამო ვითარება რთულია და თუ საღამოს საათებში "თბილსრესის" ტრანსფორმატორი არ ჩაირთვება, თბილისის ელექტრომომარაგება 60 მეგავატით შეიზღუდება, რაც 2-საათიანი ინტერვალით მოსახლეობის გამორთვას გამოიწვევს;

13 დეკემბერი - "სახელმწიფო ელექტროსისტემის" გენერალურმა დირექტორმა ჯო კორბეტმა პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას აცნობა, რომ ზემოთ აღნიშნული ავარიები იმ ქვესადგურებსა და გადამცემ ხაზებზე მოხდა, რომლებსაც "სახელმწიფო ელექტროსისტემა" ვერ აკონტროლებს და, შესაბამისად, "სახელმწიფო ელექტროსისტემა" ამას თავიდან ვერ აიცილებდა;

13 დეკემბერი - ენერგეტიკის მინისტრმა პრესკონფერენცია გამართა და ენერგოსისტემაში მომუშავე სხვადასხვა სტრუქტურებს მოსთხოვა, რომ მათ ურთიერთგადაბრალების პოლიტიკა შეწყვიტონ და თავიანთი საქმე აკეთონ. საზოგადოებას კი აცნობა, რომ საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული სამდღიანი კრიზისი დასასრულს მიუახლოვდა: "თბილსრესის" ტრანსფორმატორზე დაწყებული, იდეაში რვადღიანი სარემონტო სამუშაოები დროებით შეჩერდება და ტრანსფორმატორი ჩაირთვება. მისი თქმით, თუ ამ ტრანსფორმატორმა მუშაობა გააგრძელა, თბილისის ელექტრომომარაგება აღარ შეიზღუდება, თუ არა და, დედაქალაქში 40-მეგავატიანი დეფიციტი იქნება. სამ დღეში კი "თბილსრესის" მესამე ენერგობლოკის ჩართვა და "ხრამჰესი 2"-ის სისტემასთან მიერთება იგეგმება, რაც ქვეყანაში გენერაციას 120 მეგავატით გაზრდის.

მოკლედ

14-15 დეკემბერს ვარშავაში საქართველოს დღეები გაიმართება

საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის ინიციატივით, 14-15 დეკემბერს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში საქართველოს დღეები გაიმართება. 14 დეკემბერს ვარშავის სასტუმრო "მარიოტში" სავაჭრო-სამრეწველო პალატის და ქართული კომპანიების სახელით საზეიმო მიღება მოეწყობა, რომელზეც მიწვეული არიან პოლონეთის საქმიანი წრეების და ხელისუფლების წარმომადგენლები, იმპორტიორები, დისტრიბუტორები, დიდი სუპერმარკეტების წარმომადგენლები, რესტორნების და სასტუმროების მფლობელები. სტუმრები ქართველი მზარეულების მიერ მომზადებულ კერძებს მიირთმევენ და ანსამბლ "რუსთავის" შესრულებით ქართულ სიმღერებს მოისმენენ. მიღებას პოლონეთში ვიზიტით მყოფი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილიც დაესწრება. 15 დეკემბერს გაიხსნება ქართული პროდუქციის გამოფენა, რომელშიც ღვინის, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლების, კვების პროდუქტების მწარმოებელი 25 ქართული კომპანია მიიღებს მონაწილეობას. კომპანიებს შორისაა "ყაზბეგი", "ბორჯომი", ნაბეღლავი", "რაჭის წყალი", "თბილღვინო" და სხვები. "საქართველოს დღეების გამართვის მიზანი ქართული ეროვნული პროდუქციის პოპულარიზაციაა. მსგავსი ღონისძიებები ქართულ კომპანიებს ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისებაში დაეხმარება," - განაცხადა სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა ჯემალ ინაიშვილმა. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

თბილისი. თბილისის გაზმომარაგებაში პრობლემები შეიქმნა. "თბილგაზის" ინფორმაციით, აცივებასთან დაკავშირებით დედაქალაქში გაზის წნევა დაეცა, რის გამოც ზოგიერთ უბანში (განსაკუთრებით - ძველ უბნებში) წნევის ვარდნის გამო, ბუნებრივი აირის მიწოდება მექანიზებულად ითიშება. სპეციალისტთა განმარტებით, თბილისის ქსელი გაზის გათბობისათვის მოხმარებაზე გაანგარიშებული არ არის, ვერ უზრუნველყოფს სათანადო რაოდენობის გაზის მიწოდებას და წნევა ეცემა. "თბილგაზი" გაზის წნევას საშუალო სიდიდეზე არეგულირებს, რადგან მაღალი წნევით მიწოდების შემთხვევაში, შესაძლოა, როგორც ტექნიკური, ისე პირადი უსაფრთხოების პრობლემების შექმნა. "თბილგაზი" დედაქალაქის მოსახლეობას მოუწოდებს, გაზი მაქსიმალურად მომჭირნედ მოიხმარონ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 28 დეკემბერს პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს დაამტკიცებენ. ამის შესახებ შეთანხმებას პარლამენტის კომიტეტებისა და ფრაქციების წარმომადგენლებმა ბიუროს 13 დეკემბრის სხდომაზე მიაღწიეს. რიგგარეშე სესია 21 დეკემბერს დაიწყება, რომელზეც პარლამენტარები ბიუჯეტიდან გამომდინარე კანონპროექტებს განიხილავენ. 22 დეკემბერს დაიწყება თავად სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა, რის შემდეგადაც იგი მთავრობას უკან დაუბრუნდება. მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს ის შენიშვნები, რომლებსაც პარლამენტარები გამოთქვამენ. შესწორების შემდეგ კი კვლავ რიგგარეშე სესია გაიმართება და ბიუჯეტი დამტკიცდება. ახალი რეგლამენტის მიხედვით, ბიუჯეტი ერთი მოსმენით მიიღება. მიმდინარე კვირას ბიუჯეტის შესახებ თავად კომიტეტები და ფრაქციები იმსჯელებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ელმავალმშენებლის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა 51-პროცენტიანი წილი 2005 წლის 18 იანვარს გაიყიდება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ს/ს "ელმავალმშენებელზე" ტენდერი გამოაცხადა. საწარმოს გასაყიდი ფასი 3 მლნ. დოლარით განისაზღვრა. ტენდერში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება 17 დეკემბრიდან დაიწყება და 17 იანვარს დასრულდება. წინასწარ შესატანი თანხა 100 000 დოლარს შეადგენს. **ინტერ-პრესი**

დავით ჭკადუა: "ეკონომიკის ინსტიტუტი ეკონომიკის სამინისტროს გონებრივ ცენტრად უნდა გადაიქცეს"

თამარ ხორბალაძე

ეკონომიკის კვლევის ინსტიტუტში დღეს ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე ახალ ხელმძღვანელს დავით ჭკადუას წარადგენს. ახალი ხელმძღვანელი, ახალი ხელისუფლების მიერ უკვე დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ახალგაზრდაა, თუმცა მეცნიერული და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - პრაქტიკული გამოცდილების არქონას ნამდვილად არ უჩივის. იყო თსუ ლექტორი ზოგადი მენეჯმენტის თეორიაში, მუშაობდა სახელმწიფო კანცელარიაში, დამთავრებული აქვს თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურა, მოგვიანებით - ტოკიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო პოლიტიკის ეროვნულ ინსტიტუტში სახელმწიფო ადმინისტრირების მაგისტრის წოდებას იღებს, 2003 წელს ამთავრებს მოსკოვის გარდამავალი ეკონომიკის ინსტიტუტის კალიფორნიის უნივერსიტეტის კურსს მაკროეკონომიკური ზრდის, ინფლაციის და რეალური გაცვლითი კურსის თეორიაში, 2004 წელს კი - ლონდონის უნივერსიტეტის ეკონომიკის და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის ეკონომეტრიკის კურსს. ქმნის ქართული ეკონომიკის პროგნოზირების ეკონომეტრიკულ მოდელს და ბოლო წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაცია "ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრს", რომელიც სხვა პროექტების პარალელურად, 2004 წლის ზაფხულიდან "24 საათთან" ერთად საპიუჯეტო მონიტორინგის პროექტსაც ახორციელებს. ახალი ხელმძღვანელი ინსტიტუტში ახალი იდეებით მიდის და ინსტიტუტის "ეკონომიკის სამინისტროს გონებრივ ცენტრად" გარდაქმნას გეგმავს:

ეკონომიკის კვლევის ინსტიტუტის ახალი ხელმძღვანელი, ახალი ხელისუფლების მიერ უკვე დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ახალგაზრდაა...

გიგიტა ბუხაიძის ფოტო

- ეს ინსტიტუტი ეკონომიკის ინსტიტუტის, მარტივად რომ ვთქვათ, გონებრივი ცენტრი უნდა იყოს. აქ უნდა კეთდებოდეს მთელი ანალიტიკა - ანალიტიკა, რომელიც დაკავშირებულია როგორც თეორიულ, ისე გამოყენებითი სახის კვლევებთან, რომლის ნაწილიც ეკონომიკის სამინისტროში კეთდებოდა, რაც არ არის სწორი და რაც ასეთი ტიპის ანალიტიკური კვლევის ცენტრებში უნდა კეთდებოდეს. ეს ინსტიტუტის ძირითადი ფუნქცია უნდა იყოს. გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, ინსტიტუტის კვლევებს ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან აქტიური გამოყენება დღემდე არ ჰქონდა. იმ დროს, როცა ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკა შესაქმნელი იყო, ინსტიტუტის წვლილი ამაში იყო ძალიან მცირე.

რა თქმა უნდა, ინსტიტუტში დღემდეც კეთდებოდა გარკვეული სახის თეორიული კვლევები, როგორიც არის, მაგალითად, ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები დარგობრივ ჭრილში, რეგიონული ეკონომიკური საკითხები და ასე შემდეგ. დღეს კი ჩვენი მიზანია, რომ ამ კვლევებს თანამედროვე მეთოდებზე დაყრდნობილი თანამედროვე ფორმა მიეცეს.

- ანუ საუბარია ისეთი სამეცნიერო პროდუქტის შექმნაზე, რომელზეც მოთხოვნა იარსებებს?

- დიახ. ინსტიტუტში, ძირითადად, პრაქტიკული ხასიათის გამოყენებითი კვლევები უნდა ჩატარდეს. ანუ, მაგალითად, ინსტიტუტში უნდა მოხდეს იმის გათვლა, თუ რა შედეგებს გამოიღებს ხელისუფლების რაღაც კონკრეტული ნაბიჯი ქვეყნის ეკონომიკაზე მთლიანად, ან - ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაზე, ან - საგარეო ეკონომიკური კუთხით, ქვეყნის პოზიციაზე, ან - ფისკალური თვალსაზრისით... ამ ყველაფრის გათვლა უნდა ხდებოდეს. თან, აქ ლაპარაკი არის არა მხოლოდ ხარისხობრივ მსჯელობაზე, საუბარია რაოდენობრივ მსჯელობაზე. ანუ - უნდა დაიდოს კონკრეტული ციფრები, კონკრეტული პროგნოზები. ეს არის იდეალური შემთხვევა, რა ფორმითაც კეთდება ეკონომიკური პოლიტიკა ცივილიზებულ ქვეყნებში. თუმცა ამას, ცხადია, თავისი სირთულეები ახლავს. იმიტომ, რომ კარგი პროგნოზის გაკეთებას სჭირდება კარგი მოდელი, კარგი მოდელის გაკეთებს სჭირდება კარგი რესურსები, თუმცა ჩვენ ამას აუცილებლად გავაკეთებთ. გარდა ამისა, იქნება სხვა სახის სამუშაოებიც, რომელსაც არ დასჭირდება კომპლექსური მოდელი და ერთი კონკრეტული მონაცემის გათვლას მოემსახურება. არც ამის გაკეთებას მოვერიდებით.

- დღეს რამდენად არსებობს ასეთი კვლევების განსახორციელებლად საჭირო რესურსები საქართველოში, თავად ინსტიტუტში?

- დღეს ინსტიტუტში არის გარკვეული ბირთვი, რომელსაც ჩვენ აუცილებლად გამოვიყენებთ. გარდა ამისა, დღესაც ეკონომიკის სამინისტროში არიან ადამიანები, რომლებიც თეორიული ხასიათის კვლევებს ატარებენ და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ხალხის მეშვეობით შეიძლება ბაზის შექმნა. თუმცა, გარდა ამისა, ჩვენ აუცილებლად ღია უნდა დავრჩეთ იმ ახალგაზრდა კადრების მიმართაც, რომელთაც დასავლური განათლება აქვთ მიღებული. გვინდა, რომ ისინი აუცილებლად მოვიზიდოთ.

პარალელურად, ჩვენ აუცილებლად უნდა დავამყაროთ კონტაქტი უცხოეთში, მათ შორის - რუსეთში, უკრაინაში, აღმოსავლეთ ევროპაში არსებულ მონათესავე ეკონომიკურ ანალიტიკურ ცენტრებთან, რომლებიც გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკის საკითხებზე მუშაობენ, და შევქმნათ ერთობლივი თეორიულ-ანალიტიკური ქსელი, რათა მოხდეს ანალიტიკური კვლევების, მოსაზრებების გაცვლა, ექპერტების ჩამოყვანა. გვინდა, რომ მაქსიმალურად ღია ვიყოთ იმ სიახლეების მიმართ, რომელიც მსოფლიოშია ამ თვალსაზრისით.

ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გარკვეული მიზეზების გამო, რომლებზე ლაპარაკიც ახლა, ვფიქრობ, აღარ ღირს, გარკვეულწილად, ჩამოვრჩით იმ ტალღას, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში იყო 90-იანი წლების დასაწყისში. მაგალითად, მოსკოვში დღეს არსებობს ხუთი-ექვსი ძალიან ძლიერი ანალიტიკური ცენტრი, რომელიც აკეთებს კვლევებს იმ მეთოდებით, რომლებიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განვითარდა.

მათ შექმნეს გარკვეული კრიტიკული მასა ადგილობრივი კადრებით, რომელთაც დასავლეთში მიღებული განათლება ჰქონდათ. გარდა ამისა, მათ შეძლეს ეკონომიკაში არსებული, ჰარვარდის ან ჩიკაგოს თუ სხვა უნივერსიტეტის შედარებით ასაკოვანი პროფესორების ჩამოყვანა. მათ შეძლეს ასეთი ცენტრების გაკეთება. ჩვენ გვინდა, რომ ამ ტალღას მივყვეთ.

- ამ ხალხის მოზიდვას, გარდა სურვილისა, სერიოზული ფინანსები სჭირდება. ეს ფინანსები ინსტიტუტს აქვს?

- ეს ძალიან რთული თემაა. ინსტიტუტში რთული სიტუაცია დაგვხვდა - იქ, ელემენტარულად, არ არსებობს კომპიუტერები, თანამედროვე ტექნოლოგიებზე აღარაფერს ვამბობ. ამიტომ, ჩვენ ვგეგმავთ თანამედროვე კომპიუტერული კლასის გაკეთებას და ადგილობრივი კადრებისთვის გარკვეული ტრენინგების ჩატარებას. დღეს არც ერთი მოდელი არ მუშაობს ქაღალდზე - ამას სჭირდება თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფა, ეკონომეტრიკული მოდელირება და ასე შემდეგ, ამიტომ, ჩვენ ვაპირებთ საქართველოში და მის მიღმა არსებულ გრანტორებთან ურთიერთობას, ვფიქრობთ, რომ აღმოსავლეთ ევროპის ცენტრებთან ერთად ერთობლივი დაფინანსების მოპოვებასაც შევძლებთ.

- ანუ ბიუჯეტის იმედი არ გაქვთ?

- იმ მიზნების განსახორციელებლად, რაც ჩვენ გვაქვს, საჭირო იქნება სერიოზული ფინანსები. იმ რესურსებში, რომელსაც სახელმწიფო გვთავაზობს, ამის განხორციელება რთულია. დაფინანსება, თუ არ ვცდები, დაახლოებით 80 ათასის ფარგლებშია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ინსტიტუტში დღეს 130-ზე მეტი ადამიანი მუშაობს, მარტივი კალკულაციით ხელფასი გამოდის 40 ლარის ფარგლებში, რაც აბსოლუტურად არასწორია და ჩვენი მიზნებისთვის არასაკმარისია. ჩვენ გვესმის, რომ ვერ "ჩამოვეკიდებით" ბიუჯეტს, ამიტომ ვიზრუნებთ დამატებითი სახსრების მოზიდვაზე.

- იგეგმება თუ არა თანამშრომლების სერიოზული შემცირება?

- 140 ადამიანი, ჩემის აზრით, არის საკმაოდ გადამეტებული რაოდენობა იმასთან შედარებით, რა რესურსებიც რეალურად არის საჭირო. ამიტომ გარკვეული შემცირება, ცხადია, იქნება. ეს შემცირება არ შეეხება დღეს ინსტიტუტში მოღვაწე იმ მეცნიერებს, რომელთა სამუშაო ფასეულია. ასეთ ხალხთან ჩვენ გვჭირდება თანამშრომლობა. თუმცა, ადამიანებს, რომლებიც არაეფექტურად მუშაობენ ან მათი ნამუშევარი პრაქტიკულად გამოყენებადი არ არის, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინსტიტუტის დატოვება მოუწევთ. შესაძლოა, გარკვეული ჩანაცვლებაც მოხდეს - მაგალითად, მოვიზიდოთ ეკონომიკის სამინისტროში მომუშავე პროფესორები.

- ინსტიტუტის რესტრუქტურიზების კონკრეტული გეგმა არსებობს?

- ეს გეგმა შეიქმნება უშუალოდ ინსტიტუტში მუშაობის, მეცნიერებთან შეხვედრების პროცესში.

- არის თუ არა ფუნქციები, რომლისგანაც ინსტიტუტი უნდა გათავისუფლდეს?

- დღეისთვის ინსტიტუტს, გარდა მისი პირდაპირი ფუნქციისა, ანუ - კვლევების კეთებისა, ჰქონდა შეთავსებული გარკვეული აკადემიური ფუნქციები. აქ იყო სადისერტაციო საბჭო. ჩვენ ვამბობთ, რომ აკადემიური ხასიათის საქმე არის საგანმანათლებლო ინსტიტუტების თემატიკა და ეს არ უნდა კეთდებოდეს ეკონომიკის სამინისტროს ინსტიტუტში, სადაც პრაქტიკული კვლევები უნდა ტარდებოდეს.

- იმ შემთხვევაში, თუ ინსტიტუტი მოახერხებს პრაქტიკულად ღირებული პროგნოზების და ეკონომიკური დასკვნების შექმნას, ამ მეცნიერულ პროდუქტზე სახელმწიფოში მოთხოვნა იარსებებს? თქვენ მიიღეთ იმის გარანტიები, რომ ინსტიტუტის დასკვნებს გაიზიარებენ?

- ჩემი სურვილით და ჩემი ხედვით, ეს იქნება კვლევითი ცენტრი, რომელიც გაითვალისწინებს ყველა იმ სახელმწიფო ინტერესს, ვის ინტერესშიც შედის ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის წარმოება. ამასთან, ეს იქნება ცენტრი, სადაც თქვენ შეძლებთ, იპოვოთ პროფესიული ეკონომიკური ექსპერტული აზრი. დღეს ჩვენ ვართ ეკონომიკის სამინისტროს კონტროლის ქვეშ, თუმცა ეს ჩვენს კვლევით ინტერესებს არ ამოწურავს. ძირითადად, დაკვეთა მაინც წამოვა სამინისტროსგან და ჩვენ ამ დაკვეთას შევასრულებთ. გარანტიები არ ყოფილა, თუმცა კონკრეტული დაკვეთის არსებობა კვლევის შედეგის გამოყენების შესაძლებლობას ზრდის.

- ინსტიტუტის დაფინანსება ამ დაკვეთებზე იქნება დამოკიდებული?

- მთლიანად არა, რა თქმა უნდა. გარდა ამისა, უნდა გაკეთდეს თეორიული ხასიათის კვლევები და ინდივიდუალური კვლევები, ინდივიდუალური გრანტული დაფინანსების მოზიდვის გზით.

- თუ არის უკვე განსაზღვრული სახელმწიფოს მხრიდან პირველი დაკვეთის შინაარსი, ანუ - რა საკითხებზე აპირებთ კვლევების ჩატარებას უახლოეს პერიოდში?

- მაგალითად, ერთ-ერთი თემა, რომლის გაკეთებასაც ჩვენ პირველ რიგში ვაპირებთ, ეს არის ქვეყნის ეკონომიკური ატლასის შექმნა. ანუ, ეს იქნება რეგიონულ ჭრილში ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შეჯამება. ჩვენ უნდა ვნახოთ, ცალკეული რეგიონების მიხედვით, საქართველოს რა ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია, რა კეთდება რეგიონებში და რა შეიძლება გაკეთდეს. უნდა შეიქმნას მთლიანი ხედვა.

- რა ვადებში აპირებთ ამის გაკეთებას?

- ჩემთვის ზუსტი ვადის დასახელება ცოტა ძნელია, თუმცა მაქსიმალურად სწრაფად უნდა მოხდეს. აქ არ უნდა იყოს ლაპარაკი თვეებზე, წლებზე.

აფხაზეთში სატელეფონო მომსახურება ძვირდება

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საქალაქთაშორისო სატელეფონო გადასახადი უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად - თითქმის ექვსჯერ გაიზრდება. ამის შესახებ ინფორმაციას აფხაზური და რუსული ინტერნეტ-გამოცემები სახელმწიფო კომპანიის "Абхазсвязь" გენერალური დირექტორის ედუარდ პილის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე დაყრდნობით ავრცელებენ. მისი თქმით, ყოველთვიური სატელეფონო გადასახადი მომავალი წლიდან 80 რუსულ რუბლამდე იზრდება. დღეს კი ეს ტარიფი მხოლოდ 15 რუბლს შეადგენს.

ედუარდ პილის განცხადებით, ტარიფის ასეთი მკვეთრი ზრდა განპირობებულია ახალ, ციფრულ ქსელებზე გადასვლით. **"ეს კი მოსახლეობას ერთმანეთთან უფრო სწრაფად და უკეთესად დაკავშირების საშუალებას მისცემს,"** - დასძენს პილი.

ხსენებულ ინტერნეტ-გამოცემებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა რეაქცია მოჰყვა მოსახლეობის მხრიდან საკუთარი ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ტარიფის გაზრდა ადგილობრივი მოსახლეობის სერიოზულ უკმაყოფილებას გამოიწვევს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დღეს აფხაზეთში მინიმალური ყოველთვიური ხელფასი 513 რუსულ რუბლს შეადგენს, რაც დღევანდელი კურსით, დაახლოებით 17 ამერიკულ დოლარს უდრის.

სეპარატისტული ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო უარეს დღეში ჩააგდებს იმ პენსიონერებს, რომლებიც ბიუჯეტიდან პენსიის სახით ყოველთვიურად 60 რუბლს, დაახლოებით 2 აშშ დოლარს ღებულობენ (დღეს აფხაზეთში მინიმალური პენსია 60 რუბლია), მაშინ, როცა სამომხარებლო კალათა აფხაზეთში 1966 რუბლს - 65 დოლარს აღწევს.

ცნობისათვის: უკანასკნელი მონაცემებით, აფხაზეთის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 110 მილიონ დოლარს არ აღემატება, რაც ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 350-400 დოლარია. ეს კი თითქმის ოთხჯერ ნაკლებია საქართველოს დანარჩენ ტერიტორიებთან მიმართებაში.

შედარებისთვის: დღეს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1200 აშშ. დოლარს აღწევს. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოხმარებული პროდუქტი რეგიონში წარმოებულს მნიშვნელოვნად აღემატება.

კიდევ უფრო შემაშფოთებელია სეპარატისტთა ბიუჯეტებიდან ერთ მოსახლეზე გაწეული ხარჯების შეფარდება. თუკი ცენტრალური ხელისუფლება საკუთარი მოქალაქის კეთილდღეობისთვის წელიწადში, საშუალოდ, 230 დოლარს ხარჯავს, აფხაზ სეპარატისტთა ხელისუფლება საამისოდ 30-40 დოლარზე მეტს "ვერ იმეტებს". ექსპერტული შეფასებებით, ამ მაჩვენებლებით აფხაზეთი დღეს აფრიკის დაბალგანვითარებული ქვეყნის დონეზე იმყოფება.

რუსეთის სახელისუფლებო წრეებისა და კერძო ბიზნესმენების მიერ აფხაზეთში განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობა რამდენიმე ასეულ მილიონ რუბლს აღწევს, თუმცა საშუალო ხელფასი რეგიონში 14-17 ამერიკულ დოლარზე მეტი მაინც არ არის.

24 საათი

"ნარინჯისფერთა" პირველი გამარჯვება

პირველი გვერდიდან

თუმცა, რუმინეთის შემთხვევაში დაძაბულობას პიკამდე არ მიუღწევია და მხოლოდ რამდენიმე ათასიანი ქუჩის აქციებით შემოიფარგლა. შესაძლოა, ეს ფაქტი იმითაც იყო გამოწვეული, რომ რუმინეთს უკვე კარგა ხანია, არჩეული აქვს საგარეო-პოლიტიკური კურსი - მიმდინარე წლის აპრილში ნატო-ს წევრიც გახდა. ასე რომ, გარე ძალების (მათ შორის, ერთმანეთის მიმართ არცთუ კეთილად განწყობილების) ჩარევა ისეთი შესამჩნევი არ ყოფილა. რასაკვირველია, რუმინეთს პრობლემები აქვს - აქაც ძლიერია პოსტკომუნისტური მენტალიტეტი, აქედან გამომდინარე კორუფციის მასშტაბებით. თუმცა, რუმინეთში დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირების ნიშნებიც კი არ არის. უბრალოდ, ქვეყანა ევროკავშირში გასაწევრიანებლად ემზადება და სახელმწიფოს ევროპულ "რელსებზე" გადასაყვანად ახალი პოლიტიკური ძალა სჭირდება სათავეში და არა უკვე "მობეზრებული" მემარცხენეთა სახეები.

კვირას, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში რუმინელ ხალხს უნდა გადაეწყვიტა, თუ ვინ "შეუძლებოდა" გაერთიანებულ ევროპულ ოჯახში - ქვეყნის მოქმედი პრემიერ-მინისტრი (ამჟამინდელი პრეზიდენტის იონ ილიესკუს მემკვიდრე და კომუნისტური ნომენკლატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი) ადრიან ნასტასე თუ პროდასავლური პოლიტიკოსი (წარსულში შორეული ნაოსნობის კაპიტანი), დედაქალაქის მერი ტრაიან ბაშესკუ.

სავარაუდოდ, სწორედ უკანასკნელი იქნება რუმინეთის შემდეგი პრეზიდენტი.

მართალია, არჩევნების საბოლოო შედეგები, ჯერჯერობით, არ გამოქვეყნებულა (შეჯამებულია მონაცემების 99 პროცენტი), მაგრამ, თუ თავად კანდიდატების განცხადებებით ვიმსჯელებთ, აშკარაა, გამარჯვება ბაშესკუს ხვდა წილად.

გუშინ საღამოს, რუმინეთის ტელევიზიით გამოსვლისას ადრიან ნასტასემ დამარცხება აღიარა. "შედეგები გვიჩვენებს, რომ ტრაიან ბასესკუ რუმინეთის ახალი პრეზიდენტია," - განაცხადა ნასტასემ.

საკმაოზე მეტი მსგავსებაა უკრაინისა და რუმინეთის საპრეზიდენტო არჩევნებს შორის. შემთხვევით თუ განზრახ, ორივე ქვეყნის ოპოზიციას ერთი ფერი - ნარინჯისფერი აქვთ სიმბოლოდ აღებული, მაშინ, როცა ადრიან ნასტასეს მომხრეები, ისევე როგორც უკრაინაში იანუკოვიჩის მხარდამჭერები - ცისფერს ამჯობინებენ.

მსგავსება შეინიშნება კანდიდატების მხარდამჭერ მოსახლეობის ფენებს შორისაც. აღმოჩნდა, რომ რუმინელი ოპოზიციონერი ბაშესკუ ისევე სარგებლობს დასავლურ, დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული საშუალო ფენის კეთილგანწყობით, როგორც მისი კოლეგა უკრაინაში. ამავდროულად, ნასტასეს მხარდამჭერთა შორის მეტწილად რუმინელი ოლიგარქები, სოფლად მცხოვრებთა დიდი ნაწილი და, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მეშახტეები იყვნენ.

მართალია, არჩევნების საბოლოო შედეგები, ჯერჯერობით, არ გამოქვეყნებულა (შეჯამებულია მონაცემების 99 პროცენტი), მაგრამ, თუ თავად კანდიდატების განცხადებებით ვიმსჯელებთ, აშკარაა, გამარჯვება ბაშესკუს ხვდა წილად.

გუშინ დასავლურ პრესაში ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ყოფილ სოციალისტურ ბანაკში ხავერდოვანი რევოლუციების მეორე ტალღა მძვინვარებს.

რუმინული ოპოზიციის ტრანსფარანტებზეც ერთადერთი მოწოდება იყო გამოსახული - "DA", თუმცა უკრაინული მრავალმნიშვნელოვანი "რაკ!"-ისგან ეს რუმინული სიტყვების - ჭეშმარიტება, სამართლიანობა - აბრევიატურა იყო.

ერთი მსგავსება, თუმცა მხოლოდ ირიბი, ორ ქვეყანას შორის კიდევ არსებობს. როგორც გახსოვთ, უკრაინის ოპოზიციას შუალედური გამარჯვების მისაღწევად დიდ კომპრომისზე მოუხდა წასვლა. უკრაინის რადამ შესწორებები შეიტანა კონსტიტუციაში, რომლის მიხედვითაც ახალ პრეზიდენტს მნიშვნელოვნად შეეკვეცა უფლებები. კერძოდ, უკრაინის ახალი პრეზიდენტი ვეღარ შეძლებს მთავრობის წევრებისა და რეგიონის მმართველების დანიშვნას - ამ ფუნქციას საკანონმდებლო ორგანო შეითავსებს. რუმინეთის შემთხვევაში ასეთ დათმობაზე წასვლა ოპოზიციას არ დასჭირვებია, რადგანაც ქვეყნის კანონმდებლობით ასეთი უფლებები პრეზიდენტს ისედაც არ ქონია. ასე რომ, სავარაუდოდ, გამარჯვებულ ტრაინ ბაშესკუს (ისევე როგორც იუშენკოს გამარჯვების შემთხვევაში) დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევს რეფორმების მოსურნე მთავრობის ჩამოსაყალიბებლად. კვლავაც სახეზეა ანალოგია - რუმინეთის პარლამენტში (ისევე როგორც უკრაინაში), თუნდაც მცირე, უპირატესობას მმართველი პარტია ინარჩუნებს.

მსგავსებებზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს, თუმცა, რა თქმა უნდა, თვალსაჩინო განსხვავებაც არსებობდა. რუმინეთის ცესკო-მ ყოველგვარი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საერთაშორისო შუამავლების გარეშე, გუშინ საზოგადოებას არჩევნების წინასწარი შედეგებით ბაშესკუს გამარჯვების შესახებ ამცნო. საარჩევნო ოქმების 99 პროცენტის შეჯამების შემდეგ ბაშესკუს ამომრჩეველთა 51 პროცენტზე მეტი უჭერდა მხარს, მაშინ როცა, ნასტასეს მხარდამჭერთა რაოდენობა არჩევნებში მონაწილეთა 48 პროცენტს ოდნავ აღემატებოდა. ასე რომ, არანაირი რევოლუცია საჭირო არ გახდა.

მიუხედავად რუმინეთის არჩევნების "მშვიდობიანი" დასასრულისა, მთავარი მაინც ტენდენციაა - გუშინ დასავლურ პრესაში ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ყოფილ სოციალისტურ ბანაკში ხავერდოვანი რევოლუციების მეორე ტალღა მძვინვარებს. როგორც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყიში, დღესაც "საძულველი" პოლიტიკური რეჟიმების "ხავერდოვანი" გზით ჩამოგდება პოპულარული, უფრო მეტიც, ხშირად ერთადერთი, ალტერნატივა გახდა.

გაერო: ჩინეთს ჩვენი დახმარება აღარ სჭირდება

გაერო-ს საერთაშორისო სასურსათო პროგრამის წარმომადგენლები ჩინეთს მოუწოდებენ, უარი თქვას სასურსათო დახმარებაზე და საზღვარგარეთ, გაჭირვებულ ქვეყნებში კვების საკუთარი პროდუქტები გაგზავნოს.

მომავალ წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ჩინეთისთვის სასურსათო დახმარების პროგრამა თანდათანობით უნდა შეკვეცოს.

უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში, გაერო-ს საერთაშორისო სასურსათო პროგრამის ფარგლებში, დახმარება 35 მილიონმა ჩინელმა მიიღო. თუმცა, ახლა გაერო მიიჩნევს, რომ ეს ქვეყანა დახმარებას აღარ საჭიროებს.

მიმომხილველები აცხადებენ, რომ ეს ყველაფერი საერთაშორისო არენაზე ჩინეთის როლის შეცვლაზე მიუთითებს.

"ჩინეთს თავად ძალუძს საკუთარი პრობლემების მოგვარება. ჩვენ მას აღარ ვჭირდებით," - განაცხადა გაერო-ს საერთაშორისო სასურსათო პროგრამის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯეიმს მორისმა.

მორისი ამჟამად პეკინში იმყოფება, სადაც შეხვედრებს მართავს მთელ რიგ ჩინელ პოლიტიკოსებთან. მოსალოდნელია, რომ იგი მათ ჩინეთის დონორ ქვეყნად გადაქცევაზე ფიქრს შესთავაზებს.

"ჩინეთს დიდი გამოცდილება აქვს იმისა, თუ მილიონობით ადამიანი როგორ გადაარჩინოს სიღარიბეს და შიმშილს. ჩინეთს მსოფლიოსთვის ბევრის მიცემა შეუძლია, პირველ რიგში კი ცოდნის და რესურსების. დღეს ეს ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანია და მე ძალიან მინდა, რომ ჩინეთმა აქტიურად დაიწყოს ჩვენი დახმარება," - განაცხადა ჯეიმს მორისმა.

თუმცა, თავად ჩინეთში ვითარება იმაზე გაცილებით რთულია, ვიდრე გაერო-ს სპეციალისტები მიიჩნევენ.

ქვეყნის ეკონომიკური დონის საკმაო ზრდის მიუხედავად, გასულ წელს, ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, სიღარიბის უკიდურეს ზღვარზე მყოფთა რიცხვი, პირველად 25 წლის განმავლობაში, გაიზარდა.

ჩინეთის ერთ-ერთი პროვინციის ხელმძღვანელმა ადგილობრივ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს განუცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მართლა შეწყვეტს მისი რეგიონის მოსახლეობისათვის სასურსათო დახმარების გაგზავნას, მას სხვა სპონსორების მოძიება მოუწევს.

24 საათი

მარვან ბარგუტი, რომელსაც სამუდამო პატიმრობა ხუთჯერ მიუსაჯეს, საარჩევნო რბოლას ეთიშება

პალესტინის ავტონომიის ლიდერობის ერთ-ერთმა კანდიდატმა მარვან ბარგუტიმ, რომელსაც ხუთჯერ მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა და ამჟამად სასჯელს ისრაელის ციხეში მკვლელობის ბრალდებით იხდის, განაცხადა, რომ ხსნის საკუთარ კანდიდატურას. მან ავტონომიის ხელმძღვანელის პოსტზე მთავარ პრეტენდენტს მაჰმუდ აბასს დაუჭირა მხარი.

თუმცაღა, თავის განცხადებას მან აბასის მიმართ წერილიც აახლა, სადაც მისგან მოითხოვს, არ დაეთანხმოს რადიკალური დაჯგუფებების იმ აკრძალვებს, რასაც ისრაელი კონტაქტების ნორმალიზაციისთვის აუცილებელ პირობად მიიჩნევს. ბარგუტი ასევე მოითხოვს, რომ აბასმა ისრაელთან არც ერთ შეთანხმებას არ მოაწეროს ხელი, სანამ ეს უკანასკნელი ისრაელის ციხეში მყოფ ყველა პალესტინელს არ გაათავისუფლებს.

ამასთან, ისრაელის ხელისუფლებამ 200 პალესტინელის გათავისუფლებაზე წინასწარი თანხმობა განაცხადა. ეს ნაბიჯი გადადგმულ იქნა ეგვიპტეში ისრაელი არაბის აზამა აზამას გათავისუფლების სანაცვლოდ, რომელიც შპიონაჟის ბრალდებით 8 წელი იხდიდა სასჯელს.

ისრაელმა ასევე განაცხადა, რომ პატიმართა მასობრივი გათავისუფლება - კეთილი ნების ჟესტია და პირობა დადო, რომ კვლავ განაგრძობს პალესტინელთა გათავისუფლებას, თუ ავტონომიის ხელისუფლება ექსტრემიზმთან ბრძოლის მზადყოფნას გამოთქვამს.

ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რა რეაგირებას მოახდენს უკანასკნელი მოვლენები პატიმართა გათავისუფლების პროცესზე.

ამასობაში კი პალესტინელმა მებრძოლებმა ღაზას სექტორისა და ეგვიპტეს საზღვარზე ისრაელის საკონტროლო გამშვები პუნქტი ააფეთქეს. დაახლოებით ერთი საათის ინტერვალით მომხდარმა აფეთქებებმა რამდენიმე შენობის ნგრევა და მსხვერპლი გამოიწვია. ისრაელის ხელისუფლების მონაცემებით, დაღუპულია ოთხი ადამიანი.

პალესტინელთა ლიდერის იასირ არაფატის გარდაცვალების შემდეგ, ეს, ბოლო შვიდი თვის განმავლობაში, არმიის ყველაზე დიდი დანაკარგია და ბოლო თვის განმავლობაში ყველაზე მასშტაბური თავდასხმაა.

დამკვირვებელთა აზრით, აფეთქება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ პალესტინელთა ლიდერის გარდაცვალების შემდეგ არსებული სიმშვიდე მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო.

არაფატი ნოემბრის დასაწყისში პარიზში გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზები უცნობი დარჩა. პალესტინელთა დიდი რაოდენობა დარწმუნებულია, რომ არაფატი მოწამლეს.

რუსი ლიბერალები "პუტინიზმის" წინააღმდეგ

"ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვართ იმ კურსის, რაც დღეს რუსეთში ტარდება. ჩვენი პოლიტიკური კურსია - დემოკრატიული ოპოზიცია. ამაში ჩვენ მოვიაზრებთ იმ პოლიტიკურ ძალებს, რომელთაც პრეზიდენტის, ხელისუფლების და სახელმწიფო სათათბიროს შემადგენლობის შეცვლა სურს," - ამ სიტყვებით მოუწოდა გაერთიანება "იაბლოკოს" ლიდერმა გრიგორი იავლინსკიმ ლიბერალურ ფრთას.

ნინო გომართელი

რუსეთის ფედერაციის ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და მომავალ არჩევნებში წარმატების მიღწევისათვის ერთობლივ ბრძოლას იწყებენ.

ამჟამინდელი რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკური კურსისა და დემოკრატიული განვითარების პრობლემებს მიეძღვნა მოსკოვში, სასტუმრო "კოსმოსში", დემოკრატიული პარტიებისა და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული საერთორუსული სამოქალაქო კონგრესი "რუსეთი დემოკრატიისათვის, დიქტატურის წინააღმდეგ".

კონგრესში მონაწილეობას იღებდა ადამიანთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების, პარტიების "იაბლოკო", "შემარჯვენე ძალთა გაერთიანება", "ჩვენი არჩევანი" და "რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის" ათასამდე წარმომადგენელი, რომელთაც განიხილეს რუსეთის დემოკრატიული განვითარების პრობლემები.

"კონგრესის გეგმები - ერის გეგმები" - იყო ერთ-ერთი ლოზუნგი, რომლებიც მონაწილეებს ჰქონდათ დარიგებული.

მიღებულ იქნა დეკლარაცია ერთობლივად მოქმედებების შესახებ, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ "მიუღებელია ამჟამინდელი ხელისუფლების პოლიტიკა, რაც მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დამოუკიდებლობას ახშობს და ეფექტურ ეკონომიკურ სტრუქტურებს ამსხვრევს".

დეკლარაციის ავტორები განვითარების დემოკრატიული გზის მომხრეებად გამოდიან და მიიჩნევენ, რომ ამის გარეშე ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები ვერ მოგვარდება.

ამასთან ხაზგასმულია კონსტიტუციის დაცვის აუცილებლობა და ერთობლივად მოქმედების დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ კონგრესის მონაწილეები სამართლიანი არჩევნების ჩატარების, მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებისა და დემოკრატიის დაცვის კუთხით ერთობლივად იმოქმედებენ.

"კონსტიტუციის და ადამიანთა უფლებების უხეში და აშკარა დარღვევის შემთხვევაში ჩვენ მზად ვართ მკვეთრი მოქმედებებისთვის, მათ შორის სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მასიური აქციების გამართვისთვის," - აღნიშნულია ერთობლივ დეკლარაციაში.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა კონგრესზე, შეიძლება ითქვას, იყო მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, კომიტეტ "თავისუფალი არჩევნები 2008"-ს ხელმძღვანელი გარი კასპაროვი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია დემოკრატიული ოპოზიციის რიცხვის გაზრდა და მისი მოქმედების გააქტიურება.

"ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ამ ხელისუფლებასთან არაფერი გვაკავშირებს. და დღეს, საკმაოდ მარტივი დილემის წინაშე ვდგავართ: რა დაგვრჩება ამ ქვეყანაში ერთი, ორი ან სამი წლის შემდეგ. ან კონსტიტუცია, ან ეს ხელისუფლება. მე კონსტიტუციას ვირჩევ," - განაცხადა კასპაროვმა.

ამავე ორგანიზაციის წარმომადგენელმა ბორის ნემცოვმა კი ხაზი გაუსვა, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში არ შეიძლება იმის დაშვება, რომ რუსეთში ერთმანეთს "პუტინიზმი და ფაშიზმი ებრძოდეს", აუცილებელია ერთიანმა ძლიერმა ბლოკმა ერთი კანდიდატი წარადგინოს, ამის წინაპირობა კი დემოკრატიულ ძალთა გაერთიანება და მათი ახალი კონფიგურაციაა.

მანვე თავის გამოსვლაში გააკრიტიკა ბოლო დროს მემარჯვენე ძალთა ქმედებები და მიანიშნა, რომ რევოლუცია რუსეთში არ მოხდება და ეს ქვეყანა **"ქუჩის დემოკრატიისათვის მზად არ არის".**

"არანაირი ნარინჯისფერი რევოლუცია ჩვენთან არ მოხდება. პირველ რიგში იმის გამო, რომ ჩვენი დემოკრატი ლიდერების, მათ შორის ჩემიც, ამბიციები საკმარისზე დიდია და, შეიძლება ითქვას, ნაციონალურ ინტერესებზე მაღლაც დგას," - განაცხადა მან.

ჯერჯერობით, გადაწყვეტით ვერავინ ამბობს, თუ რამდენად არის ლიბერალური ფრთა გაერთიანებისთვის მზად, თუმცა პარტია "იაბლოკოს" ლიდერებმა და მემარჯვენე ძალთა კავშირმა კონგრესზე დემოკრატიულ ძალებს გაერთიანებისაკენ მოუწოდეს.

"უსუსურობისა და ფსევდოდემოკრატიის გადასალახავად აუცილებელია დემოკრატიულ ძალთა გაერთიანება და "იაბლოკო" თავის პარტიას ასეთი გაერთიანების საფუძვლად გთავაზობთ," - განაცხადა "იაბლოკოს" ლიდერმა გრიგორი იავლინსკიმ.

ამასთან, სახელმწიფო სათათბიროს დამოუკიდებელმა დეპუტატმა **ვლადიმირ რიჟკოვმა** მხარი დაუჭირა მუდმივი საერთორუსული კომიტეტის შექმნას და ყველა დემოკრატიულ ძალას მანაც გაერთიანებისაკენ მოუწოდა.

ამასთან, იგი მიიჩნევს, რომ ბოლო წლების განმავლობაში რიგმა სახელმწიფო თუ სამოქალაქო ინსტიტუტებმა ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში დამოუკიდებლობა დაკარგეს. **"ეს არის სახელმწიფო სათათბიროს, ფედერაციის საბჭოს დამოუკიდებლობის დაკარგვა, ფედერალიზმის დაკარგვა, დამოუკიდებელი ტელევიზიის და სხვა მრავალის,"** - მიიჩნევს რიჟკოვი.

ორი სიტყვით

რუსეთი. ჩეჩნეთის შალის რაიონში შეიარაღებულ ჩეჩენთა რაზმთან ბრძოლაში გუშინ სამი რუსი ჯარისკაცი დაიღუპა და ექვსი დაიჭრა. მოკლულია ოთხი "ბოევიკი". იმავე დღეს ვედენოს რაიონის კომენდატურის შენობასთან ნაღმზე აფეთქების შედეგად ორი რუსი სამხედრო მოსამსახურე მძიმედ დაიჭრა. გროზნოს ლენინის რაიონში შვიდი ადგილობრივი მცხოვრებია დაკავებული. როგორც რადიო "თავისუფლების" კორესპონდენტი იუწყება, რუსმა სამხედროებმა დაკავებულები ავტომატის კონდახებით სცემეს, შემდეგ ჯავშანტრასპორტიორში ჩასხეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ერაყი. 13 ადამიანი დაიღუპა და დაახლოებით 20 დაიჭრა გუშინ ბაღდადის ცენტრში განხორციელებული ტერაქტის შედეგად.

როგორც კატარის თანამგზავრული ტელეარხი "ალ-ჯაზირა" იუწყება, კამიკაძე-ტერორისტმა თავი ე.წ. "მწვანე ზონასთან" აიფეთქა, სადაც დიპლომატიური მისიები და სახელმწიფო დაწესებულებები მდებარეობს. აფეთქების შედეგად რამდენიმე ავტომანქანა განადგურდა. გუშინვე, ერაყის ანბარის პროვინციაში 7 ამერიკელი საზღვაო ქვეითი დაიღუპა.

როგორც კოალიციის სარდლობის განცხადებაშია აღნიშნული, საზღვაო ქვეითთა პირველი საექსპედიციო კორპუსის სამხედრო მოსამსახურეები "პროვინციაში სტაბილურობის და უსაფრთხოების აღდგენის ღონისძიებების დროს" დაიღუპნენ. ამ ოპერაციის დეტალებზე, ისევე, როგორც საზღვაო ქვეითთა დაღუპვის გარემოებებზე, არაფერს იუწყებიან.

ამგვარად, ერაყში საომარი კამპანიის დაწყების შემდეგ ამ ქვეყანაში დაღუპულ ამერიკელ სამხედროთა რაოდენობამ 1296-ს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ გუშინ ამერიკის ჯარების მიერ ერაყის ექსპრეზიდენტის სადამ ჰუსეინის შეპყრობიდან წელი შესრულდა. **ინტერ-პრესი**

სანდრო ნავერიანის სვეტი

ბედის ირონია ანუ გეუხერხულოთ

საუკუნის წინ "მარშრუტკები" რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ვაჟას, ილიას, აკაკის კიდევ ერთი შთაგონების წყარო ექნებოდათ და, ვინ იცის, იქნებ "მარშრუტკაში" ისეთი ამბავი შემთხვეოდათ, რომ შემდეგში ლექსად, პოემად ან რომანად ექციათ, თუმცა, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ - თანამედროვე ქართველი მწერლები ხომ გვყავს და ამ მისიას ისინი იკისრებენ (რა თქმა უნდა, თუ მგზავრობენ ტრანსპორტის ამ საშუალებით) და თუ არ იკისრებენ, არც ამით დაგვაკლდება რამე. მთავარი ეს არ არის - მთავარია, "მარშრუტკა", რომელიც, არ ვიცი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, თბილისის ყველაზე პოპულარული და **კომფორტული** (ხაზგასმა ჩემია) ტრანსპორტია.

მას შემდეგ, რაც ამ გაზეთში მუშაობა დავიწყე, ბევრი წერილი დავწერე და ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ჩემი წერილი მარშრუტკაში გაგონილ დიალოგზე ან მომხდარ ინციდენტზე ყოფილა აგებული და აი, დღესაც ამ ყველასათვის **საყვარელ** (ხაზგასმა აქაც ჩემია) ტრანსპორტზე მინდა გითხრათ ერთი-ორი "სმეშნოი" სიტყვა. ეს ისე, სხვათა შორის.

რატომ ითვლება "მარშრუტკა" კომფორტულ ტრანსპორტად და, საერთოდ, რა არის ამ ტრანსპორტის პრივილეგია? პირველ ყოვლისა ის, რომ დიდი ტაქსის ფუნქციას ატარებს - მიყავხარ იქ, სადაც გინდა. მთავარია, სწორად შეარჩიო "მარშრუტკის" ხაზი. ერთი სიტყვით, ტაქსისგან იმით განსხვავდება, რომ აქვს რეისი, რომელსაც ვერ შეცვლის, ხოლო ავტობუსისგან - ყველა გაჩერებაზე არ აჩერებს და უფრო სიხალვათეა. კიდევ ის არის განსხვავება, რომ ტაქსზე იაფი ღირს, მაგრამ ავტობუსზე - ორჯერ ძვირი. მთავარი განსხვავება მაინც ის არის, რომ "მარშრუტკაში" ფეხზე არ უნდა იდგე, უნდა იჯდე; ავტობუსში, ტროლეიბუსში და ტრამვაში კი, ფეხზე დგომა ჩვეულებრივი მოვლენაა. მოკლედ, რისი თქმაც მინდა, ახლავე გაიგებთ.

გიყვებით იმას, რაც "მარშრუტკით" ყოველი ჩემი მგზავრობისას მემართება. ტრანსპორტის ამ საშუალებით კი, თითქმის ყოველდღე ვმგზავრობ. აი, თუნდაც 51 ნომერ სამარშრუტო ტაქსს ვაჩერებ, ვჯდები და მივდივარ რედაქციაში. ერთი-ორი თავისუფალი ადგილი კიდევ არის; მძღოლმა კიდევ აიყვანა მგზავრები; თავისუფალი ადგილები აღარ დარჩა - მანქანა სავსეა. მძღოლმა კიდევ აიყვანა მგზავრი, მიუხედავად იმისა, რომ ადგილები აღარ არის. მგზავრი გოგოა ("მარშრუტკით", ასევე, მგზავრობენ მოხუცები, ქალები და ბავშვები); ამოვიდა და ფეხზე დადგა - იძულებულია. იქვე მჯდომი სანდრო (ანუ მე) წამოდგა და გოგოს მის ადგილზე დაჯდომა შესთავაზა, თუმცა ამის გაკეთება ძალიან არ უნდოდა - ბოლოს და ბოლოს, "მარშრუტკით" ხომ იმიტომ მგზავრობს, რომ კომფორტულად მივიდეს დანიშნულების ადგილამდე. მაგრამ, სანდრომ თავი უხერხულად იგრძნო, ზრდილობა გამოიჩინა და გოგოს მაინც შესთავაზა დაჯდომა. გოგოსაც ეუხერხულა. მართალია, უარის თქმა არ უნდოდა, - ერთი, - "არა, იყოს, ბრძანდებოდეთ", - მაინც თქვა, მაგრამ დაჯდა. რა გამოვიდა? რა და ის, რომ მძღოლმა ორი ადამიანი უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენა, თვითონ კი საკუთარი ჯიბე 50 თეთრით გაისქელა და სინდისის ქენჯნასაც არ შეუწუხებია. ეგრე სადაა, იმან ჩემზე ფულები აკეთოს, მე უხერხულობაში ჩავვარდე და, კომფორტულად მგზავრობის ნაცვლად, დავიღალო? თან, მე შენ გეტყვი და, გამართული დგახარ - არა, შენც არ მომიკვდე! "მარშრუტკიდან" რომ გადმოვდივარ, ხან ჭადრაკის ცხენივით მოხრილი ვარ, ხან ჰოკეის ჯოხის ფორმა მაქვს მიღებული.

ვიღაც ეგოისტი, მარტო თავის თავზე მზრუნველი და მოწუწუნე არ გეგონოთ. ასე რომ იყოს, წერილს კი არ დავწერდი, მარშრუტკის მძღოლს სასამართლოში ვუჩივლებდი, - შენ რომ გოგოს გაუჩერე, მანქანაში ამოიყვანე, ადგილი რომ არ იყო, მე რომ დავუთმე და, იმის გამო, რომ შენს მანქანას დაბალი ჭერი აქვს და მოხრილი ვიდექი, წელკავი დამემართა, ახლა მკურნალობის ფულები შენ გადაიხადე-მეთქი. მაგრამ, ღმერთი, რჯული, არ ვარ ინტრიგანი, უბრალოდ, ზრდილობიანი ადამიანი ვარ, რომელიც, თავისი ზრდილობის საფასურად, ოდნავი კომფორტის შეგრძნებას ითხოვს და ამასაც - მხოლოდ "მარშრუტკის" მძღოლებისაგან.

მე შანსი მაქვს და ამიტომაც, ჩემს შანსს ვიყენებ - პრობლემა, რომელიც მარტო მე არ მანუხებს, მზის შუქზე გამომაქვს. ასეთი შანსი ყველა იმ ადამიანს რომ ჰქონდეს, რომელიც ზრდილობისა და ეთიკის მსხვერპლია, დარწმუნებული იყავით, გაზეთების გვერდები გადაჭედილი იქნებოდა "მარშრუტკის" მძღოლების წინააღმდეგ გალაშქრებული ადამიანების წერილებით.

რამდენიც უნდა ვილაპარაკო, ჩემს ნათქვამს ყველა თავისებურად გაიგებს და სანდრო ნავერიანზე ყველას თავისი წარმოდგენა შეექმნება, მაგრამ ეს არ მაღელვებს.

ყველაზე რთული ის არის, როდესაც ამ ღვთისგან მივიწყებულ ტრანსპორტში ფეხზე დგახარ, აქეთ-იქით გვერდს შენსავით გაჭირვებული მგზავრები გიმშვენებენ, კოჭზე განვება მარშრუტკის ვიწრო დერეფანში გადებული "ხადავოი" (მანქანის ერთგვარი ნაწილი), რომლის პატრონიც თავისივე "პაკრიშკებზე" ზის (იმის გამო, რომ მარშრუტკაში თავისუფალი ადგილი არ არის), უკანა მხრიდან ბავშვის ტირილი ტვინში გირტყამს (იტირებს, აბა, რა), რომლის გასაჩუმებლადაც დედამისმა ძუძუ იშიშვლა და, სადაცაა გამოკვებავს; მარჯვენა ფლანგიდან გესმის, თუ როგორ დაალპო ზედა მეზობლისგან ჩამოსულმა წყალმა მალვინას დედამთლის "კარაკოშკა" (კარ-ფანჯარა), და ეს ყველაფერი რადიო "არ დაიდარდოს" ფონზე ხდება, სადაც ვიღაც ქალი გულამოსკვნილი კივის: "მე ხომ არა ვარ სულიკო". ასეთი ვითარების ატანა შეუძლებელია და ექსტაზში ვარდები, ეცემი მძღოლს, მართვის მოწმობას თავზე გადაახევ, მაგნიტოფონს გადაამტვრევ, ვინც მძღოლობა ურჩია, იმას გალანძღავ, "მარშრუტკიდან" ნერვებმოშლილი ჩახვალ და სამსახურში წასასვლელად ისევ "მარშრუტკას" გააჩერებ... ბედის ირონია... ეს არის ბედის ირონია და არა ის, ჟენიას ქალაქი რომ შეეშალა, ნადია გაიცნო, შეუყვარდა და გადაირია.

ასეთ პირობებში ცხოვრება და, მით უმეტეს, მუშაობა შეუძლებელია... მარშრუტკის მძღოლებს ომს ხომ არ გამოვუცხადებ?! ამიტომაც, ჯობს, ტკბილად და მშვიდობიანად მოვაგვარო ყველაფერი. ხომ გაგიგონიათ, - "გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი"; ჰოდა, ხელისუფალნო, რომ გვპირდებით, - მარშრუტკების რიცხვს შევამცირებთო, - და არაფერსაც არ აკეთებთ, ის მაინც გააკეთეთ, რომ მარშრუტკის მძღოლებს აუკრძალოთ იმაზე მეტი მგზავრის აყვანა, რამდენი სავარძელიც არის მანქანაში მოთავსებული. სხვას რომ თავი დავანებოთ, ასე მგზავრობა სახიფათოა.

FAO საქართველოში ახალ პროექტს აფინანსებს

2005-წლიდან საქართველოში, გაერთიანებული გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) დაფინანსებით, განხორციელდება ადამიანისა და ცხოველებისათვის საერთო საშიში სასაზღვრო დაავადებების გასაკონტროლებელი პროექტი. ზემოთ აღნიშნულის შესახებ განაცხადეს გუშინ სასტუმრო "ვარაზში" გამართულ სემინარზე. როგორც ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ირაკლი ტყემალაძემ აღნიშნა, პროგრამა მოიცავს მთელ ამიერკავკასიას - საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ ზონაში პროექტის კოორდინაციის უფლება საქართველოს მიენიჭა.

პროექტი გულისხმობს საშიში დაავადებების - თურქულისა და მსხვილფეხა პირუტყვის ჭირის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას. პროგრამის ფარგლებში საქართველოს მხარე ყოველწლიურად უსასყიდლოდ მიიღებს 300 ათას დოზა თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინას, რომელიც სასაზღვრო რეგიონებში არსებული პირუტყვის სრული სულადობის ვაქცინაციისთვის გამოიყენება. აგრეთვე, საქართველოს გადაეცემა საკმაოდ ძვირადღირებული ლაბორატორიული აპარატურა, რომელიც განკუთვნილია დაავადებათა ექსპრეს-დიაგნოსტიკისათვის. გათვალისწინებულია კომპიუტერული სისტემის უსასყიდლოდ ინსტალაციაც, რის მეშვეობითაც მოხდება ინფორმაციის გაცვლა როგორც ცენტრსა და რეგიონებს, ასევე, ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის. სემინარები ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება და მიეძღვნება ამ პროექტის საწყის ეტაპზე განსახორციელებელ ღონისძიებებს. კერძოდ, დასახული და განხილული იქნება პროგრამის მიმდინარეობის გეგმები, მის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების გრაფიკი - როგორ მოხდება პროგრამის პრაქტიკული განხორციელება და სპეციალური ტრეინინგების ჩატარება. სემინარებს FAO-ს კონსტრუქტორები გამართავენ. აღსანიშნვია ისიც, რომ სემინარზე დასასწრებად საქართველოში სპეციალური ვიზიტით იმყოფებიან აზრბაიჯანისა და სომხეთის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები.

24 საათი

ვის მეტად უყვარს ბავშვები

თბილისის საკრებულოს უმრავლესობა და ოპოზიცია თანაქალაქელი ბავშვების სიყვარულში ორი-სამი კვირის განმავლობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ბოლო სხდომაზე მათი ჭიდილი, როგორც ყოველთვის, უმრავლესობის გამარჯვებით დასრულდა - გადაწყდა, რომ 326 თასი ლარით ჯობს ბავშვები გაართო, ვიდრე აჭამო ან ჩააცვა, როგორც ამას საკრებულოს ოპოზიციონერი წევრები მოითხოვდნენ.

ნანა ქადაგიშვილი

ალბათ, მიხვდებით, ეს ის ათასებია, რომელსაც, როგორც ამბობენ, კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი დავით ოქიტაშვილი შეეწირა. თუმცა, კარგად თუ ჩავუკვირდებით, მთლად ასეც არ უნდა იყოს საქმე. ოქიტაშვილის საავრძლის გათავისუფლების შემდეგ საახალწლო ზეიმისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან დასახარჯი თანხა არათუ შემცირდა, ქალაქის მერისა და საკრებულოს უმრავლესობის წყალობით, 250 ათასი ლარიდან 326 ათას ლარამდე გაიზარდა. თბილისის ხელმძღვანელობას საახალწლოდ მოწვეული ინგლისელი მოციგურავეებისა და "მფრინავი დათვების" წინაშე თავის შერცხვენის აღარ შეეშინდება და მათ 2004 წლის 31 დეკემბრის ღამეს მერიის შენობის წინ ყინვასა და სუსხში თბილისელთა გასართობად თავგანწირვას ღირსეულად აუნაზღაურებს.

უსამართლობა იქნება იმისი თქმა, რომ მოგებული მხოლოდ მოციგურავეები და ცხოველები დარჩებიან. დარწმუნებული ვარ, 31 დეკემბრის ღამეს თავისუფლების მოედანი გადაჭედილი იქნება. არნახულ საახალწლო ზეიმზე იმდენს ლაპარაკობენ, ჩემი ახლობლების ბავშვები მშობლებს უკვე ერთი თვით ადრე უთანხმდებიან, რომ მამლის წელიწადს მერიის შენობის წინ შეხვდნენ. **"აბა, ბავშვებს ვკითხოთ, რა ურჩევნიათ, ამ ფულით საჩუქრები ვუყიდოთ თუ ზეიმი მოვუწყოთ"**, - საკრებულოს უმრავლესობას ასეთი იდეაც კი გაუჩნდა, როცა ოპოზიციონერი კოლეგები ვერაფრით დაარწმუნა, რომ 326 ათასი ლარით უზედამხედველო პატარებისთვის საახლწლო საჩუქრების ყიდვას ყინულის შოუს მოწყობა სჯობდა. გამორიცხული, მართლაც, არ არის, პატარების უმრავლესობას (მათ შორის იმათაც, ვისაც შოკოლადი და გოზინაყი ენატრება) "მფრინავი დათვების" ყურება აერჩია. თუმცა, ძალიან საეჭვოა, საკრებულოს უმრავლესობას 326 ათასი ლარის ბედი ბავშვების არჩევანის მიხედვით გადაეწყვიტა.

არადა, ამ თანხით, მართლაც, რამდენი შოკოლადის, გოზინაყისა და ნაძვის ხის ყიდვა შეიძლებოდა. ამხელა ფული, მხოლოდ თბილისის კი არა, მთელი საქათველოს უზედამხედველო ბავშვებს ეყოფოდათ. განათლების სამინისტროს მონაცემებით, ქვეყნის 43 ბავშვთა სახლში, დაახლოებით, ხუთი ათასამდე პატარა ცხოვრობს. 326 ათასიდან თითოეულ მათგანს 65 ლარის საჩუქრები შეხვდებოდა. თუმცა, ამაზე ლაპარაკი უკვე გვიანია. მართალია, საკრებულოს ოპოზიციონერები თავგამოდებით ამტკიცებდნენ, ვინც ბავშვების დაპურებაზე ზრუნავს, მას პატარები იმათზე მეტად უყვარს, ვისაც მათი გართობა უფრო აინტერესებსო. მაგრამ, უმრავლესობამ ასეთი განცხადებები პოპულისტობაში ჩაუთვალა. ისე ნუ გამოგყავთ, თითქოს ბავშვები თქვენ ჩვენზე მეტად გიყვარდეთო, - გაცხარდნენ უმრავლესობის წარმომადგენლები. უფრო მეტიც, განათლების ქვეკომისიის თავმჯდომარემ გია მურღულიამ ისეთი წინადადება წამოაყენა, ოპოზიციის იდეებიც კი დაჩრდილა: საკრებულოს ყველა წევრმა საახალწლოდ ხელფასიდან 100-100 ლარი დავდოთ და გაჭირვებულ თანაქალაქელებს დავეხმაროთო. მართალია, 49 დეპუტატის 100-100 ლარი 326 ათასს ვერ შეედრება, მაგრამ ნათქვამია, - "ყვავს კაკალი გააგდებინეო". ისე, ჩვენში დარჩეს და, ბავშვებზე მზრუნველი დეპუტატი, რომლის მინიმალური ხელფასი 1050 ლარია, ცოტა მეტის გამეტებასაც შეძლებდა. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ საკრებულოში მურღულიას იდეა დიდი ენთუზიაზმით აიტაცეს. სხდომათა დარბაზში, სადაც განათლების ქვეკომისიის ხელმძღვანელმა აღნიშნული წინადადება გაახმოვანა, მხოლოდ კანტი-კუნტად თუ გაისმა ტაში. თუმცა, საკრებულოს დეპუტატებს კეთილი ნების გამოსახატავად დრო კიდევ დარჩათ.

სტუდენტები განათლების რეფორმის დასაცავად

ნინო ბერელიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაწილი განათლების სისტემაში დაგეგმილ რეფორმას და "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტს უჭერს მხარს. ამის შესახებ უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე ისაუბრეს ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდკავშირისა და აგრარული უნივერსიტეტის სტუდკავშირის ხელმძღვანელებმა. ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ფაკულტეტის, გორის, ახალციხისა და ქუთაისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დასაცავად შეკრებილმა სტუდენტებმა ქვეყნის პირველ პირებს სპეციალური მიმართვები გაუგზავნეს.

მარიკა ამერველაშვილის ფოტო

"უმაღლეს სასწავლებლებში რეფორმა აუცილებლად უნდა განხორციელდეს. ეს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, ახალგაზრდებში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის დასავლურთან ინტეგრირებას შეუწყობს ხელს", - განაცხადა ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდკავშირის თავმჯდომარემ სერგო ლომიძემ. ახალგაზრდებისაგან ზოგჯერ პათეტიკურად ისმის მსგავსი ფრაზები და, ბუნებრივია, გაგვიჩნდა კითხვა - რამდენ სტუდენტს აქვს კანონპროექტი წაკითხული და რატომ მიაჩნიათ რეფორმა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების წინაპირობად? აღმოჩნდა, რომ სტუდენტები ინტერნეტის საშუალებით არა მარტო კარგად იცნობენ არსებულ პროექტს, არამედ აქტიურად თანამშრომლობენ განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტთან.

"ეს ჩვენი მომავალია და სურვილი გვაქვს, აქტიურად ჩავებათ რეფორმის განხორციელებაში. დადებითია ის, რომ კანონი თითოეული თეთრის გამჭვირვალობას ისახავს მიზნად და თითოეული სტუდენტის განათლებისაკენ არის მიმართული; აგრეთვე, მისაღებია ერთიანი საგამოცდო სისტემა. გვქონდა შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული იქნა პარლამენტში კონსულტაციების შემდეგ. რაც მთავარია, მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტი დამოუკიდებელი უნდა იყოს და არა იზოლირებული და, პარარელურად, კორუმპირებული, როგორიც აქამდე იყო", - გვითხრა აგრარული უნივერსიტეტის სტუდკავშირების თავმჯდომარის მოადგილემ მამუკა მამულაშვილმა.

ისინი მკვეთრად ემიჯნებიან ბოლო დღეებში სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში, განათლების მინისტრის გადადგომის მოთხოვნით მიმდინარე აქციას, რადგან მიიჩნევენ, რომ: "აქცია გარკვეული ჯგუფების მიერ იმართება და გარკვეული პიროვნებების ინტერესებს იცავს. მაგალითად, პოლიტიკურად გაკოტრებული ძალები და ის პროფესორმასწავლებლები, რომლებსაც რეფორმა ფინანსურ ბერკეტებს არომევს". სტუდენტებმა შეიმუშავეს მიმართვა პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და განათლების მინისტრის სახელზე.

"მოგახსენებთ, საქართველოში უკანასკნელ პერიოდში პრესასა და ტელევიზიის აქტუალურ თემად იქცა კანონპროექტი საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ. წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა აღნიშნულ კანონპროექტის ირგვლივ. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არასწორად არის ინფორმირებული, ამიტომ მათი დამოკიდებულება კანონპროექტის მიმართ არცთუ სახარბიელოა. აზრთა სხვადასხვაობა წარმოიქმნა სტუდენტთა შორისაც, რამაც, სამწუხაროდ, განაპირობა ურთიერთდაპირისპირებები მათ რიგებში. სტუდენტთა ერთი ნაწილი, არგუმენტირებული საფუძვლების გარეშე, ეწინააღმდეგება საქართველოში განათლების რეფორმის გატარებას. თუმცა, არსებობს სტუდენტთა მეორე ნაწილი - მათ შორის მეც, რომელიც არგუმენტირებულ საფუძვლებს ემყარება; ჩვენ ვეთანხმებით განათლების სისტემის რეფორმის გატარების აუცილებლობას. სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირი, აგრეთვე - სიღნაღის, გორის, ქუთაისის, ფოთის და სხვა უნივერსიტეტთა სტუდკავშირის წარმომადგენლები - სამასამდე სტუდენტი შევიკრიბეთ, რათა პრესის საშუალებით ჩვენი აზრი დაგვეფიქსირებინა იმის თაობაზე, რომ საქართველოს განათლების სისტემაში რეფორმის გატარება გარდუვალია. და ჩვენ სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ წარმოდგენილ კანონპროექტს. მოხარულები ვართ, რომ პარლამენტმა ორი მოსმენით მიიღო ეს კანონპროექტი და ვიმედოვნებთ, რომ იგი საბოლოოდ დამტკიცდება. გარწმუნებთ, ჩვენი მოქმედების მიზანი არ დაიყვანება პოლიტიკოსთა უშუალო მხარდაჭერამდე - ანუ ჩვენ განათლების მინისტრის დაცვის საქმეს არ ვემსახურებით. ჩვენ ვცდილობთ, მხარი დავუჭიროთ მის იდეას, რათა აღმოიფხვრას განათლების სფეროში კორუფცია და ამაღლდეს საქართველოს განათლების დონე. წარმოდგენილ მიმართვას უერთდება სტუდენტთა ის ნაწილი, რომელთაც სურთ, თავიანთი წვლილი შეიტანონ განათლების სისტემის აღმშენებლობის საქმეში".

წმიდა სინოდის კრების წინ

დღეს, 12 საათზე საპატრიარქოში წმიდა სინოდის კრება მოეწყობა. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, თეოლოგებმა და სასულიერო პირებმა გუშინ ომბუდსმენის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, წმიდა სინოდი დღეს დეკანოზ ბასილ კობახიძის განკვეთის საკითხს განიხილავს. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები განსხვავებული აზრის მქონე სასულიერო პირების შესაძლო განკვეთის საკითხს არამართებულად მიიჩნევენ.

თამარ დვალი

"მოგეხსენებათ, რომ ეკლესია არ არის მხოლოდ იერარქია და სამღვდელოება. დღეს ეკლესია მთელ რიგ საკითხებში ითხოვს რეფორმებს. რამოდენიმე მღვდელმთავრის მიერ საჯაროდ ითქვა ეკლესიაში არსებულ პრობლემებზე. ვფიქრობ, სინოდის კრებაზე სწორედ ამ საკითხებს უნდა მიექცეს ყურადღება. თუკი გუშინდელ დღემდე საზოგადოებაში ამაზე არ საუბრობდნენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრობლემები არ არსებობდა. ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. საბოლოოდ "ჭირმა თავი ვერ დამალა", - აცხადებს მამა ზაზა თევზაძე. მისივე თქმით, მართალია, მას ზუსტი ინფორმაცია არ აქვს სასულიერო პირების შესაძლო განკვეთის შესახებ, მაგრამ თუკი ეს ასე მოხდა, იგი ამას სინოდის შეცდომად მიიჩნევს.

"ზუსტი წყარო არ მაქვს, მაგრამ გარკვეული ინფორმაცია არსებობს, რომ სინოდის კრებაზე დეკანოზ ბასილ კობახიძის განკვეთის საკითხი დადგება. მე არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება ჩემი განკვეთის საკითხიც დადგეს. მინდა, ვთქვა, რომ თუკი ჩვენ რაიმე კრიტიკულს ვამბობთ, მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიის სიყვარული გვამოძრავებს. სხვებისგან განსხვავებით, ჩვენს გულის წუხილს ხმამაღლა გამოვთქვამთ, შეიძლება სხვებიც ასე ფიქრობდნენ, მაგრამ არ ამბობენ", - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას მამა ზაზა თევზაძემ.

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ თუკი დღეს წმიდა სინოდი განსხვავებულად მოაზროვნე სასულიერო პირების განკვეთის საკითხს დააყენებს, მაშინ იგივე სინოდს სხვა სასულიერო პირების მიმართაც უნდა მიეღო მკაცრი გადაწყვეტილება - კერძოდ, საუბარია ერთ-ერთ ტელეგადაცემაზე, სადაც სამღვდელო პირმა თავისი მოსაზრება გამოთქვა, რის გამოც, მას მეორე სასულიერო პირი ფიზიკურად გაუსწორდა. სახალხო დამცველი, ასევე, მიუღებლად მიიჩნევს, როდესაც სამღვდელო პირების განკვეთა ეკუმენიზმის გამო ხდება.

"ეკუმენიზმი დღეს საშინელ სიტყვად აქციეს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დიდხანს იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თანათავმჯდომარე. იქ არაფერი შეცვლილა მას შემდეგ; შეიცვალა მხოლოდ ჩვენი დამოკიდებულება", - აცხადებს სოზარ სუბარი.

თეოლოგი ნოდარ ლადარია მიიჩნევს, რომ სინოდის კრებას უდიდესი მოსამზადებელი პერიოდი სჭირდება, თუმცა საპატრიარქო ასე არ იქცევა. მისივე თქმით, ის პოლიტიკა, რომელსაც დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ატარებს, მისთვის დამღუპველია.

"ვინც მოინდომებს ეკუმენიზმის დაგმობას, მან ჯერ უნდა განმარტოს, თუ რა არის ეკუმენიზმი. ვინც ამის განმარტებას დაიწყებს, აღმოაჩენს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებაში არ არის არაფერი, რაც ამას ეწინააღმდეგება. ეკუმენიზმს ეწინააღმდეგებიან ის მცირე სექტანტური ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა მართლმადიდებლურ ქვეყანაში არსებობენ და რომლებიც სრულიად მარგინალურები არიან. საქართველოს საპატრიარქოს, რატომღაც, სურს, რომ თვითონ გახდეს მარგინალური მართლმადიდებლურ სამყაროში", - ასე მიიჩნევს თეოლოგი ნოდარ ლადარია.

საპატრიარქოში განგვიცხადეს, რომ, სანამ წმინა სინოდის კრება არ დასრულდება, მანამდე ისინი ვერანაირ კომენტარს ვერ გააკეთებენ. წმიდა სინოდის კრება დღეს 12 საათზე დაიწყება, ხოლო დააყენებენ თუ არა დეკანოზ ბასილ კობახიძის განკვეთის საკითხს, საღამოს გახდება ცნობილი.

სიახლეები საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი არა მარტო მიმდინარე ვალდებულებებს ასრულებს, არამედ გასული პერიოდის საპენსიო დავალიანებების გასტუმრებაზეც ზრუნავს.

ნონა მაისურაძე

ფონდის გენერალური დირექტორის ზაზა სოფრომაძის განცხადებით, "გასული პერიოდის საპენსიო დავალიანების დიდი ნაწილი დღეისათვის დაფარულია. ეს თანხა, დაახლოებით, 85 მილიონ ლარს შეადგენს, რაც მთლიანი დავალიანების, თითქმის, 2/3-ია. მათ, ვისაც საპენსიო დავალიანება კიდევ დარჩათ, 2004 წლის ბოლომდე ერთი თვის თანხას სრულყოფილად მიიღებენ, ხოლო, დანამატების გათვალისწინებით, დავალიანება 10 მილიონი ლარის ოდენობით დაიფარება".

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში კმაყოფილები იმითაც არიან, რომ, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საპენსიო სფეროში ფონდმა 160 მილიონი ლარით მეტი ხარჯი განია (საუბარია თერთმეტი თვის მაჩვენებლებზე).

რაც შეეხება პლასტიკური ბარათების სისტემის დანერგვას, დღეისათვის ყველა პენსიონერს შეუძლია, უფასოდ აიღოს პლასტიკური ბარათი, რომელიც საგრძნობლად აადვილებს პენსიის მიღების მექანიზმს. ადრე თუ პენსიის აღება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ხდებოდა, ამჯერად ამ ბარათის მფლობელ პენსიონერს შეუძლია ქვეყნის ნებისმიერ წერტილში, სადაც გახსნილია სახალხო ბანკის ფილიალი, მიიღოს კუთვნილი თანხა.

ცვლილებებია მოსალოდნელი პენსიის დანიშვნისას საჭირო პროცედურებთან დაკავშირებით. მომავალი წლის იანვრიდან პენსიის დანიშვნის პროცესი გამარტივდება - აღარ იქნება საჭირო უამრავი პროცედურის ჩატარება და სხვადასხვა ინსტანციის მოვლა.

ზაზა სოფრომაძე: **"პრინციპი ძალიან მარტივი იქნება - პენსიონერს, რომელიც მივა პენსიის დასანიშნად, მხოლოდ ერთი სპეციალისტი დააკვალიანებს. ნებისმიერი უკანონობის ან სამართალდარღვევის შემთხვევაში, პასუხს აგებს კონკრეტულად ის ადამიანი, ვინც მასზე იქნება მიმაგრებული. ამ ფორმით, თავიდან ავიცილებთ უამრავ გაუგებრობას და ერთმანეთზე გადაბრალების მეთოდს. პენსიის დანიშვნაზე პასუხისმგებელი მხოლოდ ერთი პირი იქნება. ამ საკითხთან დაკავშირებით მომავალი კვირიდან მთელი საქართველოს მასშტაბით ვიწყებთ ინსტრუქტაჟის ჩატარებას".**

ცვლილებებია, აგრეთვე, ძალოვანი სტრუქტურის პენსიონერთა საპენსიო უზრუნველყოფის კუთხით. ფონდის გენერალურმა დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ მოარული ხმები იმასთან დაკავშირებით, რომ მომავალი წლიდან ძალოვანი უწყების პენსიონერთა პენსიები უნდა შემცირდეს, უარყო, თან განაცხადა, რომ მარტივდება კანონი ძალოვანი სტრუქტურის პენსიონერთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ.

ზაზა სოფრომაძე: **"გაურკვეველი იყო, მეორე მსოფლიო ომის ინვალიდებს უნდა მიეღოთ თუ არა დამატებით სამმაგი ოდენობის მინიმალური პენსია. შესაბამის მუხლში ამჯერად გარკვევით წერია, რომ მათ ეს თანხა უნდა მიიღონ ყოველგვარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. ადრე გაუგებრად იყო ჩაწერილი, რომ შესაბამისი დანამატის მიღების უფლება ჰქონდათ გორგასლის სამივე ორდენის კავალრებს. ახლა პირდაპირ ჩავწერეთ, რომ პირველი, მეორე ან მესამე - ანუ ერთ-ერთი ორდენის კავალერიც რომ იყოს, შეუძლია შესაბამისი დანამატის მიღება".**

პირველი იანვრიდან მინიმალური პენსიის ოდენობა 28 ლარი გახდება. მნიშვნელოვანია, რომ ამ თანხას პენსიონერები სრულყოფილად მიიღებენ, ხოლო დავალიანების დანამატები 28 ლარის ზემოთ დაირიცხება.

იუსტიციის საბჭოს მდივანს არასამთავრობოების არ სჯერა

"თავისუფლების ინსტიტუტისა" და "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლების მხრიდან მოსამართლეების მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს იუსტიციის საბჭოში არ ცნობენ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი პავლე კუბლაშვილი გუშინ არასამთავრობოთა განცხადებებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ კონკრეტული ფაქტების გარეშე არასამთავრობო ორგანიზაციების წევრების მიერ უსამართლო მოსამართლეების დასახელება დაუშვებელია.

"დისციპლინარული დევნის გადაწყვეტილების მიღებამდე კანონდარღვევაში ეჭვმიტანილი მოსამართლის ვინაობის გახმაურება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა", - ამბობს პავლე კუბლაშვილი

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

რამდენიმე დღის წინ, "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" და "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრებმა მოსამართლეების უსამართლო საქმიანობის გამო იუსტიციის საბჭოში საჩივრის შეტანის შესახებ გააკეთეს განცხადება და რამდენიმე, კანონის არაფრად ჩამგდები მოსამართლე საჯაროდ დაასახელეს.

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, მათ მიერ დასახელებული მოსამართლეები კანონის უხეშ დარღვევაზე არ რეაგირებენ, რისი მიზეზიც მათი კორუმპირებულობა და ხელისუფლების მხრიდან ზემოქმედებაა.

"ხშირად მოსამართლეებს ძალოვანი სტრუქტურებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ეშინიათ, ან თავად არიან კორუმპირებულები და, შესაბამისად, მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები უკანონოა," - ირწმუნებიან "თავისუფლების ინსტიტუტისა" და "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლები. მათ რამდენიმე დღის წინ იმ მოსამართლეების ვინაობაც დაასახელეს, რომლებიც, მათივე განცხადებით, პროკურატურის გავლენის ქვეშ არ მოექცნენ.

"არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ან მოსამართლეთა მხრიდან დაშვებული კანონდარღვევების კონკრეტული მაგალითები უნდა წარმოადგინონ, ან საჯაროდ უარყონ გავრცელებული ინფორმაცია," - ასეთი პოზიცია აქვს იუსტიციის საბჭოს მდივანს პალიკო კუბლაშვილს, რომელიც დარწმუნებულია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიზანია, მოხდეს მოსამართლეთა დისკრედიტაცია. **"მოსამართლეთა მხრიდან კონკრეტული კანონდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში ყველა პირმა, განსაკუთრებით კი - იურისტმა, დისციპლინარული დევნის საბჭოს უნდა მიმართოს, რომელიც სამი კვირის განმავლობაში კონკრეტულ ფაქტებს გადაამოწმებს და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, მოსამართლის დისციპლინარული დევნის საკითხს თავად დააყენებს. დისციპლინარული დევნის გადაწყვეტილების მიღებამდე კანონდარღვევაში ეჭვმიტანილი მოსამართლის ვინაობის გახმაურება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა,"** - ასეთ პასუხს აძლევს იუსტიციის საბჭოს მდივანი "უსამართლო მოსამართლეების" სიის შემდგენელ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ერთი სიტყვით, იუსტიციის საბჭოს მდივანს არასამთავრობოების არგუმენტების არ სჯერა. თუმცა, პალიკო კუბლაშვილი მაინც აღიარებს, რომ სასამართლო სისტემაში სერიოზული დარღვევები მართლაც არსებობს. **"კორუმპირებული მოსამართლეების დასახელებით ასეთი პრობლემები ვერ მოგვარდება. ბრალდებები, რომელსაც არასამთავრობოები მოსამართლეებს უყენებენ, არგუმენტირებული უნდა იყოს. თუ ჩვენ ყველა განაწყენებული ადვოკატის ინფორმაციას გამოვაქვეყნებთ, რომელი მოსამართლეა ცუდი და რომელი კარგი, დამერწმუნეთ, გაულანძღავი არც ერთი მოსამართლე არ დარჩება. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ჩემთვის მიუღებელია და არ ვიცი, რას ემსახურება ეს კამპანია,"** - აცხადებს პალიკო კუბლაშვილი

24 საათი

ძალოვანი უწყებების რომელ სტრუქტურას ენდობა ხალხი

როგორია განახლებული პოლიციისადმი მოსახლეობის ნდობის ხარისხი, ძალოვანი უწყებების რომელ სტრუქტურას უფრო მეტად ენდობა ხალხი და რომელი მიაჩნია ყველაზე მეტად კორუმპირებულად - ამ კითხვებზე პასუხები გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ პრეზენტაციაზე საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების ასოციაცია "გორბიმ" გამოაქვეყნა.

საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების ასოციაციამ ინტერვიუს მეთოდით, 15 წლიდან ასაკის, 2000 რესპონდენტი ნოემბრის თვეში გამოკითხა. კვლევის შედეგები გუშინ საჯარო გახდა. "გორბის" დირექტორის მერაბ ფაჩულიას განმარტებით, გამოკითხულთა 74 პროცენტი თვლის, რომ კრიზისულ სიტუაციებში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად პოლიცია ადეკვატურ ზომებს იღებს, პრობლემების 70 პროცენტის წარმოქმნის შემთხვევაში ძალოვან უწყებებს მიმართავს. როგორც გაირკვა, პოლიციისადმი მაღალი ნდობის მიზეზად გამოკითხულთა უმრავლესობა პროფესიონალიზმს, პოლიციის მოხელეთა ობიექტურობას, კორუფციის შემცირებას, რეფორმას და ახალი მთავრობის გავლენას ასახელებს. სხვადასხვა უწყებებისადმი მოსახლეობის უნდობლობას კი კორუფცია, არაპროფესიონალიზმი და არაობიექტურობა იწვევს. ერთი სიტყვით, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლამ მოსახლეობის პოლიციისადმი განწყობა დადებითისკენ შეცვალა.

2 ათასი რესპონდენტის გამოკითხვის შედეგად ირკვევა, რომ უმრავლესობა ნდობას, პირველ რიგში, ქართულ ჯარს, შემდეგ საპატრულო პოლიციას, ბოლოს კი პროკურატურას უცხადებს. ამავე გამოკითხვით, სხვადასხვა უწყებებში კორუფციის გავრცელების ხარისხის მიხედვით, პოლიცია და სასამართლო სისტემა ლიდერობენ.

რაც შეეხება შექმნილ კრიმინოგენულ ვითარებას, გამოკითხულთა 55 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში რთული კრიმინოგენული მდგომარეობა უცვლელი დარჩა, თუმცა რესპონდენტთა იგივე რაოდენობა აღნიშნავს, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ კრიმინოგენული მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

24 საათი

აგეროს ასოციაციის წარმატებული პროექტი

"საჯარო დაწესებულებებში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავის დანერგვის ხელშეწყობა - II ეტაპი"

2004 წლის 3-4 დეკემბერს, საქართველოს გაერო-ს ასოციაციამ პროექტზე - "საჯარო დაწესებულებებში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავის დანერგვის ხელშეწყობა - II ეტაპი" დასკვნითი კონფერენცია ჩაატარა.

ინფორმაციის თავისუფლების თავი საჯარო მოხელეთათვის საინფორმაციო წყაროდ და სახელმძღვანელოდ ითვლება, თუმცა ბევრი საჯარო ინსტიტუტი მას სათანადოდ ვერ იყენებდა. აღნიშნულმა პროექტმა ხელი შეუწყო ინფორმაციის თავისუფლების თავის დანერგვას საქართველოს 7 რეგიონში, 15 რაიონსა და 7 სოფელში. პროექტი მიზნად ისახავდა ინფორმაციის თავისუფლების თავის დანერგვას საჯარო ინსტიტუტებში და ამ გზით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის შესაბამისად საჯარო მოხელეთა მუშაობის ეფექტურობის გაუმჯობესებას.

მოლოდინი უდავოდ გამართლდა, ვინაიდან ინფორმაციის თავისუფლების თავი დაინერგა საქართველოს 200-მდე საჯარო ინსტიტუტში და, შესაბამისად, აღნიშნული თავის არსებობაზე, მის გამოყენებასა და მნიშვნელობაზე მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონეც გაიზარდა.

პროექტის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ სამენოვანი (რუსული, ქართული, ინგლისური) ოთხი სამოდელო დოკუმენტის შექმნა და მთელი საქართველოს მასშტაბით მათი გავრცელება. ამ დოკუმენტებს, კერძოდ - "საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივ ინსტრუქცია"-ს დღეისათვის უკვე 165 მიზნობრივი საჯარო ინსტიტუტი იყენებს, ხოლო 155-მა საჯარო ინსტიტუტმა გამოთქვა მზადყოფნა 2004 წლის 10 დეკემბრის ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის შესახებ.

გარდა ამისა, საქართველოს გაეროს ასოციაციამ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან ერთად მუშაობა განახორციელა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტსა და "საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" კანონპროექტზე. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი გამოიყენებს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს და საკანონმდებლო ინიციატივით მიმართავს საქართველოს პარლამენტს შემუშავებული კანონპროექტების განხილვისა და კანონად მიღების მიზნით. დასკვნითი კონფერენცია პროექტისა და მისი შედეგების პრეზენტაციას ისახავდა მიზნად. კონფერენციაზე განხილულ იქნა ასევე პროექტის განხორციელების დროს გამოვლენილი პრობლემები და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დანერგვასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები. კონფერენციის მონაწილეები - აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო სტრუქტურების წარმომადგენლები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედიის წამომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დისკუსიებში და ორგანიზაციის წარმომადგენლებს განხილულ საკითხებთან დაკავშირებით თავიანთ შეხედულებებს უზიარებდნენ.

"საჯარო დაწესებულებებში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავის დანერგვის ხელშეწყობა - II ეტაპი" განხორციელდა მერილენდის უნივერსიტეტთან არსებული აირის ცენტრის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტს წინ უსწრებდა "საჯარო დაწესებულებებში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავის დანერგვის ხელშეწყობა - I ეტაპი", რომელიც 2003 დეკემბერი-2004 წლის თებერვალში განხორციელდა.

ანა ტოკლიკიშვილი,
საქართველოს გაეროს ასოციაციის საინფორმაციო ოფიცერი,
ზვიად დევდარიანი,
მმართველობისა და გამჭვირვალობის პროგრამების დირექტორი.

გორში დაკავებულთა წამება გრძელდება

სახალხო დამცველის წარმომადგენელმა შიდა ქართლში გიორგი არაყიშვილმა დროებითი დაკავების იზოლატორის შემოწმებისას, 9 დეკემბერს გორის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებული, სატიკად ნაცემი, 20 წლის იაგო ნებიერიძე აღმოაჩინა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, გუშინ სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართა.

ომბუდსმენის განცხადებით, ნებიერიძე პოლიციელებმა საკუთარ ბინაში დააკავეს და იქვე სასტიკად სცემეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის ფიზიკური შეურაცხყოფა გორის შს სამმართველოს შენობაშიც გააგრძელეს. ამის შემდეგ კი იგი გადაიყვანეს გორის პროკურატურაში, სადაც გამომძიებელ ცეცხლაძის კაბინეტში, აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით, პოლიციელებმა კვლავ სცემეს.

"გამომძიებელი ცეცხლაძე და ცემის მონაწილე პოლიციელები იაგო ნებიერიძეს დაემუქრნენ, რომ ფიზიკური ზეწოლის გახმაურების შემთხვევაში მას სასტიკად გაუსწორდებოდნენ," - განაცხადა სოზარ სუბარმა.

სახალხო დამცველის განცხადებით, დაკავებულს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩაუტარდა, თუმცა სახალხო დამცველის მიერ გამოძახებულმა სასწრაფო დახმარების ექიმებმა დაკავებულის სხეულზე დაზიანების ფაქტები დაადასტურეს.

"ჩვენ მოვითხოვთ საქმის გადაუდებელ გამოძიებას და დამნაშავე გამომძიებლებისა და პოლიციელების მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას," - ასეთია სახალხო დამცველის მოთხოვნა.

24 საათი

მოკლედ

აბაშიძის რეჟიმის კიდევ ორი მაღალჩინოსანი დააკავეს

გუშინწინ, გვიან ღამით, აჭარელმა სამართალდამცველებმა ასლან აბაშიძის რეჟიმის კიდევ ორი მაღალჩინოსანი დააკავეს. აჭარის ფინანსთა ყოფილი მინისტრის იასე ჩავლეიშვილისა და მინისტრთა საბჭოს იმჟამინდელი თავმჯდომარის რეზო შამილიშვილისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების საკითხზე მართლმსაჯულება დღეს იმსჯელებს.

თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება, რის შედეგადაც ბიუჯეტმა მილიონ 100 ათასი ლარით იზარალა - ასეთი გახლავთ ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის წარდგენილი ბრალდება. ჩვენი ინფორმაციით, აჭარის ფინანსთა ყოფილი მინისტრის იასე ჩავლეიშვილისა და მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის რეზო შამილიშვილს წინაღმდეგ სისხლის სამართლის საქმე კარგა ხნის წინ აღიძრა. თანხები, რომელსაც ყოფილ ჩინოვნიკებს აჭარის პროკურატურა ედავება, "ვარდების რევოლუციის" დღეებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან თბილისში, ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მხარდასაჭერი აქციისთვის დაიხარჯა. პროკურატურის ინფორმაციით, დახარჯული თანხებიდან უკვე მოხერხდა 20 ათასი ლარის ამოღება.

24 საათი

მძღოლების საყურადღებოდ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე რომან დალაქიშვილი ყველა მძღოლს მოუწოდებს, ზამთრის პერიოდში საქართველოს გზებზე დაწესებული რეჟიმი დაიცვან. უამინდობის გამო, გზებზე იკრძალება მეორადი მოხმარების საბურავებით და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გარეშე მოძრაობა.

"მიუხედავად ჩვენი მრავალმხრივი გაფრთხილებისა, გადამზიდავი კომპანიები არ ითვალისწინებენ, რომ 15 ნოემბრიდან 15 აპრილამდე მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. ეს კი გზებზე ხელოვნური საცობების შექმნის მიზეზი ხდება," - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე რომან დალაქიშვილმა. როგორც მეტეოროლოგიური ცენტრის კოორდინატორი მურთაზ ბაღსულია აცხადებს, საქართველოში წინა წლებთან შედარებით წელს ორჯერ მოიმატა ნალექების რაოდენობამ. "2004 წლის ნოემბრის თვეში მრავალწლიან საშუალო მაჩვენებელთან შედარებით ორჯერ მეტი ნალექი მოვიდა. 16 დეკემბრამდე ნალექების შემცირებას არ ველოდებით," - აცხადებს მურაზ ბაღსულია. ამჟამად ჯვრის უღელტეხილზე თოვლის საფარმა 120 სმ-ს, ხოლო რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთზე 40-დან 80 სმ-ს მიაღწია. მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის ფასანაური-ლარსის მონაკვეთზე მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის, ასევე 30 ადგილზე მეტი მოცულობის ავტობუსის მოძრაობა აკრძალულია. სხვა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დაშვებულია მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის რიკოთის უღელტეხილზე ამჟამად მოძრაობა თავისუფალია ყველა სახის ტრანსპორტისთვის.

გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზაზე, ყველა სახის ავტოტრანსპორტისთვის მოძრაობა დასაშვებია მხოლოდ ჯაჭვების გამოყენებით. ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის ტყიბული-ამბროლაურის (ნაქერალას უღელტეხილი) მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

ახალციხე-ახალქალაქი-ნინოწმინდა-სომხეთის საზღვრის საავტომობილო გზის, ასევე ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის მიმართულებით მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით მოძრაობა დაშვებულია.

მედია-ნიუსი

ბუღალტერი გაყალბებული ჩეკებით თანხებს ითვისებდა

ფინანსური პოლიციის იმერეთის ოპერატიულმა განყოფილებამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ბაღდათის რაიონის საფინანსო განყოფილების ბუღალტრის, გოჩა გორგოძის მიმართ.

გოჩა გორგოძე სხვა ეკონომიკური დანაშაულისთვის უკვე გასამართლებულია და პირობით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი. ამჯერად, ფინანსური პოლიციის ბრალდებით, გოჩა გორგოძე ჩეკებში ციფრებს ასწორებდა და ბანკიდან ზედმეტი თანხები გამოჰქონდა. ამ მეთოდით, მას 2002 წლის განმავლობაში 10 ათას ლარზე მეტი აქვს ზედმეტად გამოტანილი. ფინანსურ პოლიციასთან საუბრისას ბუღალტერმა განმარტა, რომ იგი საკუთარი ინიციატივით აყალბებდა ჩეკებს და ბანკიდან გამოტანილ ზედმეტ თანხებსაც პირადი საჭიროებისთვის იყენებდა. გოჩა გორგოძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით არის აღძრული: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი სიყალბე და მითვისება.

მედია-ნიუსი

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ძალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ტრანსნაციონალური კომპანიებით სხვა ქვეყნის ბაზრების ხელში ჩაგდების მეთოდები

საქართველოში დღეს არ დავობენ იმაზე, რომ ქვეყანას აუცილებლად ესაჭიროება სერიოზული უცხოური ინვესტიციები, რათა პრაქტიკულად აღარ არსებული სამრეწველო ინდუსტრია თუ ტურისტული ინფრასტრუქტურა ჩამოყალიბდეს, შეიქმნას სამუშაო ადგილები და ასე შემდეგ. წინამდებარე წერილი ამ საერთო ხედვიდან ერთგვარი "გადახვევაა" - იგი იმ საფრთხეებზე საუბრობს, რომელიც გლობალიზაციის ეპოქაში საქართველოსნაირ მცირე ქვეყნებს შეიძლება დაემუქროს ეკონომიკური თვალსაზრისით, და იმ გზების მონახვის მცდელობაა, რომლებმაც ეს საფრთხეები უნდა გაანეიტრალოს. პირდაპირ ვიტყვით - თვალსაზრისი, რომელიც წერილშია ჩამოყალიბებული, დღევანდელ მმართველ წრეებსა თუ საზოგადოებაში განსაკუთრებულად პოპულარული არ არის, თუმცა მკითხველის ყურადღებას უდავოდ იმსახურებს.

24 საათი

მსოფლო ეკონომიკის გლობალიზაციამ სამი ეტაპი გაიარა. პირველი - 1820-1914 წლები, როდესაც მნიშვნელოვნად გაძლიერდა საერთაშორისო ვაჭრობა, დაიწყო სამუშაო ძალისა და კაპიტალის გატანა. ყოველივე ამას ხელი შეუწყო დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილო ამერიკას შორის სატელეფონო კაბელის გაყვანამ. მეორე ეტაპი 1914-1950 წლებს მოიცავს. მსოფლიო ომებისა და დიდი ეკონომიკური დეპრესიის გავლენის გამო, ამ პერიოდში, სახელმწიფოებში თავი იჩინა ანტიგლობალურმა მისწრაფებებმა, უპირატესობა მიენიჭა ეროვნული ინტერესების დაცვას. მესამე ეტაპი დაიწყო 1950 წლიდან და გრძელდება დღემდე. ეს ეტაპი არის გლობალიზაციის ყველაზე ინტენსიური განვითარების პერიოდი, რომელიც ხორციელდება რეგიონალიზაციის მეშვეობით, რის საფუძველზეც ძლიერდება საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი და სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს ეროვნული ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაცია. ძირითადად, მესამე ეტაპიდან იწყება ტრანსნაციონალური კომპანიებით (ტ.ნ.კ.) სხვა ქვეყნის ბაზრების ხელში ჩაგდების დახვეწილი მეთოდების ჩამოყალიბება.

ივანე (ვაჟა) შარვაშიძე
ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი, პ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი ეკონომისტი

საფრთხეები

სხვა ქვეყნის ბაზრების ხელში ჩაგდების კარგად აპრობირებული მეთოდები ასეთია: 1. მიეცით სესხები - უფრო ტექნიკური; 2. გაუწიეთ ჰუმანიტარული დახმარება - მოძველებული საქონლით; 3. გამოისყიდეთ სხვა ქვეყნის საწარმოები - იაფად; 4. ააშენეთ სხვა ქვეყნებში ახალი საწარმოები - იაფად; 5. მენეჯერთა (მმართველთა) ზედა რგოლებში დანიშნეთ თქვენი ხალხი (ამერიკულში ამერიკელები, რუსულში რუსები და ა.შ.); 6. მენეჯერთა საშუალო რგოლში მოიწვიეთ ადგილობრივი უცხო ენების მცოდნე კადრები. დაბალ ანაზღაურებად ადგილებზე მოიწვიეთ ადგილობრივი მოსახლეობა, მათთვის უცხო ენების ცოდნა სავალდებულო არ არის. 7. ადგილობრივ კადრებს ხელფასი მიეცით უფრო დაბალი, ვიდრე თქვენი ქვეყნის წარმომადგენლებს აძლევთ, ამ გზით ხორციელდება პროდუქციის თვითღირებულების გაიაფება; 8. ახალგაზრდობა წამოიყვანეთ სასწავლებლად, შემდეგ დააბრუნეთ უკან თავის ქვეყანაში. ისინი, ძირითადად, თქვენს პოლიტიკურ თამაშს აჰყვებიან.

შედეგი: საკუთრება და მოგება უცხო ქვეყნის ხდება, მცირდება და თანდათანობით ქრება ეროვნულ მესაკუთრეთა ფენა, შემდეგ - ქვეყნები, ენები და ერები.

საკითხავი: ქვეყნის მთავრობა და მოსახლეობა რატომ არ ცდილობს ადგილობრივი ქონების ხელში ჩაგდებას, ეროვნულ მესაკუთრეთა ფართო ფენის ჩამოყალიბებას, აქტიურ საექსპორტო-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, მწარმოებლურობის ზრდას და სხვა.

ზოგადი კანონზომიერებაა, რომ ეკონომიკურად მდიდარი და ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები წარმოადგენენ დონორებს, ხოლო ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნები, მათ შორის - საქართველოც, დონორის მიმღებ ქვეყანას.

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა კარგად არის შესწავლილი. გაერო-ს უკანასკნელი მონაცემებით, მსოფლიოში 60 ათასი ტნკ (ტრანსნაციონალური კომპანია) ფუნქციონირებს.

ტნკ-ები წარმართავენ გარკვეულ პოლიტიკას თავისი საზღვარგარეთული შვილობილი ფირმების რენტაბელობის საკითხებში. მათი ძირითადი მიზანია, მიიღონ მოგება იმ ქვეყნებში, სადაც საგადასახადო განაკვეთები შედარებით დაბალია, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც გადასახადები მაღალია, გაუკეთონ აკუმულირება ნაკლები მოცულობის მოგებას. მაშასადამე, ცდილობენ, შეინარჩუნონ უცხო ქვეყნებში შვილობილი ფირმების ლიკვიდურობა და რენტაბელურობა.

საქართველომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან (მსო) მოლაპარაკებისას დიდი შეცდომა დაუშვა, როცა არ განსაზღვრა პრიორიტეტები, აგრარული და ინდუსტრიული სექტორის რომელი დარგები დაეცვა და რამდენ ხანს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია მწარმოებლურობისა და ეროვნულ მესაკუთრეთა ფართო სტაბილური ფენის ჩამოსაყალიბებლად.

საერთაშორისო კონცერნების ხედვის კუთხით - სხვა ქვეყნების ფირმებში პირდაპირი კაპიტალდაბანდებები წარმოადგენენ სტრატეგიულ საინვესტიციო გადაწყვეტილებებს კონკურენტების ბაზარზე საკუთარი მდგომარეობის უპირატესობის გამოყენებისათვის და ბაზრების ჩასაგდებად.

იმ კუთხით, სადაც ხორციელდება ასეთი კაპიტალდაბანდებები, ისინი წარმოადგენენ, ფაქტობრივად, სამუშაო ადგილების, თანამედროვე ტექნოლოგიების, მარკეტინგის, მენეჯმენტის და სხვა სფეროში იმპორტს.

ტნკ-ს პირდაპირი კაპიტალდაბანდებების დადებითი თუ უარყოფითი ეფექტიანობის საკითხები კარგადაა შესწავლილი.

დადგენილია, რომ დაბალგანვითარებულ ქვეყნებში უცხოურ კაპიტალდაბანდებებს, როგორც წესი, აქვთ ძალიან მცირე დადებითი თუ არა, ცალსახად უარყოფითი ეფექტი, მაგალითად, ეკონომიკურად დაბალგანვითარებულ ქვეყნებში ტურისტული და სასტუმრო კომპლექსების მშენებლობის შემთხვევაში, ერთადერთი უპირატესობა, რომელიც ამ ქვეყანამ შეიძლება მიიღოს კაპიტალდაბანდებიდან, მხოლოდ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დასაქმებაა, ისიც ამ სფეროს მომსახურების დაბალი დონის ადგილებზე, დაბალი ანაზღაურებით, ხოლო უფრო პრესტიჟული ადგილები ამ სფეროში დაკავებული აქვთ უცხოურ სპეციალისტებს მაღალი ანაზღაურებით. ამიტომ, შრომის ანაზღაურების მცირე ნაწილი რჩება ადგილზე ქვეყანაში, დიდი ნაწილი კი გადის საზღვარგარეთ. ამასთან ერთად, სასტუმროების კომპლექსების მშენებლობისას, როგორც წესი, სამშენებლო მასალების დიდი ნაწილი შემოაქვთ საზღვარგარეთიდან, ასევე შიდა სერვისი და მოწყობილობები მთლიანად საზღვარგარეთულია. ამრიგად, ადგილი აქვს საქონლის იმპორტს და მთელი მოგება გაედინება საზღვარგარეთ, რაც ეკონომიკურად ასუსტებს ქვეყანას.

გასათვალისწინებელია ინდუსტრიულად განვითარებული აზიური ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც ახორციელებენ ინდუსტრიაში საზღვარგარეთ ლიცენზირებული პროდუქციის კოპირების წესით გამოშვებას.

ტრანსნაციონალური კომპანიები და საქართველო

დღეს საქართველოში, უცხოურ კაპიტალში, პირველ რიგში, გულისხმობენ პირდაპირ კერძო უცხოურ ინვესტიციებს, მაგრამ არსებობს სხვა ფორმაც. კაპიტალის მოზიდვა შესაძლებელია სასესხო (საკრედიტო) კაპიტალის ფორმით, აგრეთვე, ლიზინგის ფართოდ დანერგვის ფორმით, რომელიც ქვეყნის ინტერესებს უფრო მეტად შეესაბამება, ვიდრე პირდაპირი უცხო ინვესტიციები, თუმცა ეს მათ აკრძალვას არ ნიშნავს.

პრიორიტეტი უნდა მიეცეს არა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, არამედ სასესხო (საკრედიტო) რესურსების მოზიდვას უცხოეთიდან და საქართველოს მეწარმეების დაკრედიტებას დაბალი საპროცენტო განაკვეთებით, უპირველეს ყოვლისა, მრეწველობის, მეცნიერებატევად დარგებსა და ტექნოლოგიებში, რომლებიც ტრადიციულად, უფრო დიდ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვენ, ვიდრე აგრარული სექტორი და მომსახურების სფერო. ამ გზით შესაძლებელი იქნება: საქართველოს მოქალაქეები გახდნენ საწარმოო ბაზის მესაკუთრეები; მოსახლეობა დასაქმდება და მათ მიერ მიღებული შემოსავლები დაბანდებული იქნება საქართველოში; შესაძლებელი იქნება "იმპორტის ჩანაცვლების" პოლიტიკა და სხვა.

არასასურველია უცხო ინვესტორების თავისუფლად შემოყვანა და მათი კაპიტალის საბაზრო ძალებით (მონეტარული პოლიტიკა) წარმართვა. მიზანშეწონილია, სახელმწიფომ მარეგულირებელი როლი შეასრულოს, აქტიურად ჩაერიოს ეკონომიკურ პროცესებში, მათ შორის, უცხო კაპიტალის მოზიდვისას და ხელი შეუწყოს მათი უარყოფითი ეფექტების შემცირებას. აღსანიშნავია, რომ აზიის ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც მოხდა "ეკონომიკური სასწაული", სახელმწიფო ეკონომიკურ პროცესებში აქტიურად ერეოდა. ინვესტირების შერჩევითი მიდგომა (ლიცენზიური შეთანხმება, მენეჯმენტზე კონტრაქტი და სხვა) ფართოდ გამოიყენებოდა და დღესაც გამოიყენება აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც ცდილობდნენ, მოეზიდათ არა ყოველგვარი უცხოური კაპიტალი (ინვესტიციები), არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც სასარგებლოდ და ეფექტიანად ერწყმოდნენ ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს.

მართალია, უცხოური კერძო კაპიტალის გავლენიდან თავის დასაღწევად მსოფლიოში დაგროვილია დიდი გამოცდილება, მაგრამ შევეცადოთ, იმ დონემდე არ მივიდეთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია თავის დაღწევის შემდეგი ფორმები: 1)უცხოური საწარმოების ნაციონალიზაცია; 2)შერეული კომპანიების შექმნა აქციების შეძენის გზით; 3)ფირმებში ლიმიტების დაწესება, რათა უცხო კომპანიებმა ხელში არ ჩაიგდონ საკონტროლო პაკეტი; 4)საკონცესიო ხელშეკრულების გამოყენება და სახელმწიფოს წილის გაზრდა ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის პროცესში; 5)საგადასახადო პოლიტიკის გამკაცრება; 6)ერთ დარგში მომუშავე ფირმების ლიმიტირება; 7)სპეციალური ზომების მიღება, რათა არ მოხდეს მოგების ფარულად გატანა საზღვარგარეთ; 8)ამ ფირმების მიერ იმპორტირებული ტექნიკის და მასალების ღირებულებაზე მკაცრი კონტროლის დაწესება და სხვა;

ცალსახად აღსანიშნავია, რომ ერთ ქვეყანაში უცხოური საერთაშორისო კონცერნების შვილობილი ფირმების დიდი ოდენობით არსებობა წარმოადგენს ამ ქვეყნის ეკონომიკის სუსტი განვითარების პირდაპირ ან ირიბ შედეგს.

სამწუხაროდ, საქართველოში იმდენად მწვავეა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური პრობლემები და მთელი ყურადღება კონცენტრირებულია მიმდინარე პრობლემების გადაჭრაზე, რომ სათანადო ყურადღება არ ეთმობა საინვესტიციო პოლიტიკის გრძელვადიან შედეგებს, თუ რა იქნება 20-30 წლის შემდეგ. არადა, უცხო კაპიტალთან დაკავშირებული პრობლემები სწორედ მაშინ იჩენს თავს მთელი სიმძაფრით, როცა ეს კაპიტალი ეკონომიკის წამყვან დარგებში დამკვიდრდება და საქართველოსთვის მასთან დაპირისპირება და ეროვნული ინტერესების დაცვა თითქმის შეუძლებელი იქნება.

მსოფლიოში ევრაზია არის ყველაზე დიდი და საინტერესო ბაზარი. ევრაზიის ბაზარზე დასავლეთ ევროპის, ევროკავშირის ბაზარის წილი ძველი და კარგად ორგანიზებულია. ბაზრის აღნიშნულ სეგმენტში საქართველოში წარმოებული ეროვნული პროდუქციის დიდი მოცულობით ექსპორტი, პრაქტიკულად, გამორიცხულია. ჩვენი სეგმენტია ევრაზიის დანარჩენი უდიდესი ნაწილი.

გლობალიზაცია ისტორიული პროცესია, იგი არის სახელმწიფოებს შორის საქონლის და მომსახურების წარმოების ფაქტორების-შრომის, კაპიტალის და ცოდნის თავისუფალი მოძრაობა. გლობალიზაციის ძირითადი ეკონომიკური კრიტერიუმებია შრომის მწარმოებლურობის ზრდა და მოგების მიღება. გლობალიზაციით, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებული არიან ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული ქვეყნები, რომელთა მიზანია ბაზრის გაფართოება და მაღალი მოგების მიღება. გლობალიზაცია იწვევს საერთაშორისო კონკურენციის გამწვავებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს შრომის დანაწილებას, სპეციალიზაციის გაღრმავებას და ამით წარმოების ზრდას - არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ, მსოფლიო დონეზე.

საერთაშორისო კონკურენციის პირობებში, სუვერენულმა სახელმწიფოებმა, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო რიცხოვნების ერებმა, რომლებსაც გლობალიზაციის და ტრანსნაციონალური კომპანიების (ტნკ) შეტევების შედეგად, ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება ემუქრებათ, გლობალური კონკურენციის და ტნკ-ს პირობებთან ბრძოლის, შეგუების და გადარჩენის მიზნით აუცილებლად უნდა შეძლონ: I. მწარმოებლურობის დონის მიღწევა მსოფლიო დონის მაჩვენებლებთან. ქვეყნის ცხოვრების დონე დამოკიდებულია საქონლისა და მომსახურების წარმოების უნარზე. იმ ქვეყნებში, სადაც მშრომელები აწარმოებენ საქონლისა და მომსახურების დიდ რაოდენობას დროის ერთეულში, ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრების დონის მაღალია. ქვეყნებში, სადაც შრომა ნაკლებად მწარმოებლურია, ხალხი იძულებულია, უფრო ღარიბულად იცხოვროს, ამასთან, ქვეყნის მწარმოებლურობის ზრდის სიდიდე განსაზღვრავს მოსახლეობის საშუალო შემოსავლის ზრდის სიდიდეს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქონლისა და მომსახურების წარმოებისას მთავარია, საბაზრო (მყიდველზე) ორიენტაციის გზას დავადგეთ.

დღევანდელი კომუნიკაციური ქსელების განვითარების პირობებში მოთხოვნა ყველა საქონელზე დაკმაყოფილებული იქნება ნებისმიერ მანძილზე, რადგან დღეს მსოფლიოში არ არსებობს წარმოების პრობლემა, მთავარია მომხმარებლისა და ბაზრის მოძიება, საქონლისა და მომსახურების მწარმოებლურობის გათვალისწინებით. საქმე ის არის, რომ მსოფლიო მოსახლეობის 75 პროცენტი ევრაზიაში ცხოვრობს და მსოფლიოს ფიზიკური სიმდიდრის დიდი ნაწილი იმყოფება იქ, მის საწარმოებში და მიწის წიაღში. ევრაზიის წილად მოდის მსოფლიოს საერთო ნაციონალური პროდუქტის, დაახლოებით, 60 პროცენტი და მსოფლიოს ცნობილი ენერგეტიკული მარაგების, დაახლოებით, 3/4. მაშასადამე, მსოფლიოში ევრაზია არის საინტერესო ბაზრის ყველაზე დიდი ნაწილი. ევრაზიის ბაზარზე, დასავლეთ ევროპის, ევროკავშირის ბაზარი ძველი და კარგად ორგანიზებულია, ბაზრის აღნიშნულ სეგმენტში საქართველოში წარმოებული ეროვნული პროდუქციის ექსპორტი დიდი მოცულობით, პრაქტიკულად, გამორიცხულია. ძირითადად, ჩვენი სეგმენტია ევრაზიის დანარჩენი უდიდესი ნაწილი, რომლის ხელში ჩასაგდებად, სხვადასხვა ფორმით (სამხედრო თუ ეკონომიკური), დიდი ბრძოლა მიმდინარეობს, გეოსტრატეგიულ პირებს შორის. საქართველოზე, თავისი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობის გამო, ერთდროულად რამდენიმე გეოპოლიტიკური პირის ინტერესები იკვეთება. საქართველო რიცხობრივი, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალით წარმოადგენს პაიკს მსოფლიო ქვეყნების საჭადრაკო დაფაზე, ამიტომ საჭირო იყო, არის და იქნება მრავალ ვარიანტული პოლიტიკური თამაში ცივი გონებით, რომლის ძირითადი მიზანი უნდა იყოს გარემო პირობების შექმნა ეკონომიკური აღმავლობისათვის, რადგან მასზეა დამოკიდებული სახელმწიფოს დანარჩენი ფუნქციების შესრულების

საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ, უნდა მოძებნოს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ძირითადი ეკონომიკური ფუნქცია და შესაძლებლობის ფარგლებში მოახერხოს კავკასიის რეგიონის ეკონომიკური ინტეგრაცია.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან (მსო) მოლაპარაკებისას დაუშვა დიდი შეცდომა, როცა არ განსაზღვრა პრიორიტეტები - აგრარული და ინდუსტრიული სექტორის რომელი დარგები დაეცვა და რამდენ ხანს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია მწარმოებლურობისა და ეროვნულ მესაკუთრეთა ფართო სტაბილური ფენის ჩამოსაყალიბებლად. საქართველო ბაზრის სიმცირის გამო არ წარმოადგენს მიმზიდველს ინვესტიციების მოსაზიდად. ამასთან, მეზობლად გვაქვს ორი დიდი ბაზარი - რუსეთი და თურქეთი, ამიტომ საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ძირითადი ეკონომიკური ფუნქცია უნდა მოძებნოს და, შესაძლებლობის ფარგლებში, კავკასიის რეგიონის ეკონომიკური ინტეგრაცია მოახერხოს. XII საუკუნეში ლეონტი მროველის იდეა, ერთიანი კავკასიის შესახებ, დღეს გლობალიზაციის პერიოდში უაღრესად აქტუალურია.

მაშასადამე, ინდიკატორული დაგეგმვის საფუძველზე საჭიროა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტული მიმართულებების და ეკონომიკის ამძრავი დარგების გამოკვეთა. ეკონომიკის რეალურ სექტორში - აგრარულ, ინდუსტრიულ, მომსახურების და ფინანსურ სექტორში ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის განსაზღვრა.

II. ეროვნულ მესაკუთრეთა ფართო სტაბილური ფენის ჩამოყალიბება, ინდუსტრიულ სექტორში უმეტესად რეალური სააქციო საზოგადოებების შექმნის გზით.

თუ საკუთრებას და მოგებას უცხო ქვეყნის ფიზიკური პირები და ფირმები დაეპატრონება, მცირდება და თანდათანობით ქრება ადგილობრივ ეროვნულ მესაკუთრეთა ფენა, შემდეგ - კულტურა, ქვეყნები, ენები და ერები. მაშასადამე, ეროვნულ მესაკუთრეთა ფართო სტაბილური ფენის ჩამოყალიბება განსაზღვრავს, ძირითადად, ენის, ერების, კულტურისა და ქვეყნების შენარჩუნებას.

საქართველოში ეროვნულ მესაკუთრეთა ფართო ფენების ჩამოყალიბება პირდაპირ არის დაკავშირებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების სწორად წარმართვასთან.

სახელმწიფო საწარმოების პრივატიზებას საქართველოში ალტერნატივა არ გააჩნია. აქ ლაპარაკია, პრივატიზებულ ქონებას ეროვნულ მესაკუთრეთა ფენა დაეპატრონება თუ უცხოელები, დაჩქარებული ტემპებით საწარმოთა პრივატიზება გამოიწვევს იმას, რომ საწარმოთა ქონების უდიდესი ნაწილი აღმოჩნდება საქართველოს მოსახლეობის მცირე ნაწილის ხელში ან უცხოელები დაეპატრონებიან. ამით საქართველოში პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობა არ მოიხსნება და ავტომატურად ამოქმედდება სახელმწიფოს უსაფრთხოების ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (მე ზოგიერთს ჩამოვთვლი), როგორებიცაა: ეროვნულ მესაკუთრეთა ფართო ფენის არსებობა; მოსახლეობის 70 პროცენტის საშუალომყიდველობითუნარიანობა; შრომის უნარიანი მოსახლეობის, სულ ცოტა, 90 პროცენტის დასაქმებულობა; კორუფციის დონე მ.შ.პ. 10 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს და ა.შ. სახელმწიფოს უსაფრთხოების მაკროეკონომიკური პარამეტრების დაუცველობა იწვევს "კაზაკი რაზბოინიკი"-ს ტიპის თამაშებს და ქონების დროდადრო გადანაწილება-გადმონაწილებას ტალღობრივი გზით, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დაიწყო, დღესაც გრძელდება და კიდევ გაგრძელდება. ეს ობიექტური კანონზომიერებაა და დაკავშირებულია ზემოთ ჩამოთვლილ პარამეტრებთან.

ეროვნულ მესაკუთრეთა ფართო სტაბილური ფენის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, მკითხველის ყურადღება მინდა გავამახვილო პრინციპზე, რომელიც უმთავრესია ნებისმიერი სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის. ეს პრინციპია კორპორატიული მართვა, ანუ შ.პ.ს.-ს ნაცვლად, უმეტესად, სააქციო საზოგადოებების შექმნა, რომელიც ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს ეროვნულ მესაკუთრეთა ფართო ფენის ჩამოყალიბებას, მეორეს მხრივ, კორპორატიული მართვის პრინციპის ყველაზე დიდი უპირატესობა მისი კონტროლისა და რეგულირების ძლიერი უნარი გახლავთ, იგი თვითონ უზრუნველყოფს მრავალ ფუნქციას, ბილია, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა კრიზისების გამო ხდებოდა მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია სხვა ქვეყნებში. იმ ქვეყნებში ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის შემდეგ კი, ემიგრირებული მოსახლეობა თავის ისტორიულ სამშობლოში ბრუნდებოდა. მაშასადამე, საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტები, გარდა იმისა, რომ დაზოგილი კაპიტალით საწარმოთა პრივატიზების პროცესში მიიღებენ მონაწილეობას, რითაც ეროვნულ მესაკუთრეთა ფართო სტაბილური ფენის ჩამოყალიბებას შეეწყობა ხელი, ისინი თავიანთ ინტელექტუალურ კაპიტალს და დასავლურ გამოცდილებას ჩამოიტანენ.

III. მეცნიერებატევადი დარგებისა და ტექნოლოგიების წარმოება

IV. განათლების უზრუნველყოფა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებით

განათლებული, კვალიფიციური კადრების გარეშე შეუძლებელია 21-ე საუკუნეში შეეხო ტექნიკას და ტექნოლოგიებს, მართო ნებისმიერი ორგანიზაცია, მათ შორის, სახელმწიფოც.

XXI საუკუნის საზოგადოება - განათლების, ცოდნის საზოგადოება იქნება გაცილებით რთული და კონკურენციით აღსავსე. ამასთან, ძვირადღირებული.

V. ფუნდამენტური მეცნიერების შენარჩუნება. საქართველოში აუცილებელია არსებობდეს ცნობისმოყვარე, ფიქრისმოყვარული, მკვლევარი საზოგადოება (ორგანიზაცია) რომლებიც შეძლებენ პასუხის გაცემას საზოგადოების და მეცნიერ-ტექნიკური განვითარების საკითხებზე დასმულ კითხვებზე.

VI. სახელმწიფოს მართვის ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბება.

VII. ეკონომიკის რეკონსტრუირების პირობებთან შეგუება. ეკონომიკის (არა მარტო ეკონომიკის) ისტორიაში გარკვეულ თემებს განმეორების ტენდენცია ახასიათებს, ეკონომიკური რეკონსტრუირება ერთ-ერთი მათგანია, ეს კი თითქმის ყოველთვის მტკივნეული პროცესია. იგი შეიძლება გამოდგეს "შემოქმედებითი ნგრევის" მაგალითად, როგორც ამ ფენომენს უწოდებდა ეკონომისტი ჟოზეფ შუმპეტერი. საბოლოოდ, რეკონსტრუირებული სექტორი შეიძლება უფრო პატარა ან განსხვავებული აღმოჩნდეს, მაგრამ იგი უფრო ძლიერია და გამძლეც გლობალური კონკურენციის მკაცრი პირობებისადმი. ცნობილია, რომ როდესაც ეროვნულ მოძრაობას სათავეში ეროვნულ მესაკუთრეთა ფენა უდგება, საზოგადოება პროგრესის გზაზე გადის, ხოლო როცა ეროვნულ მოძრაობას სათავეში უდგება სხვა ფენა - რეგრესზე. ზემოთ აღნიშნული ობიექტური მიზეზების გამო, საქართველოში ისტორიული განვითარების შედეგად ჩამოყალიბებული ეროვნულ მესაკუთრეთა ფართო ფენა არ არსებობდა, ამიტომაც მიმდინარეობს ჩვენთან ყველა პროცესი მტკივნეულად.

ჩემი მიზანია საზოგადოების, მეცნიერების და პოლიტიკოსების ყურადღების მიქცევა სახელმწიფოებრიობის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი, როგორებიცაა - ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობა, უცხოური ინვესტიციები, ეროვნულ მესაკუთრეთა ფართო ფენის ჩამოყალიბება და სხვა. კარგად უნდა დავიმახსოვროთ, რომ თუ ჩვენ ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული გზა (დოქტრინა) არ გვექნება, თუ ჩვენ თავზე არ ვიფიქრებთ და არ გვეხსომება, რომ ნებისმიერ მომხვდურს, აღმოსავლეთიდან იქნება თუ დასავლეთიდან, უპირველესად თავისი პირადი ინტერესები ამოძრავებს, ისე მოიქცევა, როგორც მისი ეროვნული ეკონომიკის ინტერესები უკარნახებს, ჩვენ გლობალიზაციის შემოტევებს ვერ გავუძლებთ.

სახელმწიფო საწარმოების პრივატიზებას საქართველოში ალტერნატივა არ გააჩნია. აქ ლაპარაკია, პრივატიზებულ ქონებას ეროვნულ მესაკუთრეთა ფენა დაეპატრონება თუ უცხოელები. დაჩქარებული ტემპებით საწარმოთა პრივატიზება გამოიწვევს იმას, რომ საწარმოთა ქონების უდიდესი ნაწილი საქართველოს მოსახლეობის მცირე ნაწილის ხელში აღმოჩნდება ან უცხოელები დაეპატრონებიან. ამით საქართველოში პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობა არ მოიხსნება

მთავარია, საქართველოს მოსახლეობა, პოლიტიკოსები, მეცნიერები, რომლებსაც ხელეწიფებათ ეკონომიკის, მართვის, სამართლის და, მთლიანად, სახელმწიფოს მართვის საკითხები, ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვები, იყვნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიურები, შეეძლოთ დიდი ხნის განმავლობაში ტაქტიკური და სტრატეგიული თამაში, არ ჩაცხრნენ, არ გახდნენ პასიურები და ინერტულები.

წაგება კატასტროფა არ არის, კატასტროფაა - გაჩერება.

კულტურათა დიალოგი ოპერის სცენაზე

დონ ჯოვანის სრული ვერსია და იტალიურ-ქართული შესრულება

B2

ყოველ სამშაბათს

B3

უეინ რუნი საუკეთესოა

B4

სასულიერო პირები

უკრაინის, რუსეთისა და საქართველოს შესახებ

ნინო ცინცაძე

ექვსიდან ათ დეკემბრამდე სამი ქართველი სასულიერო პირი: დეკანოზი ბასილ კობახიძე, მღვდელი ზაზა თევზაძე და ბაპტისტურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოს-პრეზიდენტი მალხაზ სონღულაშვილი კიევში იმყოფებოდნენ. დღეს ისინი "24 საათის" მკითხველებს თავიანთი მოგზაურობის შთაბეჭდილებებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ესაუბრებიან.

- პირველი მარტივი შეკითხვა: რატომ გაემგზავრეთ უკრაინაში?

მღვდელი ზაზა თევზაძე: ბუნებრივია, უკრაინაში მიმდინარე პროცესების გამო ჩავედით. ჩვენი სურვილი იყო, ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი მოგვეხადა და მხარი დაგვეჭირა უკრაინელი ხალხისათვის, რომლებმაც ასე ერთხმად გამოხატეს თავიანთი ნება. იმით, რაც ვნახეთ, მართლაც, აღფრთოვანებულები ვართ. ეს არის ხალხის უზარმაზარი მასა, რომელიც გასაოცარი ორგანიზებულობითა და სიმშვიდით იქცევა. უკრაინაში ჩვენ გვქონდა ძალიან საინტერესო შეხვედრა კიევის პატრიარქთან, მეუფე ფილარეტთან, შევხვდით ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლობას, გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოების წევრებს, ბაპტისტურ-ევანგელური წრის წარმომადგენლებს, არაქრისტიანული წრეებიდან - რაბინს. გამოვედით ტელევიზიით. ჩაგვწერეს იქაურმა გაზეთებმა.

- საზოგადოებაში აუცილებლად გაჩდება კითხვა, რამდენად შესაფერისია სასულიერო პირებისათვის ამგვარი აქტივობა?

მღვდელი ზაზა თევზაძე: საზოგადოებაში სასულიერო პირს ხშირად აღიქვამენ რაღაც ეგზოტიკურ, ტრანსცედენტულ, წარსულის გადმონაშთად, სამუზეუმე ექსპონატად, რომელსაც ხელში მხოლოდ საცეცხლური ან ჯვარი უნდა ეჭიროს. ბევრისათვის ძნელი წარმოსადგენია სოციალური ცხოვრებაში აქტიურად ჩართული მღვდელი, მაგრამ, ეს არ არის მართებული. სასულიერო პირი ყველაზე მეტი გამომხატველი და დამცველი უნდა იყოს ეკლესიის ღირსებისა, რადგან სწორედ ეკლესიაა ის ორგანიზმი, რომელიც საზოგადოების მორალური სულის ამაღლებაზე უნდა ზრუნავდეს. ჩვენ მხოლოდ დისტანციიდან არ უნდა ვქადაგებდეთ. სასულიერო პირებმა კარგად უნდა გავიაზროთ, როგორ და რანაირად შეიძლება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩავერთოთ ისე, რომ ჩვენი მოღვაწეობა ნაყოფიერი იყოს.

ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი: იყო დრო, როდესაც ფიქრობდნენ, სამწუხაროდ, დღესაც ბევრი ასე ფიქრობს, რომ ერის და საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება მხოლოდ ელიტარული ნაწილის საქმეა. ეს ასე არ არის. სასულიერო პირები, ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი ფენის წარმომადგენლები, მონაწილეობენ ქვეყნის ცხოვრებაში. გვინდა თუ არა, ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას მაინც ვიღებთ. რა თქმა უნდა, იმ გაგებით არა, რომ ეკლესიამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ხელები ურიოს, მაგრამ ჩვენთვის, როგორც ქრისტიანებისათვის, მნიშვნელოვანია, რომ ვიყოთ იქ, სადაც დაძაბულობაა. როდესაც მაცხოვარი გვეუბნება, რომ "თქვენ ხართ ნათელი სოფლისა", ეს ნიშნავს, რომ ნათელი უნდა იყოს იქ, სადაც სიბნელეა. ვის აქვს უფლება, საზოგადოებას ზნეობრივი ნორმებისაკენ მოუწოდოს? პოლიტიკოსების საქმე ეს არ არის. ეს სასულიერო პირების საქმეა. მე ნამდვილად ვამაყობ იმ სასულიერო პირებით, რომლებიც უკრაინის "მეიდანზე" თავის ხალხთან ერთად იდგა. მძიმე წუთებმა უკრაინის ყველა ეკლესია გააერთიანა. ამ დღეებმა გააერთიანა ერიც და ბერიც. აქ იყვნენ, როგორც ქრისტიანული, ისე არაქრისტიანული რწმენის წარმომადგენლები და ისინი ყველა ერთად ჭედავდნენ თავიანთი ქვეყნის მომავალ ბედს. როდესაც ისინი გამოდიოდნენ და ხალხს მოუწოდებდნენ, მშვიდობიანად, არაძალადობრივი გზით დაეცვათ თავიანთი უფლებები, ეს ნამდვილად ღვთის ნების გამოხატულება იყო. ჩვენ ვამაყობთ, რომ ცოტა ხნით მაინც მათ გვერდით დგომა შევძელით. იმ დროს, როდესაც ქვეყნის ბედი ბეწვზე ეკიდა, სასულიერო პირების იქ ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანი რამ იყო. მთელ ამ მოძრაობას განსაკუთრებული ელფერი შესძინა იმან, რომ ერთმანეთის გვერდით იდგნენ რაბინები, მუფტი, მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლები, კათოლიკე მღვდლები, პროტესტანტები და ერთად ლოცულობდნენ ამ ქვეყნის მშვიდობისათვის. ყველა ხედავდა, რომ ისინი თავიანთი რწმენით, წარმოდგენებით, შესამოსელით განსხვავებულები არიან, მაგრამ ყველა ერთად აღიარებდა, რომ უკრაინა მათი სამშობლოა და, განსხვავებების მიუხედავად, მათ ერთად დგომა შეუძლიათ.

- იმის შესახებ, რაც უკრაინაში პოლიტიკური თვალსაზრისით ხდება, საინფორმაციო საშუალებები ყოველ წუთას გადმოსცემენ. თქვენგან სწორედ იმის მოსმენაა საინტერესო, თუ რა ხდებოდა ამ დღეებში უკრაინაში რელიგიური თვალსაზრისით. საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება იმის გაგება, თუ რა ეკლესიები, რა რელიგიური მიმართულებებია აქტიური ახლა უკრაინაში და ვინ რა როლს თამაშობს ქვეყნის ცხოვრებაში.

ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი: უკრაინის ეკლესიებმა და რელიგიურმა გაერთიანებებმა ამ დღეებში ნამდვილად გამოავლინა თავისი მოწიფულობა. ამას, რა თქმა უნდა, თავისი წინამძღვრები ჰქონდა - ისინი მანამდეც ხვდებოდნენ ერთმანეთს, თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, ჰქონდათ ეკუმენური საქმიანობა. ადგილი ჰქონდა ინტერკონფესიულ თანამშრომლობასაც ქრისტიანებსა და არაქრისტიანებს - იუდეველებსა და მაჰმადიანებს შორისაც. ასე რომ, როდესაც რევოლუცია მოხდა, ისევე როგორც ქრისტიანული კონფესიები, ასევე არაქრისტიანული თემების წარმომადგენლებიც მზად იყვნენ იმისათვის, რომ ხალხის გვერდით ერთად დამდგარიყვნენ. უკრაინაში რელიგიური სპექტრი ძალიან ჭრელია. არსებობს დაახლოებით 15 თუ 16 ქრისტიანული და არაქრისტიანული რელიგიური გაერთიანება. მართლმადიდებლობა გაყოფილია სამ ძირითად სინოდად. ერთია კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, მეორეა მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია და მესამე - უკრაინის ავტოკეფალური ეკლესია. კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ შეიქმნა. ეს იყო უკრაინის დამოუკიდებელი ეკლესიის შექმნის მცდელობა, რადგან მანამდე უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია მოსკოვის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა. ამ წამოწყებას მძაფრი წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის საპატრიარქომ, მან უარი არ განაცხადა საკუთარ უფლებებზე და შეინარჩუნა უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესია მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ. ამ ყოველივეს ერთი ძალიან საინტერესო კურიოზი ახლავს. მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლს უკრაინაში აქვს ტიტული "მისი უნეტარესობა", მაგრამ, როგორც კი იგი უკრაინის საზღვრებს გარეთ ფეხს გადაადგამს, იგი "მისი მაღალუსამღვდელესობა" ხდება, რადგან უკრაინის ფარგლებს გარეთ იგი მოიაზრება, როგორც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი დიდი ეპარქიის წინამძღოლი. მესამე ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია ასევე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიშვა, ის შედარებით მცირერიცხოვანია და მას თავისი იერარქია ჰყავს. უკრაინაში ასევე ძალიან ძლიერი ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიაა. მათ აქვთ მართლმადიდებლური ლიტურგიის შესაბამისად აგებული სრული ღვთისმსახურების წესი, მაგრამ ლოცვებში ისინი რომის პაპს იხსენიებენ და მას ემორჩილებიან. ხშირად ამ ეკლესიას უნიატურსაც უწოდებენ, თუმცა მათ ეს შერქმეული სახელი არ მოსწონთ. ისინი აცხადებენ, რომ არიან არა "რომის ქვეშ", არაედ "რომთან", რითაც თავის განსაკუთრებულ სტატუსს უსვამენ ხაზს. მათი პოზიციები ყოველთვის ძლიერი იყო დასავლეთ უკრაინაში. ახლა ისინი ცდილობენ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ უკრაინაში გაიმყარონ თავიანთი პოზიციები იმით, რომ მათი ძირითადი სასულირო ცენტრი მალე ლვოვიდან კიევში გადმოინაცვლებს. ჩვენ ვნახეთ მშენებარე უზარმაზარი საკათედრო ტაძარი, რომელიც ორ წელიწადში გასრულდება. სწორედ აქ დაიდებს ბინას უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესია.

- საინტერესოა რომელი ეკლესია უფრო ძლიერია და ვის უფრო მეტი მრევლი ჰყავს?

ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი: მკაფიო სტატისტიკა არ არსებობს. როდესაც ჩვენ ველაპარაკეთ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლს, მეუფე ფილარეტს, მან განაცხადა, რომ თუმცა მოსკოვს დაქვემდებარებული ეკლესიის ქონება, ტაძრები თუ სხვა რამ ბევრად მრავალრიცხოვანია, მათ მაინც ორჯერ მეტი მრევლი ჰყავთ. ასე რომც არ იყოს, ალბათ, იმ პოზიციის გამო, რომელიც ამ პერიოდში მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფმა ეკლესიამ დაიკავა, ბევრი მღვდელი და ეპისკოპოსი თავისი მრევლით, ალბათ, კიდევ გადავა კიევის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში.

- როგორი იყო ეს პოზიცია?

ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი: დანარჩენებისაგან განსახვავებული პოზიცია მხოლოდ ორმა ეკლესიამ დაიკავა. ესენი არიან მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია და უკრაინის მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია. მათ მხარი აშკარად იანუკოვიჩს დაუჭირეს. მოსკოვის დაქვემდებარების ეკლესიამ პირდაპირ განაცხადა, რომ იანუკოვიჩი მართლმადიდებელი, ხოლო იუშენკო სატანური კანდიდატია. იქ ყოფნის ბოლო დღეს ჩვენი თვალით ვნახეთ ამ ეკლესიასთან ასოცირებული სამღვდელოების წარმომადგენლებისა და მათი მრევლის ხატებითა და ჯვრებით შეიარაღებული აქცია იანუკოვიჩის მხარდასაჭერად. რაც შეეხება უკრაინის მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიას, რომელიც, როგორც ვთქვი, შედარებით მცირერიცხოვანია, ამ დღეებში მას თავშეკავებული პოზიცია უჭირავს, თუმცა წინასაარჩევნო პერიოდში მის წინამძღოლს განუცხადებია, რომ ერის ერთადერთ მამად იანუკოვიჩს მიიჩნევს. ყველა დანარჩენი ეკლესია, უკრაინის კიევის საპატრიარქოს მართლმადიდებელი ეკლსიის ჩათვლით, ხალხის მხარეზე დგას. ხაზგასასმელია, რომ ხალხის, ხალხის არჩევანის და არა რომელიმე პოლიტიკოსის მხარეზე. უკრაინაში ძალიან ძლიერია ევანგელისტური ეკლესიები, დიდია ბაპტისტურ-ევანგელური ეკლესია, უკრაინელი ხალხის სულიერ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ებრაული თემი. მათ საამაყოდ უნდა ითქვას, რომ უკრაინის მთავარი რაბინი, რომელსაც ჩვენ შევხვდით, ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის ნამდვილი, აქტიური დამცველია.

მღვდელი ზაზა თევზაძე: თუ რომელიმე ეკლესია პოლიტიკაში მონაწილეობდა, ეს სწორედ რუსეთის ეკლესიასა და რუსეთის სპეც-სამსახურების გავლენის ქვეშ მყოფი ეკლესიები იყო. ისინი აქტიურად ერეოდნენ ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდშიც. ეკლესიათა ძირითადი, არაპოლიტიზირებული, არაიმპერიალისტური ღირებულებების მქონე სპექტრი კი ერთსულოვანი იყო იმაში, რომ ხალხის მშვიდობიანი არჩევანისათვის მხარი უნდა დაეჭირათ.

ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი: ამ დღეებში კიევის "მეიდანზე" , ყოველ დილას ათ საათზე ქრისტიანული და არაქრიასტიანული კონფესიების წარმომადგენლები მართავდნენ ლოცვას, რომელსაც უამრავი ხალხი ელოდებოდა. ლოცულობდნენ უკრაინისათვის, უკრაინელი ხალხისათვის, მშვიდობისათვის, კონფლიქტის არაძალადობრივი გზით მოგვარებისათვის. ამ ლოცვას სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები მორიგეობით უძღვებოდნენ, მასში მონაწილეობას იღებდნენ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი ეკლესიის დისიდენტი მღვდლებიც, ებრაელი რაბინები, მუსლიმი სასულიერო წინამძღოლები, ბაპტისტი პასტორები, ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები და ა.შ. ჩვენთვის პატივი იყო, რომ ერთ დღეს ამ ლოცვაში მონაწილეობა ჩვენც მივიღეთ. ჩვენ დავლოცეთ ეს ხალხი, მამა ბასილმა მათ სამ ენაზე მიმართა, უნდა ითქვას, რომ რეაქცია ძალიან შთამბეჭედავი იყო. იქიდან რომ ჩამოვედით, ხალხი აღარ გვიშვებდა, ზოგს სურათის გადაღება უნდოდა, ზოგს ჩვენთვის ხელის მოკიდება, ზოგს დალოცვა და ა.შ.

მღვდელი ზაზა თევზაძე: უნდა ითქვას, რომ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით სრული მორჩილება არ არის. ჩვენ შევხვდით ამ საპატრიარქოს სასულიერო აკადემიის სტუდენტებს და მათ გვითხრეს, რომ აკადემიაში პოზიციები გაყოფილია. სტუდენტთა ნახევარი მხარს უკრაინელ ხალხს უჭერს, მაგრამ ამის გამო ისინი დევნასა და ზეწოლას განიცდიან.

- სანამ თქვენ კიევში იყავით და იქურ მორწმუნეებს ხვდებოდით, რუსეთში საკმაოდ საინტერესო ახალი პოლიტიკური გაერთიანება ჩამოყალიბდა. დმიტრი როგოზინისა და კრემლის პიარ-ტექნოლოგის ბელკოვსკის მეთაურობით შეიქმნა რუსეთის ეროვნული მოძრაობა, რომლის ძირითად მიზნებშიც უკრაინასა და საქართველოს მიმართ პოლიტიკის შეცვლაც შედის. ცხადია, რომ ამ ბოლო პერიოდში რუსეთმა თავისი პოლიტიკა უკრაინასთანაც წააგო და ნაწილობრივ საქართველოსთანაც. ჰოდა, ახლადშექმნილი დაჯგუფების წევრები აცხადებენ, რომ ეს პოლიტიკა უნდა შეიცვალოს. -"საქართველოს მიმართ აღარ უნდა ტარდებოდეს დამქუცმაცებლური პოლიტიკა, - აცხადებს როგოზინი, - ჩვენი მიზანი უნდა იყოს აღმოსავლურ ქრისტიანულ მაგნიტურ სივრცეში ერთიანი საქართველო შევიყვანოთ". ბელკოვსკი კი ამბობს, რომ ჩვენი პროტექტორი რუსეთის არმია უნდა გახდეს.

ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი: ის, რაც ჩვენ უკრაინაში ვნახეთ, ნათლად მოწმობს იმაზე, რომ რელიგიით მანიპულირება პოლიტიკური მიზნებისათვის აშკარად შეიძლება. რადგან უკრაინის მოვლენებმა რუსულ იმპერიალიზმს ნიღაბი ნამდვილად ჩამოხადა, ეს, ალბათ, არის რეზურექციის ერთგვარი მცდელობა, რომელიც რუსულ იმპერიას რელიგიის გამოყენებით უნდა მოუწყონ.

დეკანოზი ბასილ კობახიძე: საქმე ის არის, რომ ისეთი პოლიტიკოსები, როგორებიც არიან როგოზინი, ბელკოვსკი, განსაკუთრებით ბლოკ "როდინას" წევრები, ე.წ. მართლმადიდებელი ინტელექტუალები, ნიკოლოზ ლეონოვი, ქალბატონი ნატალია ნაროჩიცკაია და სხვები, დიდი ხანია აყალიბებენ ასეთ ისტორიულ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას. ეს იდეა შემდეგ პუტინის ხელშეწყობით მოსკოვის საპატრიარქომ აიტაცა და იგი გახდა მისი ერთ-ერთი მთავარი პროპაგანდისტი, რადგანაც რუსეთს იდეოლოგიის გარეშე არ შეუძლია. ეს ცივილიზაციის პოლუსების იდეა გახლავთ. ამ წლის იანვარში რუსი ხალხის მსოფლიო კონგრესზე სმოლენსკის მიტროპოლიტმა კირილ გუნდიაევმა განაცხადა, რომ არსებობს დასავლური პოლუსი, არსებობს მაჰმადიანური პოლუსი, ახლა კი უნდა შეიქმნას მართლმადიდებლური პოლუსი, რომელსაც, როგორც ეს, თითქოსდა, ისტორიულად იყო, რუსეთი უხელმძღვანელებს. ამ პოლუსმა გარს მართლმადიდებელი ხალხები: ბერძნები, მოლდაველები, ქართველები, უკრაინელები და ა.შ უნდა შემოიკრიბოს. ასე რომ, მე-19 საუკუნის მართლმადიდებლური იმპერიალისტური ტიპის ღირებულებები ახალი რუსეთის იდეოლოგიად უნდა იქცეს. რუსეთს ეს იდეოლოგია სჭირდება, მით უმეტეს, რომ მას კარგი დასაყრდენი აქვს თავად რუსეთის, გარკვეულწილად სერბეთის, საქართველოსა და საბერძნეთის ეკლესიებში. რუსეთი ამ ფსევდო-მართლმადიდებლურ სივრცეში ჩართვას, რა თქმა უნდა, პირდაპირი ძალადობით ვერ მოახერხებს. ის საქართველოს რაღაც სატყუარას გადაუგდებს, მაგალითად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტიას და ა.შ. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ამ საკითხების მიმართ პრეზიდენტ სააკაშვილის დამოკიდებულებას, მის ბიზანტიურ ქმედებებს, რომელიც სამების ტაძრის გახსნისას გამოვლინდა, და იმ პრაგმატიზმს, რომელიც, ჩემი აზრით, მას ახასიათებს, ეს ყოველივე შესაძლოა, გახდეს იმის საფუძველი, რომ მან ტერიტორიების შემოერთების დაპირების გამო, საქართველოში მართლმადიდებლურ-ნაციონალისტური იდეოლოგიის დამკვიდრება დაიწყოს. ჩვენი საპატრიარქო ამისათვის ისედაც დიდი ხანია, მზად არის და მაშინ ჩვენ ნამდვილ ქართულ მართლმადიდებლურ ფაშიზმს მივიღებთ. პოლიტიკაში რელიგიური წინასწარმეტყველებების გამოყენება ძალიან ეფექტური ხერხია. ისევ უკრაინის მაგალითი რომ მოვიყვანოთ, იქ არჩევნებამდე დადიოდა ხმები, რომ იანუკოვიჩს გაპრეზიდენტება ერთმა ბერმა უწინასწარმეტყველა, როდესაც ეს ბერი გარდაიცვალა და იქ იანუკოვუჩი შევიდა, გარდაცვლილმა ბერმა თურმე თითი გაანძრია და ა.შ. მეორე მხრივ, როდესაც სიტუაცია მწვავდება, იანუკოვიჩი კაშპიროვსკის და მკითხავებს ეძახის. მაღალ თანამდებობაზე მისტიკურ გადახვევებს ხშირად აქვს ხოლმე ადგილი. მე იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენ ასეთი რამ მაინც არ დაგვემუქრება.

- დაბოლოს, თქვენი კიევში ყოფნისას სხვებთან ერთად სემინარიიდან ოთხი ის სტუდენტი გარიცხეს, რომლებმაც ხელი 8 ნოემბრის წერილს მოაწერეს. რამდენიმე დღის წინ სასულიერო აკადემიაში თითქოს ღია პედსაბჭო უნდა გამართულიყო, სადაც სტუდენტებსაც დაასწრებდნენ, თუმცა ისინი იქ ცოტა ხნით შეიყვანეს და შემდეგ ისევ გარეთ გამოუშვეს. პედ-საბჭოზე გადაწყდა, რომ სტუდენტებს არ აღადგენენ.

მღვდელი ზაზა თევზაძე: თავის დროზე, როდესაც ამ სტუდენტებს დროებითი გაფრთხილება მისცეს, მამა ბასილმა თქვა, რომ მათ ცალცალკე გარიცხავდნენ. სამწუხაროდ, ასეც ხდება. ეს არის მზაკვრული გეგმა აზრის, სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ. ასეთი რამ უცხოა ეკლესიისათვის, ეს არის რაღაც შემოჭრილი ვირუსი, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ იფურჩქნება. ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ახალგაზრდების სულისკვეთებას რექტორატმა ასე უპასუხა. იმის მაგივრად, რომ ოდნავ მაინც ეგრძნობინებინათ სტუდენტებისათვის, რომ რაღაცის უკეთესობისაკენ შეცვლა მათაც სურთ. მე პირადად ასე პესიმისტურად განწყობილი არ ვიყავი. ძალიან სამწუხაროა, რომ ისინი კიდევ უფრო გამძაფრების, ხელისუფლების ბოროტად გამოყენების გზით მიდიან და ასე ცდილობენ, ჩაკლან და გაანადგურონ ის, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენი ეკლესიისა და ჩვენი საზოგადოებისათვის, რადგან ეკლესია სწორედ საზოგადოებასა და ღმერთს შორის უნდა იდგეს. სწორედ იგი უნდა ასრულებდეს ერის გაჯანსაღების მნიშვნელოვან ფუნქციას.

თეატრები

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
"დონ ჟუანი"
დირიჟორი: გ. ჟორდანია
დას: 18:00 სთ.

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
გოეთე
"ფაუსტი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
ფასი: 5 ლარი
დას: 20:00 სთ.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
მიხეილ მარმარინოსი
"ეროვნული ჰიმნი"
(თეატრალური ლაბორატორია ტერა ინკოგნიტა)
დას: 19:00 სთ.

გლობუსი
ჯონ ბ. პრისტლი
"ვარდი და გვირგვინი"
რეჟისორი: მედეა კუჭუხიძე
დას: 19:00 სთ.

პანტომიმის თეატრი
"ოცნების ჩიტი"
რეჟისორი: ლ. ჩხაიძე
დას: 18:00 სთ.

კინოთეატრები

რუსთაველი
"ანაკონდა 2"
დას: 13:00; 18:00; 20:00 სთ.

ამირანი
"ალექსანდრე"
დას: 12:00; 15:00 სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

"მობილური ტელეფონი"
დას: 18:00; 20:00 სთ.

მცირე დარბაზი
"ბანდიტები"
დას: 22:00 სთ.

გამოფენები

სურათების ეროვნული გალერეა
გამოფენა-ფოტოკონკურსი "ქოლგა 2004"

გოეთეს ინსტიტუტი
ბეატ პრესნერის ფოტონამუშევრების გამოფენა

ბაია გალერეა
საშობაო გამოფენა
"სათამაშო"
(კერამიკა)

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

ქარვასლა
ბაბი ბადალოვის ნამუშევართა გამოფენა

ჰობი
"კალეიდოსკოპი"

ძველი გალერეა
ავთანდილ გურგენიძის ფოტოგამოფენა

სალონი "ხელოვნება"
ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა

ბავშვთა სურათების გალერეა
"ზამთარი ჩვენს სახლებში"

თანამედროვე ხელოვნების გალერეა
"გიორგობისთვე"

გოეთეს ინსტიტუტი
ვერნერ ჰერცოგის ფილმების ჩვენება
Kaspar Hauser (1974 წ.)
დას: 18:00 სთ.

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

კულტურათა დიალოგი ოპერის სცენაზე

დონ ჯოვანის სრული ვერსია და იტალიურ-ქართული შესრულება

სოფო კილასონია

ზუსტად ერთი წლის წინ, ოპერის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში იტალიის საელჩოს მიერ ორგანიზებული გასტროლი მოექცა. სამი იტალიელი მომღერალი მაყურებლის წინაშე ჯაკომო პუჩინის "ტოსკაში" წარდგა. იტალიელთა ხსენებაზე თბილისელთა წარმოსახვამ და ეიფორიამ ნამდვილად ზომიერებას გადააჭარბა, შესაძლოა, ამიტომაც, მაყურებელთა უმრავლესობა ოდნავ იმედგაცრუებული დარჩა, მაშინ, იტალიურმა ოპერამ მათთვის ფიასკო განიცადა, თუმცა პროფესიონალთა უმრავლესობა, გასტროლიორებს უფრო ლმობიერად აფასებდა და მათი შესრულების დახვეწილ და კულტურულ მანერას იწონებდა.

"ტოსკას" შემდეგ იტალიის საელჩომ მოცარტის "დონ ჯოვანი" მსგავსი სახით განხორციელება განიზრახა და ერთი წლის თავზე, როგორც იტალიის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ფაბრიციო რომანო აღნიშნავს, ეს პროექტი ახალი დირექტორის დავით საყვარელიძის წყალობით განხორციელდა.

დღეს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოცარტის "დონ ჯოვანი" შესრულდება, რომელშიც წამყვან პარტიებს იტალიელი მომღერლები შეასრულებენ. მას შემდეგ, რაც ოპერისა და ბალეტის თეატრის მართველობაში ცვლილებები მოხდა, ხელახლა დაკომპლექტდა ორკესტრი და საოპერო დასი ეს თეატრის მიერ განხორციელებული პირველი სერიოზული პროექტია. ერთი თვეა, რაც ორკესტრი ახალი შემადგენლობით მუშაობს და დღეს მისი მუშაობის შედეგს მაყურებელი შეაფასებს.

"ეს არის საელჩოს მიერ ორგანიზებული კულტურული ღონისძიებების გაგრძელება, კერძოდ იტალიური ენისა და კულტურის დღეების გაგრძელება, ბედნიერი ვარ, რომ ხვალ თბილისის სცენაზე ოთხი იტალიელი მოცარტის ოპერას შეასრულებს" - აღნიშნა იტალიის ელჩმა და თეატრის მზრუნველთა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ფაბრიციო რომანომ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. თუმცა, სანამ სიტყვას მას გადასცემდნენ, თეატრის დირექტორმა დავით საყვარელიძემ დღევანდელ სპექტაკლსა და საერთოდ თეატრის გეგმებსა და სურვილებზე ისაუბრა: "გვსურს, რაც შეიძლება მეტი ახალი სახე წარმოვადგინოთ, გვინდა ჩვენი, ახალი ხელმძღვანელობის თეატრში მოღვაწეობა ახალი თაობის შემოქმედებითი კარიერის აღმავლობას დაემთხვეს, უნდა განვაახლოთ ძალები, დავიმეგობროთ ევროპული თეატრები და ევროპაში მოღვაწე ჩვენი ახალგაზრდები..."

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ქართულ-იტალიური "დონ ჟუანი" მზად არის.

ამ საღამოს ოპერის თეატრში მისული მაყურებელი მოცარტის ოპერის სრულ ვერსიას იხილავს და მოისმენს. საქმე იმაშია, რომ ეს სპექტაკლი აქამდე არასრული ვარიანტითა და კუპიურებით სრულდებოდა, თუმცა ამიერიდან თეატრის რეპერტუარში "დონ ჯოვანი" თავის დროზე პრაღის თეატრისთვის დაწერილი ორიგინალის სახით შევა და იგი 25 წუთით მეტსაც გასტანს.

იტალიელი სტუმრები მასიმილიანო დამატო (დონ ჯოვანი), ნუნცია სანტოდიროკო (დონა ანა) ფრანჩესკა რინალდი (დონა ელვირა) და ემანუელა მარტელი (ცერლიანა) ორკესტრის შესრულებითა და დირიჟორის გიორგი ჟორდანიას მუშაობით გამოწვეულ აღფრთოვანებას ვერ მალავენ. მასიმილიანო დამატომ, რომელიც დღეს დონ ჯოვანის მეტად რთულ პარტიას შეასრულებს გიორგი ჟორდანიას მაღალ კლასს, რაფინირებულ შესრულებას და დიდ გემოვნებას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ მოცარტის მუსიკის ამგვარი ღრმა შესრულება დიდი იშვიათობაა. გიორგი ჟორდანიას განსაკუთრებულ და გამორჩეულ მანერასა და შესრულების მაღალ დონეზე კიდევ მრავალი ითქვა. თავად დირიჟორი კი მოცარტის ოპერის იტალიურ-ქართული შესრულების მნიშვნელობასა და საერთოდ, კულტურათა დიალოგზე გვესაუბრა: "კულტურათა დიალოგი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მუსიკოსებისთვის, მუშაობის პროცესში მოხდა ისეთი გამოცდილებების გაზიარება, რომელიც ჩვენ ძალიან გამოგვადგება, იმედი მაქვს მსგავსი პროექტები გაგრძელდება, ჩვენ დიდი სიამოვნებით უნდა ვიმუშაოთ ნებისმიერი ქვეყნის და ნებისმიერი კალიბრის მუსიკოსებთან, რადგანაც ეს ჩვენ ძალიან გვჭირდება. მათთან მუშაობა იყო მართლაც სიამოვნება, ეს იყო უთქმელი, სიტყვებსგარეშე ურთიერთობა, რაც მხოლოდ მუსიკოსებს შეუძლიათ."

იტალიელ შემსრულებელთა გვერდით სხვა წამყვან პარტიებს ქართველი მომღერლები ნიკა გულიაშვილი (მაზეტო), ტარიელ ჭიჭინაძე (კომანდორი), გია მახარაძე (ოტავიო), გია ასათიანი (ლეპორელო) შეასრულებენ. როგორც ჩანს, დღეს ოპერისა და ბალეტის თეატრში მისულ მაყურებელს მეტად საინტერესო სპექტაკლი ელის, ეს ყოველივე დღეს, თუმცა სულ მალე, 26 დეკემბერს, არანეკლებ საღამოს გვპირდება თეატრის ხელმძღვანელობა, როგორც დავით საყვარელიძემ აღნიშნა, იგივე სპექტაკლში საოპერო დასი ახალგაზრდა ქართველ მომღერალთა შემადგენლობით წარდგება. მათ შორის მრავალ დებიუტანტს იხილავს მაყურებელი, რომელთაც როგორც საყვარელიძე, ისე გიორგი ჟორდანია, სულ მალე დიდ საოპერო სცენებზე გაბრწყინებას უწინასწარმეტყველებს. თუმცა, მათ შესახებ მოგვიანებით ვიმსჯელოთ, წინ, ანუ ამ საღამოს იტალიურ-ქართული საოპერო დიალოგი, ვოლვგანგ მადეუს მოცარტის "დონ ჯოვანი" გველის.

თუ მოყვარულმა პროფესიონალს აჯობა...

ფოტოკონკურს "ქოლგას" საუკეთესო ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა

მადი სერებრიაკოვა

გუშინ მოყვარულ ფოტოგრაფთა კონკურს "ქოლგას" გამოფენა გაიხსნა, რომელზეც კონკურსზე შეტანილ ნამუშევრებს შორის 100 საუკეთესო ფოტო წარმოადგინეს. ვინც "ქოლგას" გასულ წლებში ადევნებდა თვალყურს, სიამოვნებით და ზოგიც სიამაყით აღნიშნავენ, რომ წელს ბევრად უკეთესი ნამუშევრებია წარმოდგენილი და ჟიურის არჩევანის გაკეთება უფრო გაუძნელდება. გამარჯვებულები 18 დეკემბერს გამოვლინდებიან. მანამდე კი გამოფენის კარი ეროვნულ გალერეაში ყველასთვის ღიაა.

"ქოლგა" თბილისში 2002 წლიდან იმართება. მისი ორგანიზატორები თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირი და TBC-TV არიან. წელს კონკურსი კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება, სპონსორობას კი მას "მაგთი GSM", "კოდაკის" წარმომადგენლობა საქართველოში, ჯი-ემ-სი ჯგუფი, "ორიფლეიმი" და "ქორთიარდ მარიოთი" უწევენ.

მოყვარულები პროფესიონალებს ეჯიბრებიან.

წელს საკონკურსოდ 2500 ფოტონამუშევარი იყო წარმოდგენილი. ავტორთა უმეტესობა კონკურსის წინა გამოშვებებშიც მონაწილეობდა. ზოგიერთ მათგანს პრიზების პერსპექტივა ხიბლავს, ზოგისთვის კი - ეს უკვე გარკვეული შემოქმედებითი ამბიციის ასპარეზია. ასეა თუ ისე, წელს შემთხვევითი ნამუშევრები ცოტა იყო და ძირითადად ყოველი მათგანი გარკვეული კონცეფციისა და პროფესიულ მიდგომას ითვალისწინებდა.

ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ "ქოლგა" წელს გაცილებით უფრო წარმომადგენლობითი და პროფესიულია, ვიდრე გასულ წლებში. მიუხედავად იმისა, რომ იგი მოყვარულ ფოტოგრაფთა კონკურსია, თვით ჟიურის წევრებიც აღიარებენ, რომ ხშირ შემთხვევაში მომყვარულების ნამუშევრებმა ბევრად აჯობეს პროფესიონალებისას. ცხადია, პროფესიონალიზმიც შედარებითი ცნებაა. თუ პროფესიონალიზმს მხოლოდ ამ დარგში დიპლომის არსებობით გავზომავთ, მაშინ "ქოლგაში" მონაწილეობას, ალბათ, ყველა დღეს ჩვენთვის ცნობილი ფოტოგრაფი შეძლებს. მაგრამ, თუ პროფესიონალი ფოტოგრაფის საზომად ამ დარგში გაწეული მუშაობის ხარისხითა და სტაჟით ვიმსჯელებთ, "ქოლგის" ქვეშ თავშესაფრის პოვნა ბევრი წლევანდელი ფინალისტისთვის შეუძლებელი გახდება. ასეა თუ ისე, წლევანდელ "ქოლგას" მოყვარულთა თვითშემოქმედებას ნამდვილად ვერ დავარქმევთ.

გუშინდელი გამოფენისთვის 100 საუკეთესო ნამუშევრის შერჩევა და მათ შორის არჩევანის გაკეთება ჟიურის წევრებისთვისაც ძნელი იყო: **"წელს ბევრად მაღალი დონის ნამუშევრებია და ეს ძალიან კარგია -** აღნიშნავს ჟიურის წევრი გურამ წიბახაშვილი - **"ქოლგა" ბევრად უფრო პროფესიული გახდა და ავტორებსაც მეტად ეტყობათ, რომ იციან, რასაც აკეთებენ."** მეორე მხრივ, ზოგიერთები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ეს უკვე ფოტომოყვარულთა კონკურსი აღარ არის და გულიც სწყდებოდათ, რომ კონკურსმა **"სამოყვარულო შარმი დაკარგა".**

პირადად მე პროფესიონალიზმში ცუდს ვერაფერს ვხედავ და თუ მონაწილეები წელს შარშანდელზე უკეთ აყალიბებენ საკუთარ კონცეფციებსა და ხედვას - ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ კონკურსმა ფოტოგრაფთა თაობა თუ არა, გარკვეული წრე მაინც გაზარდა. **"ეს ფოტო მაინცდამაინც არ მომწონს, სხვებს უკეთესად ვთვლიდი, -** აღნიშნავს საკუთარი ნამუშევრის შეფასებისას ერთ-ერთი მონაწილე არჩილ ქიქოძე, რომელიც კონკურსში გასულ წელსაც იღებდა მონაწილეობას - **თუმცა, თავიდანვე ვხვდებოდი, რომ სწორედ ეს მოეწონებოდათ. სხვა ფოტოები შეიძლება, უფრო ლამაზები და საინტერესოებიც იყო, თუმცა, როგორც ჩანს, აქ გარკვეულ კონცეფციასაც აფასებენ."**

"ქოლგა 2004"-ის 100 საუკეთესო ნამუშევარს შორის მოხვედრა უკვე დიდი საქმეა. გამარჯვებულები რამდენიმე ნომინაციაში დასახელდებიან. მათ შორის: არქიტექტურული პეიზაჟის, პეიზაჟის, პორტრეტის, დოკუმენტური სერიის და თავისუფალი თემის ნომინაციით. გამარჯვებული ნამუშევრები კატალოგში შევა და ელექტრონული ფორმატითაც გამოიცემა. 15 დეკემბრამდე ნამუშევრები ფოტოკონკურსის ვებ-საიტზეც არის გამოფენილი და მათ შორის სუკეთესოს არჩევა ნებისმიერ მსურველს შეუძლია მისამართზე www.kolga.ge. ფოტო, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს ავტომატურად დამთვალიერებელთა სიმპათიის პრიზით დაჯილდოვდება. როგორც გაირკვა, ჟიურის წევრებმა გამარჯვებულები უკვე გამოავლინეს, თუმცა შედეგები ჯერ კიდევ არ დაუჯამებიათ და 18 დეკემბრამდე მას საიდუმლოდ შეინახავენ.

მოკლედ

საქართველო და ეგვიპტე კულტურის სფეროში ითანამშრომლებენ

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტის დირექტორი კახა ტრაპაიძე, მისი მოადგილე პაატა გაფრინდაშვილი და მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი თემურ ბიბილური ეგვიპტის სიძველეთა დაცვის უმაღლესი საბჭოს მიწვევით ქაიროში იმყოფებოდნენ.

როგორც კახა ტრაპაიძემ განაცხადა, ორმხრივ შეხვედრაზე ეგვიპტესა და საქართველოს შორის გაფორმდა სამუშაო პროგრამის ოქმი, რომელიც ორივე ქვეყნის კულტურის მინისტრებთან შეთანხმდება. ამის შემდეგ ეგვიპტესა და საქართველოს შორის ხელი მოეწერება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

ვიზიტისას გაფორმდა აგრეთვე ქაიროს მუზეუმსა და მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის ხელმძღვანელებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, სამომავლოდ იგეგმება გაცვლითი გამოფენების მოწყობა.

2005 წლის გაზაფხულზე კი თბილისში ეგვიპტის სიძველეთა დაცვის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებს ელოდებიან.
მედია-ნიუსი

რუსთაველის ფრესკას იანვარში შეისწავლიან

10 იანვრისთვის იერუსალიმში ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის დაზიანებული ფრესკის შესასწავლად იუნესკოსა და ქართველი ექსპერტები გაემგზავრებიან.

მათ იერუსალიმის საპატრიარქოს წარმომადგენლებიც შეუერთდებიან.

ჯგუფი გამოიკვლევს, რა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები გახდება საჭირო რუსთაველის ფრესკის აღსადგენად. გამოკვლევის დასრულების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი ერთობლივად შეიმუშავებს სამომავლო გეგმას.
მედია-ნიუსი

კინო, როგორც ათლეტური სამუშაო

ვერნერ ჰერცოგი ხუთი დღით "გოეთეში"

ვერა ნეფარიძე

შეხედეთ ამ ფილმებს იუმორით და სულ სხვაგვარად აღიქვამთ ვერნერ ჰერცოგს, - ასეთი "რეცეპტი" შესთავაზა გოგი გვახარიამ "გოეთეს ინსტიტუტში" შეკრებილ კინოს მოყვარულებს. გუშინ იქ ცნობილი გერმანელი რეჟისორის ფილმების ხუთდღიანი ჩვენება დაიწყო. რეტროსპექტივას თან ახლავს ფოტოექსპოზიცია, რომელიც დიდი რეჟისორის ფიზიკურ შრომას ასახავს. ჰერცოგისთვის ხომ კინორეჟისორობა "ათლეტური სამუშაო" იყო.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ჰერცოგს რომ გუშინ დარბაზში შემოეხედა, ბედნიერი იქნებოდა, ოპონენტები კი (არადა, ძალიან ბევრნი იყვნენ), ვინც მიიჩნევდა, რომ გერმანელი რეჟისორის ფილმები მხოლოდ 20 კაცისთვის იყო გასაგები - იმედგაცრუებულები. თბილისის "გოეთეს ინსტიტუტის" დარბაზში ოცზე ბევრად მეტი მაყურებელი მივიდა და, იმედია, დარჩენილი ოთხი დღის განმავლობაში კიდევ უფრო მეტი მივა. ვერნერ ჰერცოგის ფილმების ნახვის შესაძლებლობა ხომ არც ისე ხშირად ეძლევათ კარგი კინოს დამფასებლებს.

რეტროსპექტივა არც რაიმე განსაკუთრებულ თარიღს, არც მოვლენას არ უკავშირდება. უბრალოდ, "გოეთეს ინსტიტუტის" თბილისის ფილიალს სათავო ოფისი საქართველოში ბეატ პრესნერის ფოტოგამოფენას სთავაზობდა (ეს ფოტოგრაფი იმითაც არის ცნობილი, რომ სამი ფილმის გადაღებისას თან ახლდა ვერნერ ჰერცოგს). თბილისში გადაწყვიტეს, ფოტოექსპოზიცია ფილმების ჩვენებით გაეცოცხლებინათ და არც შემცდარან. ორგანიზატორებმა ამ გადაწყვეტილებით ბევრი კინოს მოყვარულის გული მოიგეს.

"მე მუდმივად ვეძებ სურათების საკუთარ ენასა და სტრუქტურას; სურათებს, რომლებიც ჩვენს დროს მიესადაგება და რომელიც ჯერ არავის უნახავს", - ამბობდა ვერნერ ჰერცოგი, რომელიც ცდილობდა, მის ნამუშევრებს, რაც შეიძლება, მეტი დამაჯერებლობა ჰქონოდა. მის ფილმებში ყოველთვის არის რეალურად განცდილი, რასაც მაყურებელი ტკივილის შეგრძნებამდე მიჰყავს. თავად რეჟისორი კი საკუთარ საქმიანობას კინოში "ათლეტურ სამუშაოს" უწოდებდა. ფიზიკურ შრომასთან ამგვარი სიახლოვე ჰერცოგს ახალგაზრდობიდან დაჰყვა. ის ხომ სიღარიბის დასაძლევად ღამ-ღამობით შემდულებლად მუშაობდა.

ვერნერ ჰერცოგი მიუნხენში დაიბადა (1942 წელს); გაიზარდა ბავარიის ერთ-ერთ სოფელში, თუმცა, მალე მიუნხენში დაბრუნდა დედასთან ერთად. კინო ბავშვობაშივე შეიყვარა. როგორც მოგვიანებით გამოტყდა, პირველი ფილმი მოპარული კამერით გადაიღო 1962 წელს, როდესაც მიუნხენის უნივერსიტეტში სწავლობდა. "ჰერაკლეს" მოჰყვა ორი ნამუშევარი. სწავლა გააგრძელა შეერთებულ შტატებში, სადაც ფილმებს "ნასასთვისაც" ქმნიდა. გერმანიაში დაბრუნებულმა გადაიღო რიგით მეოთხე მოკლემეტრაჟიანი ფილმი "უკანასკნელი სიტყვები"; ფილმმა ობერჰაუზენის ფესტივალზე გაიმარჯვა. ჰერცოგის პირველი მხატვრული ფილმი 1968 წელს შეიქმნა საბერძნეთში.

ჰერცოგი მაქსიმალურად აკონტროლებს საკუთარ ნამუშევრებს. თავად წერს სცენარს და პროდიუსერობს კიდეც. მისი ფილმები მაქსიმალურად პირადულია და უკომპრომისო. მართალია, რეჟისორმა ერთხელ თქვა კიდეც, რომ კინო უფრო გაუნათლებელთა ხელოვნებაა, ვიდრე განათლებულთა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჰერცოგის ფილმები მაინც მასის ყურადღების მიღმა რჩება. ამას არც ის შველის, რომ მზადაა, "მნიშვნელოვან შეკითხვებს ამომწურავი პასუხი" გასცეს. რეჟისორს ყოველთვის მძაფრად აკრიტიკებდნენ. თუმცა, რასაკვირველია, ჰყავს უამრავი დამფასებელიც. გამორჩეული სიმძაფრის გამო ჰერცოგს დიდ რეჟისორთა მიმდევრადაც აღიარებენ.

"ფილმი ფიზიკური უნდა იყოს", - რეჟისორის ცნობილი ფრაზა გოეთეს ინსტიტუტში მოწყობილი გამოფენისა და რეტროსპექტივის სახელწოდებაა. ბიტ პრესერი კი თავის ფოტოებში წარმოგვიდგენს ჰერცოგს, როგორც თავისივე ფილმების დაუღალავ ძრავას, ხან მორბენალს, ხანაც დირიჟორსა და ვნებებით სავსე რეჟისორს. აღსანიშნავია, რომ ექსპოზიციაში სხვა ფოტოხელოვანების ნამუშევრებიცაა წარმოდგენილი. რაც შეეხება ფილმებს, "გოეთეში" დარჩენილი ოთხი დღის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება როგორც შავ-თეთრი, ისე ფერადი ნამუშევრები: "ჯუჯებმაც მცირედიდან დაიწყეს", "კასპარ ჰაუზენი", "ნოსფერატუ", "ფიცგარალდო" და "კობრა ვერდე". ფილმები ნაჩვენები იქნება გერმანულ ენაზე, ქართული სუბტიტრებით. დასწრება კი, ტრადიციულად, თავისუფალია.

ემირ კუსტურიცა მოსკოვში ჩადის

ცნობილი მუსიკოსი და კინორეჟისორი ემირ კუსტურიცა და მისი მხიარული ბალკანური ანსამბლი No Smoking Orchestra კვლავ მოსკოვის ყურებზე დაყენებას აპირებენ. ამ კოლექტივის კონცერტი რუსეთის დედაქალაქში 17 დეკემბრისთვისაა დანიშნული. კუსტურიცა და მისი ჯგუფი მაყურებელს ახალ ალბომს წარმოუდგენენ. ეს არის საუნტრეკი რეჟისორის ბოლო კინემატოგრაფული შედევრისა "ცხოვრება, როგორც სასწაული".

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ემირ კუსტურიცა - ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კინორეჟისორია. რეჟისორის სადებიუტო ფილმის შემდეგ "შენ გახსოვს დოლი ბელი?", კუსტურიცამ თანდათან შექმნა მთელი რიგი საკმაოდ წარმატებული და პოპულარული სურათებისა, რომელებიც შემდგომ ამა თუ იმ მსხვილ საერთაშორისო ფესტივალებზე დაჯილდოვნენ. ამას გარდა დოკუმენტური ფილმისთვის Super 8 Stories, რომელიც No Smoking Orchestra გასტროლების დროს სახალისო თავგადასავლებს ჰყვება, ჩიკაგოს საერთაშორისო ფესტივალის პრიზიორი გახდა.

"ცხოვრება როგორც სასწაული" - ეს უკვე მეორე ფილმია, რომელისთვისაც მუსიკა კუსტურიცამ ჯგუფ No Smoking Orchestra ხელმძღვანელთან ნელე კარაჟლიჩემთან ერთად შექმნა. მანამდე ისინი ერთად მუშაობდნენ კინოშედევრზე "შავი კატა, თეთრი კატა". კითხვაზე რა არის კუსტურიცასთვის მთავარი - კინო თუ მუსიკა, ცნობილი კინორეჟისორი პასუხად დიდი ხნის მზა ფრაზას იძლევა: "ყველაფერი შეიძლება, მაგრამ მუსიკა ჩემთვის გაცილებით ადვილია, რადგანაც არსებობს ურთიერთკავშირი ჩვენსა და მაყურებელს შორის. მაგრამ სიმღერა - ასევე სამწუთიანი ფილმია".

ითვლება, რომ No Smoking Orchestra შემოქმედება - ეს თურქული მარშის, ციგანკური მოტივების, სამხრეთამერიკის საუნდის, ქანთრის რიტმების, ტექნო-პოპის, დასავლეთი რემინისცენციების, აკორდეონების, ნაციონალური გიტარების საფირმო ნაზავია, რაც მხოლოდ იმის ნიშანია, რომ ჯგუფს არანაირი სტილური კატეგორიზაცია არ გააჩნია. თავად რეჟისორი მუსიკის შესახებ ამბობს: "ჩვენი მუსიკა მსოფლიოს დაპყრობისაკენ სრაფვამ და სურვილმა დაბადა. ჩვენ მოვიტანეთ სცენაზე რაციონალიზმი და ემოცია - ორი უმთავრესი კომპონენტი, რომელთა გარეშე ხელოვნება არ არსებობს".

მოსკოვში ემირ კუსტურიცა და No Smoking Orchestra თავიანთი ახალი მუსიკის, ძველი ჰიტების, პოზიტიური ენერგიის, უნიკალური აურისა და ბალკანური თავისუფლების სულიერი ჭეშმარიტების გასაზიარებლად ჩადიან. კუსტურიცას თქმით ხომ "ცხოვრება - ეს სასწაულია, და უფრო მეტიც".

ჰიპნოზიორი ბერლუსკონი

იტალიაში პრემიერ-მინისტრის წიგნის "იტალიური ისტორიის" ეკრანიზაცია გადაწყვიტეს. კინემატოგრაფისტების თქმით ბერლუსკონეს ავტობიოგრაფია - ეს არის მზა სცენარი. თავად კი ნამდვილი მსახიობი, პროდიუსერი და ჰიპნოზიორია.

წიგნი სამი წლის წინათ დაიწერა საარჩევნო კამპანიის პერიოდში და მართლაც დააჰიპნოზა ამომრჩეველი. იტალიის არჩევნების ისტორიაში ბერლუსკონიმ, ხმების რეკორდული რაოდენობა დააგროვა. ხუთშაბათს იტალიის პრემიერს კორუპციის ბრალდება მოუხსნეს. სასამართლოს მტკიცებულებები ჰქონდა, მაგრამ მას ვადა გაუვიდა. ახლა ბერლუსკონიმ კვლავ გაიხსენა "იტალიური ისტორია" - მისი ნაცადი ხერხი იმიჯის გასაუმჯობესებლად.

დათო ტურაშვილის სვეტი

ყოველ სამშაბათს

SMS
რამდენიმე მოკლე ტექსტური შეტყობინება
(მათთვის, ვინც ტელეფონის ზარებს აღარ პასუხობს)

877919909

რაც ყველაზე მეტად აკლია და სჭირდება ახალ ხელისუფლებას, ახალი კრიტიკაა. რასაკვირველია, არსებობს კრიტიკა, მაგრამ ის ძველია, რადგან თავად ოპოზიციაა ძველი და გასაგები მიზეზების გამო, ისინი ერთმანეთს ვერ ავსებენ - ახალი ხელისუფლება ძველ ოპოზიციას ვერ მოუსმენს და არც მოუსმენს. არადა, ნებისმიერ, მით უმეტეს, დღევანდელ ხელისუფლებას, ყველაზე მეტად კრიტიკული აზრის მოსმენა სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუნდაც ძალიან გონიერ ადამიანებს, ხელისუფლებაში ყოფნის დროს, აუცილებლად უჩლუნგდებათ იმ ქვეყნის პრობლემების მიმართ ადეკვატური დამოკიდებულების უნარი, რომელსაც მართავენ. რა თქმა უნდა, თუ კრიტიკოსები მხოლოდ ის სკამმოცარული "პოლიტიკოსები" იქნებიან, ვინც რევოლუციების დროს ძველს ემხრობა და არა ახალს, ხელისუფლების მხარესაა და არა ხალხის, მათ ყოველთვის შეახსენებენ წარსულს და მათ, უბრალოდ, არ მოუსმენენ. არადა, არაფერი ისე არ აკლია და, რაც მთავარია, ისე არ სჭირდება ახალი საქართველოს შექმნას, როგორც ახალი კრიტიკა...

877919909

ლონდონში სწავლის დროს სპეციალურად წავედი დაუნინგ-სტრიტზე იმ სახლის სანახავად, სადაც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაა, რადგან, რაც ტელევიზორში მანამდეც (არაერთხელ) მქონდა ნანახი, მაინც დაუჯერებლად მეჩვენებოდა. მაშინ კი, საკუთარი თვალით ვიხილე ინგლისური დემოკრატიისა თუ ძალაუფლების უჩვეულო თავმდაბლობის ნიმუში - რეზიდენციის შესასვლელთან დგას ერთადერთი პოლიციელი და იქვე (ტროტუარზე), ჩვეულებრივად მოძრაობენ ადამიანები, რომელთაც მაშინაც არ აფერხებენ, როცა სახლის წინ მანქანა ჩერდება და იქიდან რომელიმე ქვეყნის კანცლერი ან პრეზიდენტი გადმოდის. მეტიც, ზოგჯერ სახლის კარს თვითონ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი აღებს და კაი იმერელივით ეპატიჟება შინ გაკვირვებულ სტუმრებს. ხალხი კი იქვე, ორ ნაბიჯში თავისუფლად მიდი-მოდის და არავინ (მისი დაცვიდან) იმაზე არ ფიქრობს, რომ ამ დროს ვინმე შეაწუხონ. არადა, სწორედ ინგლისური დაცვის სამსახური უძლიერესია მსოფლიოში და მათი მთავარი ღირსებაც სწორედ ეს პრინციპია - უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფა ოღონდ არა ხალხის შეზღუდვისა და შეურაცხყოფის ხარჯზე.

ჩვენთან კი ნებისმიერი მძღოლი თუ მგზავრი, ვისაც თუნდაც ოცი წუთით აჩერებენ (იმიტომ, რომ პრეზიდენტმა უნდა ჩამოიაროს), სწორედ შეურაცხყოფილად გრძნობს თავს და პრეზიდენტის ყოველი "პრაეზდი" რამდენიმე ათეული ადამიანით მაინც ზრდის პრეზიდენტის მოწინააღმდეგეთა რიცხვს. დეტალია, მაგრამ მაინც...

877919909

მირჩევნია ვცდებოდე, მაგრამ მაინც მაქვს ეჭვი, რომ შეიძლება მართალი ვარ - ჩვენი ქვეყნისთვის, წარმატების მიღწევა ეკონომიკური თვალსაზრისით, ინვესტიციების გარეშე შეუძლებელია და ინვესტირებას კი შესაბამისი გარემო და სივრცე სჭირდება. ამიტომაც მაინტერესებს თუ რამდენად ვქმნით შესაბამის პირობებს მათთვის, ვინც ქართული ეკონომიკის განვითარებაში ფული უნდა დააბანდოს, თუ საქართველოში ყველას დაიჭერენ, ვისაც ფული აქვს. დასაწყისში, როცა ყოფილი ხელისუფლების კორუმპირებული, სამარცხვინოდ გამდიდრებული ჩინოვნიკები დააპატიმრეს, ჩვენი საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი, საკმაოდ მოწონებით შეხვდა ამ ტენდენციას. მაგრამ ის ჩინოვნიკები, ვისი მოპარული მოლიონების დაბრუნებაც შვებას მოჰგვრიდა ჩვენს თოთო ბიუჯეტს, ცოტანი აღმოჩნდნენ. ამოტომაც ტენდენციამ სხვა მიმართულება მიიღო და ფული იმათაც გადაახდევინეს, ვინც მილიონებს არ შეთამაშებია, მაგრამ რაღაც კაპიტალს კი აგროვებდა თავისი, არც თუ ძალიან გამჭვირვალე ბიზნესით. თუმცა, როგორ ექნებოდა ვინმეს სუფთა ბიზნესი (იშვიათი გამონაკლისების გარდა) იქ, სადაც ბიუჯეტის შევსება ყველაზე ნაკლებად ხელისუფლებას სურდა. მაგრამ მთავარი მაინც უცხოელების შეშინებაა ჩვენი არამიმზიდველი პოლიტიკით, თორემ ქართველი მეწარმე და ბიზნესმენი ისედაც შეშინებულია. ჩვენს შეშინებას რა ხანია, აზრი აღარ აქვს და სხვებს ნუ შევაშინებთ...

877919909

ჩემგან არ გესწავლებათ, რომ სასამართლო სისტემის რეფორმის გარეშე წარმატებაზე საუბარიც კი, უბრალოდ, ზედმეტია და ამიტომაც, მხოლოდ შეგახსენებთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, ისევ ძველ, აუხდენელ ოცნებად დაგვრჩება. სამწუხაროა, რომ არათუ სასამართლო რეფორმას, თვითონ სასამართლოს არსებობასაც სერიოზული საშიშროება დაემუქრა და თუ ჩვენ გვსურს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, დარწმუნებით უნდა ვიცოდეთ, რომ სახელმწიფოში უმთავრესი სასამართლოს დამოუკიდებლობაა.

ნებისმიერი ხელისუფლებისთვის კი, ძალიან ძნელია, გაუძლოს ცდუნებას და სასამართლოს ფუნქციებში არ ჩაერიოს, მაგრამ, თუ ხელისუფლებას სურს, რომ იყოს ძლიერი, მან ეს უნდა შეძლოს, რადგან თუ სასამართლო დამოუკიდებელი არ არის, მაშინ ის საერთოდ არ არსებობს. სასამართლოს ფუნქციის აღსრულებას კი მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ მას ხელისუფლება არ კარნახობს დამნაშავეთა სიებს. და თუ კარნახობს, მაშინ ნებისმიერი ტიპის დამნაშავე პოლიტპატიმარი ხდება იმ შმთხვევაშიც კი, თუ მას პოლიტიკურ კარიერაზე არც უფიქრია.

თუ არ ვიფიქრეთ იმაზე, რომ საქართველოში, აზდაკის გარდა, სხვა მოსამართლეც უნდა უყვარდეთ, ვერასდროს შევქმნით სამართლებრივ სახელმწიფოს...

877919909

მას შემდეგ, რაც საშუალო სკოლა დავამთავრე (წლებს არ ვითვლი, მაგრამ დიდი დრო კი გავიდა), ჩემი ცხოვრება ჩვენს უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული, მაგრამ, რაც ორი დღის წინ იქ ითქვა, ასეთი რამ, ამდენი წლის მანძილზე, არასოდეს მსმენია. მეტიც, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ სტუდენტი (რომელმაც ყველაზე უკეთ უნდა იცოდეს, რა ხდება სამყაროში) ასეთი დეზორიენტირებული იქნებოდა ქალიშვილობის (ეგრეთ წოდებულ) ინსტიტუტთან დაკავშირებით. იმ სტუდენტ გოგონას (რომლის ეს უცნაური ფრაზაც ყველა ქართულმა ტელეარხმა გადასცა) გულწრფელად სჯერა, რომ ამერიკა არის სექსუალური აღვირახსნილობის ეპიცენტრი. სამწუხაროა, რომ მას ასეთი არასწორი წარმოდგენა აქვს ამერიკული საზოგადოების ცხოვრების წესზე, რადგან ამერიკა იმდენად პურიტანული ქვეყანაა, სოფელ-სოფელ რომ მოიარო ყველა შტატი, მაინც ვერავის მოტყნავ, თუ არ შეგამჩნიეს, რომ ცოლის მოყვანის სერიოზული განზრახვა გაქვს. სინამდვილეში კი პირიქითაა - ერთადერთი ქვეყანა, სადაც ნებისმიერი ქალი სიხარულით გახდება შენი სექსუალური პარტნიორი, რუსეთია და სწორედ რუსეთია ის ქვეყანა, სადაც ქალიშვილები, უბრალოდ, არ არსებობენ. ამიტომაც, თუ ვინმეს თავისი ქალიშვილობის გაფრთხილება სურს და ამას პოლიტიკურ ორიენტაციებს უკავშირებს, ანტირუსული განწყობილებები უნდა ჰქონდეს და არა ანტიამერიკული. ლოგიკა ესაა. თუმცა, მთავარი ლოგიკა ორიენტირთან დაკავშირებით, საქართველოსთვის ევროპაა და არა რუსეთი ან ამერიკა და სწორედ იქ უნდა დავბრუნდეთ, საიდანაც (ოდესღაც) წამოვედით. ამ არჩევანს რომ არასწორი, ცუდი რეკლამა აქვს, იმ სტუდენტი გოგონას იმ უცნაურმა ფრაზამაც დაადასტურა. PR კი, პრეზიდენტზე უკეთ, აბა, ვის ეხერხება...

გაგრძელება იქნება

ფეხბურთი

უეინ რუნი საუკეთესოა

ნინო ფიკარაძე

იტალიურმა ჟურნალმა Tuttosport-მა ინგლისური ეროვნული ნაკრებისა და ეროვნული კლუბის "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი უეინ რუნი 2004 წლის ევროპის 21 წლამდე ასაკის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. ამ სახელისთვის ბრძოლაში, რომელშიც ოცდაათზე მეტი სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას, რუნიმ ქრიშტიანუ რონალდო ("მანჩესტერ იუნაიტედი"), არიენ რობენი (ლონდონის "ჩელსი"), ფერნანდო ტორესი (მადრიდის "ატლეტიკო") და ობაფემი მარტინსი (მილანის "ინტერი") დაჩრდილა.

ინგლისის ნაკრების ფორვარდის უეინ რუნის სახელი რამდენიმე წლის წინათ გაიგო მსოფლიომ. დღემდე ის საუკეთესო ფეხბურთელთა რიგებში მოიაზრება. ბუნებრივია, "ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის" ტიტული მის რეპუტაციასა და იმიჯს კიდევ უფრო გააძლიერებს და გაამყარებს.

"ამ ტიტულისთვის საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელები იბრძოდნენ. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ასეთი ადამინების გვერდით მოვხვდი. მით უმეტეს, მიხარია, რომ ასეთ ღირსეულ ტიტულს დავეუფლე," - განაცხადა გამარჯვებულმა ფეხბურთელმა.

პირველი გოლი რუნიმ, არც მეტი, არც ნაკლები, ლონდონის "არსენალის" მეკარეს დევიდ სიმენს გაუტანა. ეს იმ სეზონზე ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ გოლად ჩაითვალა.

დროთა განმავლობაში მის ტალანტს უფრო მეტი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა. შედეგმაც არ დააყოვნა - რუნიმ უკან ჩამოიტოვა პორტუგალიელი თანაგუნდელი ქრიშტიანუ რონალდო, ასევე ლონდონის "ჩელსისა" და ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი არიენ რობენი და ეს ბევრისთვის სანატრელი ტიტული ხელში ჩაიგდო.

დამეთანხმებით, ასეთი შედეგის მიღწევა არც ისე იოლია. ფეხბურთის სამყაროში გზის გასაკვლევად, ალბათ, ყველაზე მთავარი მაინც ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში დაწინაურებაა. უეინ რუნის დებიუტი ინგლისის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 2003 წლის თებერვალში შედგა, როცა ფორვარდი ავსტრალიის ნაკრებთან მატჩში მოედანზე შეცვლაზე გამოიყვანეს. იმავე წლის სექტემბერში მან მაკედონიელთა კარი აიღო და ინგლისის ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა ბომბარდირადაც მოინათლა (მაშინ ის 17 წლის და 317 დღის გახლდათ). ახლა კი 21 წლამდე ასაკის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიპოვა, რაშიც მას მეტწილად გასულ ევროპის ჩემპიონატზე საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა დაეხმარა. ოთხ მატჩში ახალგაზრდა ინგლისელმა ფორვარდმა ოთხი ბურთი გაიტანა.

უეინ რუნი - ევროპის საუკეთესო, ახალგაზრდა ფეხბურთელი.

აქვე ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური შეხვედრა - სანამ რუნი მოედანზე თავის მოვალეობა ასრულებდა, ინგლისის ნაკრების უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ გაიყვანეს ფეხბურთელი მოედნიდან და ნაკრების თავდამსხმაში პრობლემებმა იჩინა თავი. შედეგად, ინგლისელებმა წინ წაწევა ვეღარ მოახერხეს და ჩემპიონატს გამოეთიშნენ.

სხვათა შორის, უეინ რუნიმ ანდრეი შევჩენკოს რამდენიმე საათით დაასწრო ჯილდოს მიღება. საქმე ის გახლავთ, რომ უკრაინელმა ფეხბურთელმა უეინ რუნის დაჯილდოების შემდეგ მიიღო ნანატრი "ოქროს ბურთი" ჟურნალ France Football-ისგან.

როგორც ხედავთ, უეინ რუნის ვარსკვლავმა ფეხბურთის ცაზე კიდევ ერთხელ გაიბრწყინა. ახლა მთავარია, ისეთივე შემართებით გააგრძელოს საკუთარ თავზე მუშაობა, როგორც აქამდე.

მაყურებელთა კერპი

გასაკვირი არ არის, რომ როცა 1990-იანი წლების დასაწყისში თურქული ფეხბურთი აღმავლობას განიცდიდა, თურქეთში ახალი ამომავალი ვარსკვლავი გამოჩნდა. ჰაკან შუქურმა სრულიად გაამართლა ახალგაზრდობაში მასზე გაცემული ავანსი. მან წარმატებას მიაღწია როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, რის გამოც სამშობლოში უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა და პოპულარობა მოიპოვა.

შუქურმა ეროვნულ ნაკრებში გამართულ 97 მატჩში 46 გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით დღემდე ლიდერია. ის აგრეთვე ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელია უეფას ეგიდით გამართულ მატჩებს შორის თავის ქვეყანაში. მან ევროტურნირებში საკლუბო დონეზე 33 გოლი გაიტანა. შუქურს ბევრი გოლი გაუტანია თურქეთის ჩემპიონატშიც. ის არის ავტორი ყველაზე სწარაფი გოლისა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური სტადიების ისტორიაში. მან 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილისთვის მატჩში მე-11 წამზე გოლი გაუტანა სამხრეთ კორეის ნაკრებს და თავის გუნდს გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა - 3:2, რითაც თურქეთის ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა.

ჰაკან შუქური დაიბადა 1971 წელს საქარიაში. საფეხბურთო კარიერა "საქარიასპორში" დაიწყო. მისი საკლუბო დებიუტი შედგა 1988 წელს. ორი წლის შემდეგ "ბურსასპორში" გადავიდა, ხოლო 1992 წლის მარტში შედგა შუქურის დებიუტი ეროვნულ ნაკრებში ლუქსემბურგის წინააღმდეგ. მომდევნო საერთაშორისო მატჩში ჰაკან შუქურმა დანიის ნაკრების კარში გოლი გაიტანა. თურქეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში შუქურმა ითამაშა ევრო 96-ზე, ევრო 2000-ზე და 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე.

191 სანტიმეტრი სიმაღლის ფეხბურთელი კარგად თამაშობდა თავით, მაგრამ მას ვერც სხვა საფეხბურთო კომპონენტებში დაუწუნებდით რამეს. შუქურს ევროპის წამყვანმა კლუბებმა მიაქციეს ყურადღება. 1992 წლის ზაფხულში სტამბულის "გალათასარაიმ" შუქურთან პროფესიული კონტრაქტი გააფორმა. "ვიდრე კონტრაქტს შემომთავაზებდა, "გალათასარაი" დიდხანს ფიქრობდა, - ამბობს ფორვარდი, - "ბურსასპორში" არცთუ ისე შთამბეჭდავად გამოვიყურებოდი. არადა, ეროვნულ ნაკრებში სწორედ ამ გუნდიდან გამომიძახეს. ბოლოს და ბოლოს, გადავედი "გალათასარაიში", რითაც არა მარტო გუნდმა, არამედ მთელმა თურქულმა ფეხბურთმა იხეირა".

სტამბულის გუნდში შუქურმა რვა წელი გაატარა (თუ არ ჩავთვლით 1994-1995 წლების სეზონს, როცა ფეხბურთელმა იტალიის "ტორინოს" შემადგენლობაში ითამაშა). საერთო ჯამში "გალათასარაის" შემადგენლობაში გამართულ 246 მატჩში შუქურმა, რომელიც სამჯერ იყო თურქეთის საუკეთესო ბომბარდირი, 173 გოლი გაიტანა.

ჰაკან შუქური უკანასკნელი 50 წლის თურქეთის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

იმ დროის განმავლობაში, როცა შუქური "გალათასარაის" შემადგენლობაში თამაშობდა, გუნდმა ექვსჯერ მოიგო ეროვნული ჩემპიონატი და ოთხჯერ დაეუფლა ქვეყნის თასს. 1999-2000 წლების სეზონში გუნდმა ზედიზედ მეორედ შეასრულა დუბლი (მოიგო ჩემპიონატიც და თასიც) და დაეუფლა უეფას თასს. "გალათასარაი" პირველი თურქული კლუბი გახდა, რომელმაც ევროპული თასი მოიგო.

2002 წელს შუქურმა, რომელსაც "ბოსფორელი ხარი" შეარქვეს, გადაწყვიტა, იტალიაში დაბრუნებულიყო და ჯერ მილანის "ინტერის" შემადგენლობაში მოსინჯა ძალები, ხოლო შემდეგ - "პარმაში". არც ერთი ეს გადასვლა ფორვარდის აქტივში არ შეიძლება ჩაითვალოს და 2003 წელს თურქი "ბლექბერნ როვერსში" გადავიდა. აქ მან 9 თამაშში 2 გოლი გაიტანა. შემდეგ შუქური "გალათასარაიში" დაბრუნდა და თურქეთის ჩემპიონატის 28 შეხვედრაში 12 გოლი გაიტანა.

"არასდროს მიმაჩნდა, რომ აუცილებლად ევროპაში უნდა წავსულიყავი და დიდ კლუბში მეთამაშა, - განაცხადა შუქურმა, - "გალათასარაიც" არ არის მაინცდამაინც პატარა გუნდი". უცხოეთში წარუმატებელი გამოსვლის მიუხედავად, ჰაკან შუქურმა თურქი გულშემატკივრების განსაკუთრებული ურთიერთობა დაიმსახურა. ის შესანიშნავად თამაშობდა ადგილობრივ კლუბებსა და ეროვნულ ნაკრებში. არასოდეს იშურებდა გადაცემებს, თუ პარტნიორი უკეთეს პოზიციაში იყო. მას აქვს უაღრესად საჭირო გოლების გატანის ნიჭი. მაგალითად, ბევრს დაამახსოვრდა მის მიერ ევრო 2000-ზე ბელგიის ნაკრების კარში გატანილი გოლი თავური დარტყმით.

კალათბურთი

სუპერ...

სანდრო ნავერიანი

რატომ დადის ხალხი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მატჩების საყურებლად? რა თქმა უნდა, აშშ ძალიან სპორტული ქვეყანაა და კალათბურთი ამერიკელი ხალხისთვის ერთ-ერთი უსაყვარლესი სახეობაა. მაგრამ ტრიბუნები ხომ იმ ხალხით არის შევსებული, რომლებიც არცთუ კარგად ერკვევიან კალათბურთში! და მაინც, რა იზიდავს ხალხს კალათბურთის საყურებლად? სანახაობრივი შოუ? განტვირთვა? რეკლამა? რა თქმა უნდა, ყველაფერი, ერთად აღებული. მაგრამ იმისთვის, რომ კალათბურთის საყურებლად წახვიდე, მთავარი მაინც სენსაციებია, რომელსაც მაყურებელი სიურპრიზის სახით იღებს. მაყურებელი კი სიურპრიზებს აღმერთებს.

შევჩერდეთ სენსაციებზე, რომლებიც 2004-2005 წლების სეზონში მეტისმეტად მომრავლდა, მაგრამ ყველა სენსაციაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ავირჩიოთ რამდენიმე, რომლებმაც არა მარტო ამერიკა, არამედ მთელი მსოფლიო გააოცა. ყველაზე სენსაციური იყო ხელჩართული ბრძოლა დეტროიტში "დეტროიტ პისტონზსა" და "ინდიანა პეისერზს" შორის. ამის შემდეგ მოდის "ჰიუსტონ როქეთსის" სუსტი სტარტი, გრანტ ჰილის ტრიუმფალური დაბრუნება და "ორლანდო მეჯიქის" არაჩვეულებრივი სტარტი. ეს ყველაფერი აშშ-ს რეიტინგით, მე კი ყველაზე სენსაციურად "სიეტლ სუპერსონიქსის" კარგი სტარტი მიმაჩნია.

"სიეტლ სუპერსონიქსის" მთავარი გმირი რეი ალენი თვლის, რომ მისი გუნდი ერთი ჩვეულებრივი კლუბია, რომელმაც კარგი სტარტი აიღო - ჩემპიონატის დასაწყისში რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო და თუ სეზონის ბოლომდე რეგულარულად ვერ მიაღწიეს წარმატებებს, მაშინ არ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ "სუპერსონიქსი" ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია. ხოლო თუ რეგულარულად მოვიპოვეთ გამარჯვებები, მაშინ სეზონის ბოლოს გვითხარით, რომ მაგრები ვართ, - განაცხადა რეი ალენმა. ასეთი თვითშეფასება სხვისთვის თვალის ასახვევად არის გამიზნული თუ რეი ალენი სიტუაციას რეალურად აფასებს, ამას დრო გვიჩვენებს. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ შარშანდელი სეზონი "სუპერსონიქსმა" ცუდი მაჩვენებლით დაასრულა (37 მოგება, 45 მარცხი), წლეულს კი ჩატარებული 21 მატჩიდან 17 მოიგო და 4 წააგო. ამის სენსაციად მონათვლა კი, დამეთანხმებით, აუცილებელია.

რეი ალენი - "სუპერსონიქსის" წარმატების მთავარი შემოქმედი.

გავაანალიზოთ, თუ რა გახდა "სიეტლ სუპერსონიქსის" კარგი სტარტის მიზეზი, რა არის იმის მიზეზი, რომ სიეტლელებმა სეზონის დასაწყისში 17 გამარჯვება მოიპოვეს, ერთ-ერთი უკანასკნელი გამარჯვება კი დასავლეთ კონფერენციის ყველაზე ძლიერ კლუბთან "სან-ანტონიო სფურზთან" მოიპოვეს. ვფიქრობ, მთავარი მიზეზი სწორედ რეი ალენის კარგი თამაშია. ყველა ვარსკვლავის მატჩების ოთხგზის მონაწილე რეი ალენი თავის კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს. ის საოცრად შედეგიანია. მატჩში, საშუალოდ, 24,1 ქულას აკეთებს. აღსანიშნავია ისიც, რომ წლევანდელ სეზონში რეი ალენის მიერ ნატყორცნი სამქულიანები სამჯერ უფრო ზუსტია გასულ სეზონთან შედარებით. თუ რეი ალენმა თავისი მაჩვენებელი არ გააუარესა, მაშინ "სიეტლ სუპერსონიქსის" პერსპექტივა საკმაოდ ღრმა არის და არაა გამორიცხული, რომ სიეტლური კლუბი პლეი-ოფის მეოთხედფინალში ან ნახევარფინალში ვიხილოთ (პლეი-ოფში გასვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია).

ბრწყინვალე სეზონს ატარებს რაშარდ ლუისი და დენი ფორტსონი, რომელიც "სუპერსონიქსში" ზაფხულში "დალას მავერიქსიდან" გადავიდა. ფორსტონი მოედანზე არცთუ დიდ დროს ატარებს, მაგრამ ის 18 წუთი, რომელიც მის განკარგულებაშია, საკმარისია იმისთვის, რომ 9,2 ქულა გააკეთოს. რაც მთავარია, "სუპერსონიქსის" მთავარი მწვრთნელი ნეიტ მაკმილანი სულ უფრო და უფრო ენდობა დალასიდან გადასულ კალათბურთელს და აცხადებს, რომ ფორსტონმა, როგორც იქნა, იპოვა თავისი გუნდი, გუნდთან ერთად კი - თავისი თავიც. რაც შეეხება რაშარდ ლუისს, ის ნელ-ნელა ემსგავსება იმ კალათბურთელს, რომელზეც შეგვეძლება ვთქვათ, სუპერკალათბურთელიაო. ის თანდათან უახლოვდება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფორვარდთა ელიტას.

"სიეტლ სუპერსონიქსის" გენერალურმა მენეჯერმა რიკ სანდმა განაცხადა, რომ უზომოდ კმაყოფილია თავისი გუნდის თამაშით. "სიტყვები არ მყოფნის. ვინმემ რომ მკითხოს, რას დაუწუნებდი "სუპერსონიქსსო", ვეტყოდი, რომ ეს გუნდი ერთადერთია, რომელიც ბრწყინვალე და, ამასთან, შედეგიან კალათბურთს თამაშობს. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ამ გუნდის წარმომადგენელი ვარ. უბრალოდ, ობიქტურად ვმსჯელობ და ვამბობ იმას, რაც რეალობაა". - განაცხადა რიკ სანდმა. მან ასევე დასძინა, რომ გუნდი მომავალი წლიდან უფრო გაახალგაზრდავდება და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გრანდებისთვის ანგარიშგასაწევი ძალა გახდება.

ასე რომ, მარტო "ორლანდო მეჯიქის" სუპერსტარტსა და "ჰიუსტონ როქეთსის" სუპერცუდ სტარტზე არ გვიწევს ლაპარაკი. როგორც ხედავთ, "ლეიკერსის", "პისტონზისა" და "თიმბერვულვზის" გარდა, არიან გუნდები, რომლებიც საბაბს გვაძლევენ, მათზეც ვისაუბროთ.

ᲙᲠᲘᲖᲘ

ლენოქსი დაბრუნდება?

ვიტალი კლიჩკოს შემხედვარე ლენოქს ლუისს რინგზე დაბრუნება მოუნდა.

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა ლენოქს ლუისმა განაცხადა, რომ ვიტალი კლიჩკოსთან შესახვედრად რინგზე დაბრუნება სურს. ლუისმა ისიც თქვა, რომ არ შეიძლება კლიჩკოს "დიდი მოკრივე" ეწოდოს.

კვირას ვიტალი კლიჩკომ WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაიცვა. მან ბრიტანელი დენი უილიამსი დაამარცხა - მერვე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა. ამ ბრძოლას სუპერმძიმეწონოსანთა მთელი ელიტა ადევნებდა თვალს. კერძოდ, დარბაზში შეამჩნიეს როი ჯონს-უმცროსი, ჰასიმ რახმანი. საღამოს არც ლენოქს ლუისის გარეშე ჩაუვლია, რომელსაც ბრძოლასთან განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა.

ვიტალი კლიჩკომდე სწორედ ლენოქს ლუისი ფლობდა ტიტულს. უკრაინელმა ეს წოდება მოიპოვა არა ბრძოლით, არამედ იმის წყალობით, რომ ლუისი პენსიაზე გავიდა. დენი უილიამსმა პირობა დადო, რომ ტიტულს დიდ ბრიტანეთში დააბრუნებდა და მას რომ ეს გაეკეთებინა, საფუძვლიანად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ის ლუისის მემკვიდრეა. თუმცა, უილიამსმა წააგო და ლუისმაც ასეთი მემკვიდრის არსებობაზე უარი განაცხადა. უილიამსი ხომ რვა რაუნდის განმავლობაში ოთხჯერ გაიშოტა იატაკზე და, საერთოდ, კლიჩკოსთან შედარებით საცემი ბავშვივით გამოიყურებოდა.

ბრძოლის წინ სწორედ ლუისი უწევდა უილიამსს კონსულტაციას, ჭკუას არიგებდა, თუ როგორ დაემარცხებინა უკრაინელი. წარმოშობით იამაიკელს ეს ნამდვილად არ ესწავლება.

თუ კრის ბერდმა კლიჩკო იმის გამო დაამარცხა, რომ უკრაინელს ტრავმა ჰქონდა, ლუისმა მას ტექნიკური ნოკაუტით სძლია. 2003 წლის 21 ივნისს რეფერი იძულებული იყო, ბრძოლა მეექვსე რაუნდში შეეჩერებინა, რადგან უკრაინელს წარბი ჰქონდა გახეთქილი. უკრაინელისთვის ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ბრძოლის შეჩერების მომენტში კლიჩკო ქულებით უგებდა მეტოქეს, თანაც, სამივე მსაჯის დავთარში ერთი და იგივე ანგარიშით - 58:56. მატჩ-რევანში არ შედგა. მიუხედავად იმისა, რომ კლიჩკოს გუნდი რევანშისთვის მზად იყო, ლუისმა გადაწყვიტა, არ გაერისკა და გამარჯვებული წავიდა კრივიდან.

თუმცა, უილიამსთან კლიჩკოს ბრძოლის შემხედვარემ განაცხადა, რომ ნანახმა მას რინგზე გასვლის სურვილი აღუძრა. კლიჩკო-უილიამსის მატჩამდე სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ უკრაინელს ამჯერად ყველაზე სერიოზულ მეტოქესთან მოუწევს ჩხუბი - იმ მოწინააღმდეგეთა შორის, რომლებიც მას ლენოქს ლუისის შემდეგ შეხვედრიან. ამასთან, მათი ვარაუდით, უილიამსი ყველაზე ღირსეული იყო ამჟამად არსებულ მოკრივეთა შორის. სინამდვილეში მაყურებელმა ცალკარა იხილა. დენი უილიამსი ცდილობდა, ფხა გამოეჩინა, მაგრამ ეს იშვიათად და ცუდად გამოსდიოდა. სწორედ ამას მიაქცია ყურადღება ლუისმა.

"კლიჩკო დენისთან შედარებით იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მას შეეძლო, დენისთვის სერიოზული ტრავმა მიეყენებინა ან სულაც მოეკლა. კლასში განსხვავებაც იმდენად თვალში საცემი იყო, რომ შეიძლებოდა ბრძოლა არც ჩაეტარებინათ..."

არადა, ამჟამად მოქმედ მოკრივეთაგან არ მოიძებნება ისეთი, ვინც უკრაინელს ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევს და მას დაამარცხებს. "როცა მე წავედი, მეორე ხარისხის მოკრივეები, მაგალითად, კრის ბერდი ან ჰასიმ რახმანი, უცბად პირველხარისხოვნები გახდნენ, - განმარტავს ლუისი, - ამ ორს კლიჩკოსთვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია. თუმცა, სინამდვილეში მის წინააღმდეგ ვიღაც მაღალი და ძლიერი უნდა დადგეს. არც კი ვიცი, ვინ შეიძლება ეს იყოს".

ამ თავმდაბლობის მიღმა პასუხი იმალება - კლიჩკოს წინააღმდეგ თავად ლუისმა უნდა იჩხუბოს. "მე სულ რაღაც ცხრა თვის წინათ 100 პროცენტით მზად ვიყავი. ხოლო იმან, რაც დენის დაემართა, რინგზე გასვლის სურვილი აღმიძრა. მე მინდოდა, მისთვის მხარზე ხელი დამერტყა და მეთქვა: მეგობარო, დაჯექი და მომეცი საშუალება, ეს ბრძოლა შენს ნაცვლად დავასრულო. მოდი, მე ვაჩვენებ, როგორ კეთდება ეს საქმე".

ერთ რამეში ლუისი მართალია. ვიტალის უფრო სჭირდება ბრიტანელი, ვიდრე ლუისს - კლიჩკო. ლუისი მსოფლიო ჩემპიონი მაშინ გახდა, როცა რინგზე ჰოლიფილდი და ტაისონი იყვნენ (აღარაფერს ვამბობთ სხვა ძლიერ კონკურენტებზე). უილიამსის ასეთი დამაჯერებელი დამარცხებაც კი ვერ მოაცილებს უფროს კლიჩკოს იმიჯს - "მეფე თანმხლებთა გარეშე".

შეიძლება იმის თქმა, თუ რა კარგად იყო მზად ამ ბრძოლისთვის დენი უილიამსი და როგორ აგემა ნოკაუტი ტაისონს. თუმცა, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ნოკაუტში მხოლოდ ტაისონის აჩრდილი აღმოჩნდა. თუ ამ მოსაზრებას ყურადღებას მივაქცევთ, მაშინ გაუგებარი რჩება, რომელ კატეგორიაში იქნებოდა უილიამსი, ტაისონი, ჰოლიფილდი და ლუისი საუკეთესო ფორმაში რომ ყოფილიყვნენ. ალბათ, C ან D კლასში.

ამის შესახებ ლუისი ვიტალი კლიჩკოზე ამბობს. "ძალიან ბევრი კითხვაა, რომელსაც პასუხი არა აქვს. სიმართლე რომ ითქვას, უილიამსის წინააღმდეგ გამართულმა ბრძოლამ ვერაფერი გვითხრა. ის მთელი კარიერის განმავლობაში ამარცხებდა მეტოქეებს, რომლებიც მასზე დაბალი კლასის იყვნენ. უილიამსთან მატჩშიც იგივე გამეორდა. დენიმ ნოკაუტი კი აგემა მაიკ ტაისონს, მაგრამ მას დიდი მებრძოლი არ დაუმარცხებია".

მოკლედ, უილიამსში ლუისი მოტყუვდა. მისმა ყველა დარიგებამ ფუჭად ჩაიარა. თუმცა, ბრიტანელი არც კლიჩკოთია აღფრთოვანებული. "დაუკვირდით იმას, რასაც კლიჩკო უჩვენებს და საკუთარ თავს ჰკითხეთ, ძლიერია თუ არა ის. პასუხი უარყოფითია: არა. ის შიშს გგვრით? არა!" მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, თუ როდის დაბრუნდება ლენოქსი. თუმცა, თუ მის ხასიათს გავითვალისწინებთ, ამის დაჯერება ძნელია.

კლიჩკოს ნაკვალევზე



კონსტანტინ ცზიუ 15-გზის მსოფლიო ჩემპიონს შეებრძოლება.

კონსტანტინ ცზიუმ ღირსეული მეტოქისგან მიიღო გამოწვევა. ბრიტანელმა რიკი ჰატონმა (მეტსახელად "ჰიტმანი") განაცხადა, რომ სურს შეხვდეს პირველ ქვესაშუალო წონაში ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს. ბრძოლა შეიძლება უკვე 2005 წლის აპრილში გაიმართოს.

ნოემბრის დასაწყისში კოსტია ცზიუმ წარმატებით დაიცვა თავისი ტიტული შარმბა მიჩელთან შეხვედრაში. ამ ბრძოლის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ცზიუს სურს კორი სპინქსთან ჩხუბი. თუმცა, ჯერჯერობით მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. დღეს მიჩნეულია, რომ ამის მიზეზი სპინქსის პრომოუტერი დონ კინგია, რომელიც ხმას არ იღებს. საქმე ის არის, რომ კინგს, როგორც ჩანს, ფინანსური თვალსაზრისით უფრო სარფიანი ვარიანტი აქვს. ამას გარდა, სპინქსის გუნდს არ სურდა მოსკოვში ჩასვლა, რასაც ცზიუს გუნდი დაჟინებით ითხოვდა.

ამასობაში სპინქსი მხოლოდ ერთი პოტენციური მეტოქე იყო ცზიუსთვის. მიჩელის დამარცხების შემდეგ ცზიუმ განაცხადა, რომ მას მომდევნო ბრძოლისთვის კიდევ რამდენიმე ვარიანტი აქვს. საუბარი იყო მის წონაში ყველაზე ძლიერ მოკრივეებზე - არტურო გატისა და ფლოიდ მეივეზერზე. ამას გარდა, სპინქსის დამარცხების შემთხვევაში ცზიუს საშუალება ექნებოდა, ბრძოლა გაემართა მსოფლიო მასშტაბის კიდევ ერთ ვარსკვლავთან - ოსკარ დე ლა ჰოიასთან.

ამასთან, ცზიუს მწვრთნელი ჯონი ლუისი აცხადებდა, რომ მიჩელთან ჩხუბის შემდეგ მის შეგირდს ურჩევდა, დაესრულებინა მოკრივის კარიერა. ამის მიზეზი ის ტრავმები იყო, რომელმაც ცზიუს მოსკოვში დაგეგმილი ჩხუბი გადაადებინა. თუმცა, როგორც ჩანს, თვითონ მოკრივე კარიერის დამთავრებას არ აპირებს. თანაც, მორიგი ძლიერი მეტოქეც გამოუჩნდა.

საუბარია რიკი ჰატონზე, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული წარმატებით დაიცვა WBU-ს ვერსიაში. ჰატონის მეტოქე საკმაოდ ცნობილი ამერიკელი მოკრივე რეი ოლივეირა იყო. ბრიტანელმა მეათე რაუნდში ნოკაუტით გაიმარჯვა. ნოკდაუნში კი ოლივეირა პირველივე რაუნდში ჩავარდა. ამრიგად, რიკიმ უკვე მეთხუთმეტედ დაიცვა ტიტული. ხოლო მისი მაჩვენებელი ასეთია: 38 გამარჯვება და არც ერთი მარცხი.

რა თქმა უნდა, ჰატონი არც გატია, არც მეივეზერი და არც სპინქსი, მაგრამ ყველა რეიტინგის მიხედვით მას საკმაოდ მაღალი ადგილი უკავია. კრივის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით კი ჰატონი სულაც პირველია. ასეთი სოლიდური მიღწევის მიუხედავად, ჰატონი საკმაოდ ახალგაზრდაა. ის 26 წლის არის. ცზიუსთან ბრძოლა მისთვის შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

ბრიტანელი მიიჩნევს, რომ ახლა, როცა მან ოლივეირა დაამარცხა, ცზიუ უნდა დაფიქრდეს თავის მომავალზე. "ამ ბრძოლამდეც დარწმუნებული ვიყავი, რომ ცზიუს დამარცხება შემიძლია, - განაცხადა ჰატონმა, - თუმცა, საკუთარი თავი სხვა კუთხით წარმოვაჩინე. მე გამოვავლინე ჩემი, როგორც მოკრივის შესაძლებლობები".

ჰატონი ორი წლის განმავლობაში ცდილობდა, ცზიუ შეხვედრაზე დაეთანხმებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, გარკვეულ პროგრესს მისმა მენეჯერებმა მხოლოდ ახლა მიაღწიეს. ბრიტანული "სანი" აღნიშნავს, რომ ორივე მოკრივის წარმომადგენლები დაესწრნენ ლას-ვეგასში ვიტალი კლიჩკოსა და დენი უილიამსის ბრძოლას. სავარაუდოა, რომ მოლაპარაკებებიც იქვე გამართეს.

ბრიტანული ტაბლოიდის განმარტებით, ბრძოლა, სავარაუდოდ, აპრილში, ბრიტანეთში გაიმართება. ამის თაობაზე სიტყვიერი შეთანხმება უკვე მიღწეულია.

თუმცა, ჯერჯერობით ამ მატჩის გამართვის ადგილისა და დროის შესახებ დადასტურებული ინფორმაცია არ არსებობს.

ჰატონის მენეჯერმა ფრენკ უორენმა განაცხადა: "ჩვენ რამდენიმე ვარიანტი შემოგვთავაზეს და მოგვიწევს, ერთ-ერთი ამოვირჩიოთ". მისი თქმით, ბრიტანელი მოკრივის გუნდს სურდა, ბრძოლა მანჩესტერის ერთ-ერთ საფეხბურთო მინდორზე გამართულიყო, მაგალითად, იქ, სადაც "მანჩესტერ სიტი" თამაშობს. "მაგრამ ჩხუბი გახურებულ საფეხბურთო სეზონს დაემთხვევა და ამიტომ სტადიონის დაქირავებას ვერ მოვახერხებთ", - დაასკვნა ფრენკ უორენმა.

ᲥᲘᲓᲐᲝᲑᲐ

ნოზაძემ უკრაინელებს ნავსი გაატეხინა

ქართველი ბერძენ-რომაელი რამაზ ნოზაძე ჭიდაობის სამყაროს ათენის ოლიმპიურ ხალიჩაზე არ გაუცვნია. მანამდე ევროპის ჩემპიონატზე გაისმა ქართველი ფალავნის სახელი, როდესაც ახალგაზრდული ნაკრების წევრმა დიდების ევროპის ჩემპიონატზე 2003 წლის გაზაფხულზე პირველობა არავის დაუთმო. იმავე წლის ზაფხულში ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. შემოდგომაზე ნოზაძეს კვალავაც უხმეს დიდების ნაკრებში, ამჯერად - მსოფლიო ჩემპიონატისთვის. ნაკრების მწვრთნელები არ შემცდარან. ბევრად გამოცდილ და განაფულ მეტოქეებს ნოზაძემ ბრინჯაოს მედალი გამოსტყუა.

ერთი სიტყვით, ნოზაძისთვის 2003 წელი, მართლაც, სანიმუშო გამოდგა. აქედან გამომდინარე, რა გასაკვირი იყო, რომ ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის ქართველი ფალავანი 96 კილოგრამ წონითი კატეგორიის ლიდერად მოგვვლინებოდა.

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველმა ფალავანმა ფინალამდე გზა იოლად გაიკვლია. ვერც იმას დასწამებდა ვინმე, კენჭისყრით გაუმართლაო - მისი ყველა მეტოქე ტუტულოვანი გახლდათ. რუსეთის სახელით მოასპარეზე მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონის გიორგი კოღუაშვილის მაგალითიც კმარა. ფინალი კი აშკარად წააგო.

ოლიმპიური ვერცხლი წლეულს ნოზაძის ერთადერთი მონაგარი როდია. მართალია, რანგით სხვა დანარჩენებს ბევრად აღემატება, მაგრამ ამაზე არ გაჩერებულა და თბილისში მოგებულ მსოფლიო თასში საკუთარი წვლილიც შეიტანა. რამდენიმე დღის წინათ ნოზაძეს უკრაინაში, მარიუპოლში უხმეს. ეს ქალაქი ევროპის საკლუბო თასთა თასს მასპინძლობდა. ტურნირში ოთხი კლუბი გამოდიოდა: ორი რუსეთიდან, ერთი საბერძნეთიდან და ერთიც მასპინძლების - "აზოვ-მაშის" კლუბი. ნოზაძეს სწორედ ამ უკანასკნელის ღირსების დასაცავად უხმეს. უკრაინული კლუბი ცხრა წლის მანძილზე უშედეგოდ ცდილობდა ევროპის თასთა თასის დაუფლებას. ახლა კი ნოზაძემ უკრაინელებს ნავსი გაატეხინა.

მან ორი ორთაბრძოლა ჩაატარა: ბერძენ ოლიმპიელთან და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ რუს ბეზრუჩკინთან. პირველი ისე მოიგო, რომ ბერძენ მეტოქეს ქულაც არ დაანება - 10:0. ქულა არც ტიტულოვანი რუსი ფალავნისთვის დაუნებებია, თუმცა, ამ შემთხვევაში 3:0 იკმარა.

წლევანდელი მონაგარი ქართველმა ფალავანმა სეზონის მიწურულსაც გაამდიდრა.

ᲠᲐᲒᲑᲘ

ძველი ახალი სახელით

ᲰᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲐᲫᲔ

რუსულმა საინფორმაციო სააგენტოებმა ისეთი ამბავი ატეხეს, მორაგბეთა ნაკრებს საფრანგეთიდან ჩამოსული სპეციალისტი გაწვრთნისო, იფიქრებდი, ვინმე ფრანგი მოიწვიეს მწვრთნელადო. სინამდვილეში საფრანგეთიდან ჩამოსული იგორ მირონოვისთვის ჩაუბარებიათ გუნდი. ბოლო ორი თვეა, რაც მირონოვი ნაკრებში მუშაობს. აქამდე მას მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ერქვა, ამიერიდან კი მთავარი მწვრთნელი იქნება.

ნაკრებში უცხოელი სპეციალისტის მოწვევის შესახებ დიდხანს საუბრობდნენ რუსულ სარაგბო წრეებში. ქართველებთან მარცხის შემდეგ კი ამის აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ. აშკარა იყო: ალექსანდრ პერვუხინის დრო ნაკრებში დასრულდა და მას, გამოჯანმრთელების მიუხედავად, არავინ მიიწვევდა ქვეყნის უპირველეს გუნდში. მაგრამ სხვა საქმეა, ვის ანდობდა რაგბის კავშირი ნაკრებს. ბოლო დროს რუსულ რაგბიში განვითარებულ მოვლენებს თუ დავაკვირდებით, ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, რომ ეს იგორ მირონოვი იქნებოდა. საქართველოსთან მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, მან განაცხადა: წაგების მიუხედავად, დარწმუნებულია, რომ ნაკრებისთვის წარმატების მოტანა შეუძლია და მწვრთნელობასაც გააგრძელებდა. ისიც კი თქვა, აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ ნაკრები გავწვრთნა, თორემ საფრანგეთში თავს მშვენივრად ვგრძნობდიო.

"ნაკრებში ბევრი რამაა შესაცვლელი, ამისთვის კი დროა საჭირო. მთავარია, რომ გუნდში ცვლილებები დაიწყო. ეს პროცესი არ უნდა გაჩერდეს, რადგან ამაზეა დამოკიდებული ჩვენი ნაკრების მომავალი. წაგების მიუხედავად, მსოფლიო თასზე მოხვედრის შანსი კიდევ გვაქვს და საკმაოდ კარგიც. ამიტომაც უნდა ვეცადოთ, ის ბოლომდე გამოვიყენოთ", - აღნიშნა მირონოვმა ჟურნალისტებთან საუბარში.

ნაკრების გაწვრთნაში მირონოვს ყოფილი თანაგუნდელი, ამჟამად კი მოსკოვის "სლავას" თავკაცი ვიტალი სოროკინი დაეხმარება. მირონოვის დანიშვნით უკმაყოფილო კრასნოიარსკელებს იმის იმედიღა ჰქონდათ, იქნებ თანაშემწედ მაინც დაუყენონ უცხოელიო, მაგრამ...

"თანაშემწეს მწვრთნელი ირჩევს, ვინმე კი არ უნიშნავს. ბევრს არ ესმის მისი ფუნქცია, მაგრამ გუნდის მომზადებაში ის ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ასე რომ, ამ თანამდებობაზე უნდა იყოს ის, ვისაც მწვრთნელი ენდობა, ვინც იცის მწვრთნელის მუშაობის სტილი, ვისი აზრებიც მწვრთნელისას ემთხვევა. ასეთად მე ვიტალი სოროკინი მიმაჩნია. ამიტომ ის იქნება ჩემი თანაშემწე და არა ვინმე სხვა", - განაცხადა მწვრთნელმა.

ერთა თასზე მომავალი მატჩი რუსებს თებერვალში ელით. ამ მატჩისთვის გუნდი ისევ საფრანგეთში აპირებს მზადების გავლას. გარდა ამისა, ნავარაუდევია კიდევ ერთი შეკრების ორგანიზება, ამჯერად უკვე სამხრეთ აფრიკაში, თუმცა, თარიღი დაზუსტებული არაა. რუსეთის რაგბის კავშირი აგრეთვე აქტიურად ამოქმედდა მოთამაშეთა უცხოეთში გაგზავნის თაობაზე და საამისოდ კლუბებს ეხმარება კავშირების დამყარებაში. როგორც ისინი აცხადებენ, ნაკრების კარგად ასათამაშებლად მაღალი დონის შემსრულებელთა ყოლაა საჭირო, ასეთები კი დღეს, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, არ გვყავსო.

TV-ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ. 14 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

НТВ+ФУТБОЛ

07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. 1985 წელი. "NEW YORK KNICKS" - "PHILADELPHIA 76ERS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
13:00 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "შტუტგარტი"
14:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მომოხილვა
15:35 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
16:05 თავისუფალი დარტყმა
16:20 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მომოხილვა
17:20 ჩემპიონთა ლიგა. "არსენალი" - "რუსენბორგი"
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მომოხილვა
20:35 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:35 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მომოხილვა
22:35 თავისუფალი დარტყმა
22:50 ჩემპიონთა ლიგა. პსჟ - ცსკა
00:45 00:45-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 "CHARLOTTE BOBCATS" - "NEW ORLEANS HORNETS". პირდაპირი ტრანსლაცია
05:30 NBA TV - დღიური

НТВ+ПЛЮС

10:00, 12:40, 16:30, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 "ორშაბათამდე მივატანთ"
11:15 მაგიდის ჩოგბურთი. "Pro Tour Grand Finals" ჩინეთში. წყვილთა ფინალები
12:55 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ვაჟები. ქალები. სპრინტი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 "რკინის ფაქტორი" - ტელეჟურნალი
15:00 მაგიდის ჩოგბურთი. "Pro Tour Grand Finals" ჩინეთში. ერთეულთა ფინალები
16:45 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ფინალი ინგლისში. დღე პირველი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 "აკადემიკოსი". ფილმი იგორ ლარიონოვზე
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "რუსული თასი". ჩოგბურთის ეროვნული პრემია
22:45 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. გადაცემა მექსიკიდან
23:35 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "PITTSBURGH STEELERS" - "NEW YORK JETS". შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები

EUROSPORT

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
12:00 ფეხბურთი - ევროგოლები
13:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. სპრინტი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ჩეხეთში
16:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
17:00 ფეხბურთი - ევროგოლები
18:00 ფეხბურთის კლასიკა. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ესპანეთისა და ინგლისის კლუბების საუკეთესო მატჩები
19:00 ფეხბურთის კლასიკა. უეფას ჩემპიონთა ლიგა. გერმანიისა და საფრანგეთის კლუბების საუკეთესო მატჩები
20:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. სპრინტი
21:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
22:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
22:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა ავსტრიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ახალი ამბები
01:15 მულტისპორტი - FIA Gala
02:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა
03:15 ახალი ამბები

"საქწიგნი" აუქციონზე

მერაბ ქათამაძე

ვახო ბესელიას ფოტო

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

წიგნის სექტორი ახალი გამოწვევის წინაშე დგება: ეკონომიკური განვითარების სამინისტრო "საქწიგნის" პრივატიზაციას იწყებს. გაცხადებულია პრივატიზაციის ფორმაც - აუქციონი ანუ საპრივატიზაციო ობიექტის მესაკუთრე გახდება ის, ვინც მეტს გადაიხდის.

პრივატიზაციის წინააღმდეგი არ გახლავართ; მეტიც, ჩემს პუბლიკაციებსა თუ გამოსვლებში კარგა ხანია, ხელისუფლებას "საქწიგნის" პრივატიზაციისაკენ მოვუწოდებ, მაგრამ პრივატიზაციის შემოთავაზებული მეთოდი მაფიქრებს. აშკარაა, რომ "საქწიგნის" პრივატიზაცია დაგვიანებულია, რაც წიგნით ვაჭრობის სფეროსა და ზოგადად წიგნის სექტორის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად იქცა. მაგრამ რამდენად მართებულია აუქციონის ფორმა? თუ სამინისტრო გადაწყვეტილებას არ შეცვლის, უნდა ვივარაუდოთ, რომ წიგნის სექტორი კიდევ უფრო დაზარალდება.

კვლავ ევროსაბჭოს რეკომენდაცია

ევროსაბჭოს დოკუმენტში - "საქართველოს წიგნის სექტორის პოლიტიკის მიმოხილვა", *გუეგოუ ბოგუტა*, 2002 წელი - "საქწიგნსა" და მის პრივატიზაციას ცალკე, მეხუთე რეკომენდაცია ეძღვნება:

"5) სწრაფად უნდა მოხდეს სახელმწიფო სტრუქტურის "საქწიგნის" პრივატიზება ისე, რომ მან შეინარჩუნოს წიგნის მაღაზიების ქსელის წამყვანი როლი და მოემსახუროს ყველა გამომცემლობას. პრივატიზაციის პროცესი ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს".

ზედმიწევნით ზუსტი და ლაკონური განმარტებაა - **წიგნის მაღაზიების ქსელი** ანუ "საქწიგნის" სავაჭრო ობიექტები **წიგნის მაღაზიებად** უნდა დარჩეს და **ქსელიც** შენარჩუნდეს. დავძენ, რომ "საქწიგნი" წიგნის ერთი, ცალკე მაღაზია კი არა, არამედ წიგნით ვაჭრობის ქსელია, რომელსაც წიგნის მაღაზიები აქვს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

სხვაგვარად რომ ვთქვა, ევროსაბჭოს რეკომენდაცია ნიშნავს: (ა) "საქწიგნის" აუცილებელ **პრივატიზაციას** - სახელმწიფო საკუთრების ფორმა სავაჭრო ობიექტებზე ანაქრონიზმია; (ბ) **ქსელის შენარჩუნებას** ანუ მისი, როგორც ქსელის და არა როგორც ცალკეული მაღაზიების პრივატიზაციას; (გ) **პროფილის შენარჩუნებას** ანუ როგორც წიგნის მაღაზიების ქსელის შენარჩუნებას.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტში წიგნით ვაჭრობის სფეროს თაობაზე სხვა საყურადღებო მოსაზრებებიცაა გამოთქმული. კერძოდ:

"არც ცენტრალურ მთავრობას და არც მუნიციპალიტეტებს არა აქვს წიგნით მოვაჭრეთა მხარდაჭერის სისტემა... ხელისუფლება არ აღიქვამს წიგნის მაღაზიებს "კულტურის ლოკალურ ცენტრებად". კულტურის სამინისტრომ მხარი უნდა დაუჭიროს "წიგნის მოდელური მაღაზიის" კონცეფციას, რათა განვითარდეს პროფესიული მოღვაწეობა ამ სფეროში, რადგან საქართველოში არსებული წიგნის მაღაზიები არ შეესაბამება ევროპის სტანდარტებს".

"საქწიგნს" ქსელში აქვს სავაჭრო წერტილები, მაგრამ უმეტესობა ამ წიგნის მაღაზიებისა გადაკეთდა სხვა საქონლის გასაყიდ ადგილად".

"საგადასახადო სტიმულირების პროგრამა უნდა გატარდეს: ...მცირე წიგნით მოვაჭრეთათვის - დაბალპროცენტიანი სესხების პრინციპით (შვედური მოდელი)".

ამ დოკუმენტის ავტორი ბ-ნი გუეგოუ ბოგუტა სულ ახლახან, 17-20 ნოემბერს კვლავ ესტუმრა საქართველოს. კულტურის სამინისტროსა და ევროსაბჭოს ეგიდით გამართულ დებატებში "**წიგნის სახელმწიფო პოლიტიკა**" მან კიდევ ერთხელ დააყენა დღის წესრიგში ზემოაღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი რეკომენდაციები. დებატებში მონაწილე ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს: წიგნის სექტორი სახელმწიფოს მიერ არ უნდა იქნეს განხილული, როგორც მხოლოდ ეკონომიკური სუბიექტი; მეტიც, საქართველოს მთავრობამ ეს სექტორი უნდა განიხილოს, როგორც **"მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყნის კულტურული და სოციალური პოლიტიკის სტაბილიზაციის საქმეში".**

დებატებში ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელიც მონაწილეობდა და იგი დაადასტურებს: წიგნის სექტორის წარმომადგენლებმა ეჭვქვეშ დააყენეს "საქწიგნის" აუქციონის ფორმით პრივატიზაცია.

წიგნის სექტორის არგუმენტაცია

წიგნის სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი წიგნის ხელმისაწვდომობაა - ასეთია იუნესკოს ფორმულირება წიგნის პოლიტიკის თაობაზე. წიგნის ხელმისაწვდომობა კი მხოლოდ ხელმისაწვდომ ფასს არ ნიშნავს. იგი წიგნით ვაჭრობის ობიექტების ხელმისაწვდომობასაც გულისხმობს. მარტივად რომ ვთქვა, მკითხველს უნდა შეეძლოს, შეიძინოს წიგნი არა მარტო ხელმისაწვდომ ფასად, არამედ ხელმისაწვდომ არეალშიც - ქალაქში, სოფელსა თუ უბანში.

ხელისუფლების დანაშაულებრივი პოლიტიკის გამო გაჩანაგდა **"ცეკავშირის"** წიგნის გავრცელების ქსელი, რომელიც წიგნებით ამარაგებდა საქართველოს **სოფლებს.** ეს უზარმაზარი ორგანიზაცია თვალსა და ხელშუა ისე "აორთქლდა", დღეს ბევრს აღარც ახსოვს მისი არსებობა. გახსნა ვინმემ ამ ობიექტების ადგილზე წიგნის კერძო მაღაზია? ან იქნებ სამინისტროს ჰგონია, რომ სოფელში წიგნის წამკითხავი არავინაა? "საქწიგნის" შემოთავაზებული ფორმით პრივატიზაციის შემთხვევაშიც ის მოხდება, რაც "ცეკავშირში" - ასეთია მწარე რეალობა.

ხელისუფლების გულგრილობისა და პოპულისტური პოლიტიკის გამო დაკნინდა **"საქწიგნი",** რომელსაც ყველა **ქალაქსა და რაიონულ ცენტრში** ჰქონდა წიგნის მაღაზია. პოპულიზმში ყოფილი ხელისუფლების იმ პოზიციას ვგულისხმობ, რის გამოც პრივატიზაციისაგან იკავებდა თავს: "საქწიგნი" რომ გავყიდოთ, წიგნის მაღაზიების ნაცვლად რესტორნებსა და კაზინოებს გახსნიანო. ფაქტობრივად კი, ხელისუფლების ჩუმი თანხმობით "საქწიგნის" კუთვნილი წიგნის მაღაზიების ფარული პრივატიზაცია მიმდინარეობდა - "საქწიგნის" საწესდებო კაპიტალიდან სხვადასხვა მიზეზებით იღებდნენ ობიექტებს, ჰყიდდნენ და წიგნის მაღაზიების ადგილზე მართლაც მსგავსი ობიექტები იხსნებოდა. ამის დასტური კი შემდეგი ფაქტია: 1991 წლის მდგომარეობით "საქწიგნს" 150-ზე მეტი წიგნის მაღაზია ჰქონდა, დღეისათვის კი მათი რაოდენობა 63-მდე ანუ 60 პროცენტით შემცირდა.

ამგვარი "პოლიტიკის" შედეგი კი ისაა, რომ **დღეს "საქწიგნს" აღარ გააჩნია წიგნის მაღაზიები ქუთაისში, ამბროლაურში, ონში, რუსთავში, მარნეულში, ბოლნისში, გარდაბანში, ნინოწმინდაში, დედოფლისწყაროში... საერთოდ კი დღეისათვის "საქწიგნის" ქსელი საქართველოს მხოლოდ 21 ქალაქსა და რაიონულ ცენტრს მოიცავს, ანუ ქვეყნის რეგიონების სულ ცოტა 70 პროცენტში მას ფეხი უკვე ამოუკვეთეს.**

ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს: "საქწიგნის" აუქციონზე გატანით წიგნის მაღაზიების ლიკვიდაციას ახდენს დარჩენილ რეგიონებშიც ანუ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პრივატიზაცია: როგორ?

ვინ შეიძლება მონაწილეობდეს პრივატიზაციის პროცესში? პასუხი მარტივია: ყველა. ყველაში კი, რა თქმა უნდა, იგულისხმება თვით სახელმწიფოც, "საქწიგნის" თანამშრომლებიც, გამომცემლებიც, წიგნით მოვაჭრეებიცა და მომხმარებლებიც, ანუ მკითხველებიც:

სახელმწიფო იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს საწარმოს მფლობელს და სრული უფლება აქვს, საკუთარი წილი დაიდოს ამ საქმეში; **"საქწიგნის" თანამშრომლები** იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ ამ საწარმოს და აუცილებელია მათი ინტერესების გათვალისწინება; **გამომცემლები და წიგნით მოვაჭრეები** იმიტომ, რომ წიგნით ვაჭრობის გამართული ქსელი მათი სასიცოცხლო აუცილებლობაა; **მკითხველები** კი იმიტომ, რომ ისინი არიან წიგნის საბოლოო ადრესატები და სახელმწიფო ვალდებულია, ისეთი გარემო შექმნას, როცა წიგნიერი ადამიანები წიგნებს თანამედროვე სტანდარტებით გამართულ წიგნის მაღაზიებში შეიძენენ.

ახალა ვნახოთ, რამდენად მისაღებია მათთვის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული პრივატიზაციის ფორმა - აუქციონი.

"საქწიგნის" თანამშრომელთა ერთი ნაწილი (ადმინისტრაცია და მაღაზიების მუშაკები) აუქციონის კატეგორიული მოწინააღმდეგეა, რადგან შიშობს, რომ ქუჩაში აღმოჩნდება. მეორე ნაწილი (მაღაზიების დირექტორები) მოითხოვს, რომ პრივატიზაცია საკუთრივ მათ მოახდინონ. გამომცემლები და წიგნით მოვაჭრენი დარწმუნებულნი არიან, რომ "საქწიგნის" პრივატიზაცია აუცილებელია, მაგრამ იგი ისე უნდა განხორციელდეს, რომ არ შეილახოს მათი ინტერესები. ერთგული მკითხველი კი ვარაუდობს, რომ აუქციონზე გაყიდული ობიექტების ადგილზე იგი წიგნის მაღაზიებს ვეღარ იხილავს.

ყველაზე საინტერესო ამ ჩამონათვალში სახელმწიფოს მიდგომაა. რა სურს მას?

ბიუჯეტის შევსება? **იქნებ საკუთარი მოქალაქეების წიგნიერება, განათლება და კულტურა უნდა იყოს მისი ზრუნვის საგანი?**

თუ სახელმწიფო მიზნად ისახავს, რომ "საქწიგნის" პრივატიზაციით ბიუჯეტი შეავსოს, მაშინ აუქციონიც გამართლებულია; ხოლო რაც შეეხება წიგნის ახალ მაღაზიებს, ამას ბაზარი თავად მოაწესრიგებს, - ასეთია სამინისტროს ხელმძღვანელობის პოზიცია.

მაგრამ, ბატონებო, წიგნი ხომ მხოლოდ ბიზნესპროდუქტი არაა, იგი კულტურული ფასეულობაა.

როგორ უნდა მოაწესრიგოს ბაზარმა ის, რაც მხოლოდ ბაზრის საგანი არაა?

ამ თეზას რეალობაც ადასტურებს: საქართველოში დამოუკიდებელი წიგნის ბიზნესის ჩამოყალიბება-განვითარების სულ მცირე ათი წლის ისტორიაში **ვერ გაიხსენებთ ფაქტს, რომ ბიზნესწრეების წარმომადგენლებს ახალი წიგნის მაღაზიაში დაებანდებინოთ თანხა.** იქნებ სამინისტროს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ბაზარზე წიგნის მაღაზიის მოთხოვნილება არაა? მაშ, რას მივაწეროთ ბოლო ორი წლის განმავლობაში გახსნილი წიგნით ვაჭრობის ახალი ობიექტების - "პარნასი", "ლიტერატურული კაფე" და "წიგნის სახლი" - პოპულარობა და მკითხველის მადლიერება? ამ მაღაზიების დამფუძნებლები ისევ წიგნის სექტორის წარმომადგენლები არიან, მაგრამ მათი შესაძლებლობები შეზღუდულია.

წიგნის გავრცელების კერძო, დამოუკიდებელი ქსელის შექმნა კი სერიოზულ დაბანდებებს მოითხოვს, რისი არც ფინანსური და არც საკადრო რესურსი საკუთრივ წიგნის სექტორს დღესდღეობით არ გააჩნია.

"საქწიგნის" აუქციონზე გატანა კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოში სულ რამდენიმე (ერთი ხელიც რომ ეყოფა მათ ჩამოთვლას, თუ თანამედროვე სტანდარტებით მივუდგებით) წიგნის მაღაზია დარჩება.

"საქწიგნის" წარმომადგენელთა საწყენად არ ვამბობ, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს, აღვნიშნო: "საქწიგნის" მაღაზიები ვერ აკმაყოფილებს წიგნის თანამედროვე მაღაზიის სტანდარტებს და ეს ევროსაბჭოს დოკუმენტშიც ხაზგასმულია. მაგრამ, განა სახელმწიფომ ("საქწიგნის" მესაკუთრემ) არ მიიყვანა საქმე აქამდე? სწორედ ამიტომაა იგი ვალდებული, ახლა მაინც შესთავაზოს მკითხველ საზოგადოებას **გონივრული ალტერნატივა** და თავი დაანებოს ბაზრის ხსენებას იქ, სადაც ეს უადგილოა. თორემ **შევსებული ბიუჯეტი და წიგნის მაღაზიების გარეშე დარჩენილი ქვეყანა** ვერაფერი არჩევანია.

სხვათა შორის, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოქმედების მეთოდი "არახალია, ძველია": მისი მოთხოვნით საწარმოთა მართვის სააგენტო სასწრაფოდ ამზადებს დოკუმენტაციას - რუსთაველის (მაღაზია "საუნჯე"), ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას გამზირებზე, დიდ დიღომსა და ახალციხეში მდებარე **წიგნის მაღაზიების "საქწიგნის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებასა** და აუქციონზე გატანას გეგმავს.

აქ კი უნდა გავიხსენო, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო "საქწიგნის", როგორც ერთიანი ქსელის პრივატიზაციას გეგმავდა. რატომ შეიცვალა პირვანდელი გადაწყვეტილება?

კიდევ ერთი კითხვა სამინისტროს ხელმძღვანელობას: თუ ადგილობრივი ბიზნესწრეების წარმომადგენლები არ დებენ თანხას წიგნით ვაჭრობის ქსელის შენარჩუნებაში, იქნებ მიმართოთ ცნობილ უცხოურ წიგნით მოვაჭრე ფირმებს? უცხოელი ინვესტორი ცალკეული მაღაზიით ნამდვილად არ დაინტერესდება, მაგრამ 63-ობიექტიანმა ქსელმა ეს ინტერესი ხომ შეიძლება გააჩინოს? დავაზუსტებ, რომ ჩემი წინადადება სულაც არ გულისხმობს მის უალტერნატივობას. თუ სამინისტრო ევროსაბჭოს რეკომენდაციას გაიზიარებს, პრივატიზაციის სხვა ფორმების მოძიებაც შეიძლება.

პრივატიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების ამოსავალი დებულება უნდა გახდეს **დაინტერესებულ მხარეთა** ინტერესების დაკმაყოფილება. ინტერესთა ჯგუფებში იგულისხმება: სახელმწიფო, რომლის პოლიტიკის მიზანი წიგნის ხელმისაწვდომობაა; "საქწიგნის" კოლექტივი - როგორც ადმინისტრაცია, ასევე მაღაზიების თანამშრომლები; გამომცემლები და წიგნით მოვაჭრეები; მკითხველები.

ვვარაუდობ სამინისტროს ხელმძღვანელობის კონტრარგუმენტს: პრინციპულადაც რომ გავიზიაროთ ეს რეკომენდაცია, არსებული კანონმდებლობით ეს შეუძლებელიაო. გეთანხმებით, მაგრამ ეს უკვე საკანონმდებლო-იურიდიული ტექნიკის საკითხია, რაც კეთილგანწყობის პირობებში სრულიადაც არაა გადაულახავი წინააღმდეგობა. ხოლო **თუ სამინისტროს პრინციპულად სხვა მოსაზრება აქვს, მან საჯაროდ უნდა განაცხადოს, რომ არ იზიარებს არც ევროსაბჭოს რეკომენდაციას, არც იუნესკოსეულ მიდგომას და მოსალოდნელ შედეგებზეც დღესვე აიღოს პასუხისმგებლობა.**

ფოტოგალერეა

თუშეთი. *ავტორი: გოგიტა ბუხაიძე*

TV პროგრამა

14 დეკემბერი

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სერიალი "ენტერპრაიზი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ეპილოგი" (გ) **15.25** "ქართული ფეხბურთი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელეიპუცები" **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **23.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი "დაცვის გარეშე" (18) (ბარბარა ჰერში) **02.00** პატრული

პირველი არხი

08.00, 09.00 მოამბე **08.10** დოკ. ფილმი "კანის ფესტივალი" **09.20** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "ნაზი კანი" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** "მატარებელი" **14.15** დოკ. ფილმი "შრი-ლანკას სპილოები" **15.20** "ანშლაგი" -"ბაგრატიონები" **16.05** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" 1-ლი ს. **16.30** "ისტორიანი" **16.55** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **17.10** დოკ. ფილმი "ამერიკული კინო" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. ფილმი "კორტო მალტეზის 13 ცხოვრება" **19.10** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.45** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **21.40** "გრიფით საიდუმლო" **22.00** ქიმერიონი **00.00** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" (გ)

ალტერნატივა

12.00 ტუწ-ემ **16.00** "საქმე და ეკონომიკა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "რობოტი პოლიციელი" (გ) მე-5ს. **00.30** ტუწ-ემ

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "ვუპი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** პუბლ. გადაცემა "პატრიოტთა თამაშები". თენგიზ სიგუა **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** "ჯეოსტარი" **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "განწმენდა" (15) (ბერტ რეინოლდსი)

მეორე არხი

19.00 საბ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **19.25** სერიალი "ცხელი ზაფხული" **20.15** დოკ. ფილმი "ტურ დე ფრანსი" **21.05** "იმღერე რამე" **21.35** ტელეზღაპარი **21.50** დოკ. ფილმი "კანის ფესტივალი" **22.35** მხ. ფილმი "თემო" (გ)

[illegible]

18.00 მხ. ფილმი "პატარა მამაკაცი" (გ) **19.30** დოკ. ფილმი **21.40** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "ხაფანგი" (15)

იმედი

07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბნუების გენიოსები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "მგლების ხორუმი" **12.20, 14.15, 17.10, 04.15** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.45** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ბულვარული გარეკანი" (ი. აპექსიმოვა) 1-ლი ს. (გ) **14.30** "პოლიციის აკადემია" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 03.35** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "მგლების ხორუმი" **23.00** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.20** "პირველები" **00.05** მხ. ფილმი "დენთის კასრი" (18) (ე. პასკალევიჩი) **01.45** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **02.40** "გოლი - სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

აჭარა

09.00 საინფ. დაიჯესტი **09.20** სათავგადასავლო ფილმი "3000 მილი გრეისლენდამდე" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** "სტარტი" **12.15** დრამა "მედოლე" **14.15** მუსიკა **14.45** კრიმინალური კომედია "ლაქია" **16.15** მულტფილმი **17.45** დოკ. ფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** ფანტასტიკა "ციხე-სიმაგრე" **20.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი "პელიკანების საქმე" **23.15** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** ისტორიული ბოევიკი "სისხლი და ხორცი"

ОРТ

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Приключенческий фильм **"ИСТОРИЯ РЫЦАРЯ". 12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** "Последний герой". Суперигра. **17.00** "Пять вечеров". Вторник. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **19.00** Сериал **"КЛОН". 19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30** Время. **21.30** Сериал **"ДЕТИ АРБАТА". 22.40** Лубянка. "Наш человек в Палермо". **23.50** "Фабрика звезд". **00.10** "Формула власти". Премьер-министр Азербайджана. **00.40** Крылья. "Небо, самолет, старушка". **01.10** Лоуренс Фишборн в боевике **"СКВОЗЬ ГОРИЗОНТ". 02.40** Джек Леммон в комедии **"СТРАННАЯ ПАРОЧКА". 04.10** Док. фильм "Война шахматных королей". **05.00** "Брачные игры животных". Часть 1-я.

НТВ

06.00 "Сегодня утром". **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** Сегодня. **10.20** Чистосердечное признание. **10.50** Шарлиз Терон в остросюжетном фильме **"24 ЧАСА" 13.35** Боевик **"ШПИОНСКИЕ ИГРЫ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Совершенно секретно. Информация к размышлению. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Премьера. Павел Майков в сериале **"ИГРА НА ВЫБЫВАНИЕ". 1**-я с. **20.50** Кристина Орбакайте в сериале **"РОДСТВЕННЫЙ ОБМЕН". 1**-я с. **22.00** "Страна и мир". **22.40** Сериал **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО...". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 01.15** Особо опасен! **01.45** Джо Бет Уильямс в фильме **"ПОЛТЕРГЕЙСТ-2" 03.10** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: год шакала". **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 04.55** Дет. сериал **"10-8". 05.40** Чрезвычайное происшествие.

სკანვორდი



ელტონ ჯონმა ხმა დაკარგა

სერ ელტონ ჯონი იძულებული გახდა გლაზგოში თავისი მეორე კონცერტი გადაედო, მას გაციებისაგან პრაქტიკულად სრულიად წაერთვა ხმა. 57 წლის მომღერალს ურჩიეს სასწრაფოდ გადაედო ყველა ცოცხალი კონცერტი, რათა სამუდამოდ არ გამომშვიდობებოდა სამუშაო ინსტრუმენტს. ორი დღის წინათ, ელტონ ჯონმა ნოთიგემში დანიშნული კონცერტი გადადო.

მომღერალმა განაცხადა, რომ თაყვანისმცემლების გაწბილების გამო, იგი თავადაც ძალზედ შეწუხებულია. ამასთან ჯონმა პირობა დადო, რომ ბილეთების ღირებულება, მათი სალაროში დაბრუნების შემთხვევაში, სრულად ანაზღაურდება.

გლაზგოში ელტონ ჯონის მომდევნო კონცერტი გაიმართება არა უგვიანეს 2005 წლის ივნისისა. რადგანაც 2005 წლის პირველი ნახევრის საკონცერტო გრაფიკი უკვე მკაცრადაა განსაზღვრული. ამ პერიოდში შედის ტურნე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

შვილი ნანა რუხაძე, და ლალი, შვილიშვილები: ლაშა აბაშიძე, თათუ რუხაძე, რძლები: მაია კიკნაძე, მაია წენგუაშვილი, თეონა ბერიძე, სიძე: გივი ხუციშვილი, დისშვილები: მანანა და ირაკლი ხუციშვილები, მძახალი: ჩიტოლია ჩხეიძე, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გულიკო ირაკლის ასული გერსამია

პანაშვიდი: 14, 15 დეკემბერს - 15:00 საათზე.
გამოსვენება: 16 დეკემბერს - 14:00 საათზე.
მისამართი: ფანასკერტელის მე-15 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.

პირველი შეტაკებები მობილური თამაშების ფარულ ომში

თამაშების ბაზარზე ფარული ომი მიმდინარეობს, რომელშიც ჯერჯერობით გამარჯვებულის პოზიციას "სონი" არავის უთმობს. ახალი კომპაქტური "ფლეისთეიშენი" იგივე PSP იაპონიაში გამოსვლის პირველივე დღეს სულ გაიყიდა. შესაბამისად, მოგების მაჩვენებელიც ძალიან კარგი იყო. საბოლოო ჯამში, დაახლოებით მარტისთვის, "სონის" მენეჯერები იმედოვნებენ, რომ 3 მილიონი PSP იქნება გაყიდული. მაგრამ იმადროულად დიდი ნარმატების იმედი აქვს "ნინტენდოსაც". გეგმის მიხედვით მარტისთვის "ნინტენდოს" DS თამაშების მანქანა 5 მილიონი ეგზემპლარით მაინც უნდა გასაღდეს.

Sources: Sony, Nintendo

© GRAPHIC NEWS

სიახლე!!! OPEL ASTRA უკვე თბილისშია

OPEL

ცნობილი გერმანული ჟურნალი "Auto- Bild "-ი ყოველწლიურად აქვეყნებს რა საუკეთესო ავტომწარმოებელი კომპანიების სიას , 19 ნოემბრის გამოცემით იუწყება, რომ 2004 წლის მახვენებლებით OPEL ის მარკა / ბრენდი მისი მოდელებით: (ახალი Vectra C, ახალი Astra, Signum, Meriva და სხვა) საუკეთესოა არა მარტო გერმანულ არამედ ევროპულ ავტობრენდებს შორის. ავტომყვლობელთა, ავტომოყვარულთა და ცნობილი გერმანული ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოს TUV ის (7 მლნ გამოკითხვით) მონაცემთა ბაზის გათვალისწინებით OPEL- ის მარკა ყველაზე ხარისხიანი ევროპული ბრენდია. მას ადასტურებს ის , რომ OPEL ის ბრენდთა შორის :

- Meriva (მცირე კლასი) მისი გამოშვების 18 თვის განმავლობაში მუდმივ I ადგილს იკავებს
- New Astra (კომპაქტ - კლასი) საუკეთესოდ ადიარეს 9 კონკურენტ მოდელთა შორის.
- New Vectra C (საშუალო/ბიზნეს/კლასი) 13 ძირითად კონკურენტ მოდელებს 100 000კმ- იან გარბენში ხარისხის მაჩვენებლით უკან იტოვებს.

ჟურნალი აკეთებს რა მონაცემთა ბაზის სრულ ანალიზს, გვამცნობს, რომ OPEL-ი ბოლო 3 წლის განმავლობაში მკვეთრ ნახტომს აკეთებს ხარისხისა და დიზაინის მიმართულებით. ჟურნალი ხაზს უსვამს OPEL-ის ხვალინდელი დღის ინოვაციურობასა და პერსპექტიულობას. სწორედ ეს არის გაყიდვების მაჩვენებლების მკვეთრი ზრდის მიზეზი (მაგალითისთვის OPEL-ი I ადგილზეა ევროპული მანქნების რეალიზაციათა შორის რუსეთსა და უკრაინაში აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე სწრაფად მზარდ ბაზრებზე)

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ, OPEL-ის ოფიციალურ დილერს საქართველოში
შ.პ.ს."აუტოვაუზს". ტელ: 53-07-14, 53-07-16 ფაქსი: 53-07-15

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის მემსნავლეო კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.